# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 25 სექტემბერი 2001 №182 (1455) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ითამაშეთ ყიფიანისთვის!

## რუსებმა პეტროვიჩი დაგვინიშნეს ქართველებმა გავრილოვიჩი ირჩიეს



ალექსანდრე ჩივაძე: რა შუაშია პეტროვიჩი?!

გასრულდა ტრაგიკული კვირა. შაბათს დავით ყიფიანი საბურთალოს პანთეონში დაიკრძალა. გუშინ კი ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა (მერაბ ჟორდანია, ვალერი ჩოლარია, ალექსანდრე ჩივაძე) დიდი ქართველი ფეხბურთელის ხსოვნის პატივსაცემად საქართველოს თასს დავით ყიფიანის სახელი უწოდა. ამიერიდან ქართული კლუბები ერთმანეთს სწორედ ყიფიანის თასს შეეცილებიან. დღეს კი მეცამეტე ეროვნულის მერვე ტურის შაბათ-კვირას ჩასატარებელი მატჩები გაიმართება. უყიფიანო ქართული ფეხბურთი ყოველდღიურობას დაუბრუნდა. ამასობაში რუსებმა საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი გამოუცვალეს. ალექსანდრე ჩივაძე რუმინეთთან მატჩამდე ჩამოაცილეს „შინდისფრებს“ და ქართველებს მესაჭედ იუგოსლაველი, 1991 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელ „ცრვენა ზვეზდას“ მწვრთნელი ლიუბომირ პეტროვიჩი დაუნიშნეს. ეს ინფორმაცია კვირას რუსულმა ტელეარხმა „ენტევემ“ გაავრცელა, თუმც სფფ-ში პეტროვიჩთან ურთიერთობა უარყვეს და გვითხრეს: სარუმინეთოდ გუნდს ისევ გავრილოვიჩი — ალექსანდრე ჩივაძე მოამზადებსო.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

# გენიოსის მესამედ მოსვლა

## მაიკლ ჯორდანი დაბრუნდა




ამერიკულმა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ მთელ მსოფლიოს გააგებინა, რომ მორჩა და გათავდა ხუთთვიანი ჭორაობა:

მაიკლ ჯორდანი კალათბურთს უბრუნდება!

მან უკვე ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი „ვაშინგტონ ვიზარდსთან“ და ერთ წელიწადში ნბა-ს ვეტერანის მინიმალურ ხელფასს, ერთ მილიონ დოლარს მიიღებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ თავის ბოლო სეზონში, 1998 წელს ჯორდანს ხელფასად 33 მილიონი ჰქონდა.

ჯორდანმა, როგორც „ვიზარდსის“ ერთ-ერთმა მეწილემ და თავკაცმა, უკვე გაყიდა თავისი კუთვნილი აქციების ნახევარი და წილად ხუთი პროცენტი დაიტოვა...

და ახლა რა იქნება?

38 წლის ჯორდანი მოედანზეა. გაუძლებს მისი სხეული 82 სასეზონო თამაშს? გავა პლეი-ოფში მაჩანჩალა „ვიზარდსი“?

ამის შესახებ მესამედ მოსული გენიოსი არაფერს ამბობს.

„ჩიკაგოში“ გატარებულ ცამეტ სეზონში ჯორდანი ხუთჯერ იყო ასოციაციის უძვირფასესი მოთამაშე, ექვსჯერ გახდა ჩემპიონი და ახლა კრიტიკულ საკალათბურთო ასაკში მყოფი კვლავ ბრუნდება...

ბრუნდება რათა...

მაიკლ ჯორდანს ყოველთვის ხელეწიფებოდა სასწაულები.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

# ითამაშეთ ყიფიანისთვის!

## საქართველოს თასს დავით ყიფიანის სახელი ეწოდა



საქართველოს ამ თასს ბოლოს დავით ყიფიანის გუნდმა, ქუთაისის „ტორპედომ“ უპატრონა

**გუშინწინ** რუსულმა ტელეკომპანია „ენტევემ“ ქართული ფეხბურთის ქომაგებისთვის ერთი მეტად საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. „ენტევე ფუტბოლმა“, არ ვიცით რომელ სააგენტოზე დაყრდნობით, ასეთი რამ განაცხადა — ალექსანდრე ჩივაძემ და მისმა თანაშემწეებმა იუარეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა და ახლა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებას ცნობილ იუგოსლაველ სპეციალისტ ლუბკო პეტროვიჩთან აწარმოებს. თითქმის გადაწყვეტილიც არის, რომ საქართველოს ნაკრებს სწორედ პეტროვიჩი ჩაიბარებს.

სასურველი კი იყო, რუსის ნათქვამი მართალი, თუნდაც სიმართლესთან ახლოს ყოფილიყო, მაგრამ... არაფერი ამდაგვარი, „ენტევეს“ ინფორმაცია ჭორი გამოდგა.

— მე და ალექსანდრე ჩივაძე დღეს შევხვდით ერთმანეთს, რუმინეთში შესარჩევი მატჩის სათამაშოდ გამგზავრების თარიღზე და სხვა სანაკრებო საკითხებზე მოვილაპარაკეთ. როგორც ადრე ვთქვით, ამ შესარჩევ ციკლს ეროვნული გუნდი ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით ჩაამთავრებს, მერე კი ვნახოთ. 25 იანვარს პორტუში ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა ჩატარდება და საქართველოს ნაკრების მწვრთნელსაც მის შემდეგ გამოვაცხადებთ. დღესდღეობით კი გუნდის მწვრთნელად კვლავაც ჩივაძე ითვლება — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ, როცა გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე ვკითხეთ.

საქართველოს ნაკრები კი, რომელსაც ამ შესარჩევი ციკლის ერთი მატჩიღა დარჩა გასამართი, რუმინეთს 3 ოქტომბერს ჩარტერული რეისით გაფრინდება. საქართველოში, ლატვიასა და რუსეთში მოთამაშე ნაკრების წევრები ბუქარესტში თბილისიდან გაემგზავრებიან, სხვა ლეგიონერები კი ნაკრებს ბუქარესტში იმავე დღეს უნდა შეუერთდნენ. შეგახსენებთ მატჩი, 6 ოქტომბერს ჩატარდება. ეროვნული გუნდი რუმინელებთან დავით ყიფიანის ხსოვნის პატივსაცემად შავი სამკლავურებით ითამაშებს.

დაბოლოს, ისევ ლუბკო პეტროვიჩზე: ეს ის კაცია, ვინც 1991 წელს იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდას“ ევროპის ბოლოსწინა ჩემპიონთა თასი მოაგებინა.

ისე, კარგი კი იქნება, თუ ფედერაცია ასეთ სახელოვან მწვრთნელებთან დაიჭერს საქმეს.

**კობა ინასარიძე**

# რუსეთი: ბალკანური ვარიანტი საქართველოსთვის

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა ასე გადაწყვიტა — ამიერიდან საქართველოს თასის გათამაშებას აწ გარდაცვლილი ცნობილი ქართველი ფეხბურთელის დავით ყიფიანის სახელი ეწოდოს. დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშება, იტყვიან ამიერიდან და სტატუსი იგივე იქნება, რაც აქამდე — მისი მფლობელი უეფას თასზე მონაწილეობის უფლებას მიიღებს.

ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა, პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ და ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ თავიანთი შეკრებისას, ეს თქვა, მართალია, მათი გადაწყვეტილება ფედერაციის აღმასკომის დასამტკიცებელია, მაგრამ, ფედერაციის ჩინოსნებს აღმასკომის წევრებთან წინასწარ უსაუბრიათ და მათაც არაფერი ჰქონიათ ამის საწინააღმდეგო.

შევიტყვეთ ისიც, რომ თასიც ახალი იქნება, რომელსაც საქვეყნოდ ცნობილი იტალიური ფირმა „ბერტონი“ დაამზადებს. სხვათა შორის, ამავე ფირმის ოსტატთა ნახელავია ჩემპიონთა და უეფას თასები, სხვაც ბევრი სპორტული ჯილდო-პრიზი.

ერთი სიტყვით, დღეიდან ასე შეგვიძლია ვთქვათ — დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი.

**კობა ინასარიძე**

# ხიზანეიშვილი კოჭმა დაასვენა

**საქართველოს** ნაკრების ახალგაზრდა მცველი ოთარ ხიზანეიშვილი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო ქართველთათვის არაფრის მომცემ მატჩში რუმინეთის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

კვირას რუსეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ქართველების „როსტსელმაშმა“ მოსკოვის „დინამო“ მიიღო. მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა, თუმც ცხადია, ჩვენთვის უფრო საინტერესო ქართველების ამბავია. მოგეხსენებათ, „როსტსელმაშში“ ორი ჩვენებური — დავით ხმელიძე და ოთარ ხიზანეიშვილი ირიცხება. ხმელიძე „დინამოსთან“ მატჩში სათადარიგოდ იყო გამწესებული. რაც შეეხება ხიზანეიშვილს, ის საერთოდ განაცხადშიც არ იყო შეყვანილი, თუმც მალე „როსტსელმაშის“ ექიმმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა. მისი თქმით, ქართველმა მცველმა ერთ-ერთ ვარჯიშზე სერიოზული ტრავმა მიიღო და ამ სეზონში კლუბს ვერ დაეხმარება. ხიზანეიშვილმა მძიმედ დაიშავა კოჭი და საბოლოო გამოჯანმრთელებამდე დაახლოებით ორი თვე დასჭირდება.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვის „სპარტაკის“ მიერ რამდენიმე თვის წინ „როსტსელმაშში“ განათხოვრებულმა ხიზანეიშვილმა თავისი დებიუტი ახალ კლუბში „ზენიტთან“ მატჩში ავტოგოლით „აღნიშნა“. ამის შემდეგ ქართველმა მხოლოდ ოთხჯერ შეძლო „როსტსელმაშის“ მაისურის მორგება. ახლა კი საბედისწერო ტრავმა მიიღო და სეზონიც ნაადრევად დაასრულა.

**კახა ზალამბერიძე**



ოთარ ხიზანეიშვილი

# დრო მოვიდა, ორი წავიდა, ორი მოვიდა



გიორგი ლომაია

**5 ოქტომბერს** ბუქარესტში საქართველოს ახალგაზრდული გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს დაასრულებს. ჯერჯერობით ქართული ფეხბურთის მომავალი ოდენ სამი ქულითა და ხუთი წაგებით ჯგუფში ბოლო ადგილზეა.

ახალგაზრდულის თავკაცმა ვახტანგ კოპალეიშვილმა სარუმინეთოდ 20 ფეხბურთელი შეარჩია. გუნდის ძირითადი ბირთვი ლიტვის თბილისში მძლეველი შემადგენლობისგან შეიკრა, თუმც დებიუტანტებიც არიან და კარგა ხნის მივიწყებულებიც.

კოპალეიშვილი შანსს აძლევს ფოთის „კოლხეთის“ ნახევარმცველ დავით კვირკველიას და „ბათუმის“ შუახაზელ კახა ქაცარავას. ახალგაზრდულ გუნდში დაბრუნდა ყოფილი ლეგიონერი, აწ უკვე თბილისური „ლოკომოტივის“ წევრი დავით სირაძე. 20 კაციან სიაში მოხვდნენ რუსთავის „გორდას“ ფორვარდები რევაზ გოცირიძე და ცეზარ ხუროძე.

ახალგაზრდული გუნდი თბილისში 3 ოქტომბერს შეიკრიბება და ივარჯიშებს. 4 ოქტომბერს კი ნაკრებს ორი მოთამაშე მოაკლდება და გეზს რუმინეთისკენ აიღებს.

27 მარტს რუმინელებმა „შევარდენზე“ სამი უპასუხო გოლი გაუტანეს ქართველ თანატოლებს. მაშინ ჩვენი გუნდის თავკაცი მურთაზ ხურცილავა იყო, კოპალეიშვილი კი თანაშემწე. ასე რომ, ჩვენებურთა მწვრთნელი იცნობს მეტოქის თამაშს და...

5 ოქტომბერს შეიძლება ორმა დებიუტანტმა მოირგოს ნაკრების მაისურა, ორი კი ახალგაზრდულ გუნდს დაემშვიდობება. კოპალეიშვილის გუნდის ძირითადი მეკარე და კაპიტანი გიორგი ლომაია, ასევე ლიბერო ვლადიმერ კაკაშვილი რუმინეთის შემდეგ ეროვნულ გუნდში მოხვედრაზე თუ იფიქრებენ. მათი ასაკი ახალგაზრდულის ზღვარს სცილდება.

ვახტანგ კოპალეიშვილის რჩეულები კი ესენი არიან:

*მეკარეები: გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), ზურაბ მამალაძე (დინამო);*

*მცველები: ლაშა სალუქვაძე (ლოკომოტივი), ვლადიმერ კაკაშვილი (ლოკომოტივი, რუსეთი), ილია კანდელაკი (დინამო), ალექსანდრე ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ზვიად ლაბაძე (გორდა), რამაზ სვანაძე (დინამო), დავით ზაზაშვილი (ვიტ ჯორჯია);*

*ნახევარმცველები: დავით დიღმელაშვილი (სიენა, იტალია), დავით კვირკველია (კოლხეთი), დავით სირაძე (ლოკომოტივი), კახა ქაცარავა (ბათუმი), მალხაზ ასათიანი (ტორპედო), გიორგი დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია);*

*თავდამსხმელები: გიორგი ადამია (ვიტ ჯორჯია), რომან ახალკაცი (ტორპედო), რევაზ გოცირიძე (გორდა), კახა წუწუნავა (ვიტ ჯორჯია), ცეზარ ხუროძე (გორდა);*

**ბამუკა კვანტალიანი**

## საქართველოს 13 ჩემპიონატი. პირველი ლიგა. პირველი ეტაპი. 7 ტური

დინამო 2 — თორი 3:0; ხობი — მერანი 2 0:0; სამტრედია — დილა 0:0; ქობულეთი — ცხინვალი 2:0; მილანი — ლაზიკა 3:0; ლოკომოტივი 3 — თსუ 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 7 | 6 | 1 | 0 | 21:1 | 19 |
| მილანი | 7 | 5 | 1 | 1 | 16:3 | 16 |
| ქობულეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 7:5 | 16 |
| ცხინვალი | 7 | 4 | 1 | 2 | 14:7 | 13 |
| დინამო 2 | 7 | 3 | 0 | 4 | 8:9 | 9 |
| ლოკომოტივი 3 | 7 | 2 | 3 | 2 | 10:12 | 9 |
| თსუ | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 8 |
| ხობი | 7 | 1 | 5 | 1 | 4:6 | 8 |
| ლაზიკა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:15 | 7 |
| სამტრედია | 7 | 1 | 2 | 4 | 4:11 | 5 |
| მერანი 2 | 7 | 1 | 1 | 5 | 2:9 | 4 |
| თორი | 7 | 1 | 0 | 6 | 4:18 | 3 |

## საქართველოს 13 ჩემპიონატი. რეგიონული ლიგა. პირველი ეტაპი. 5 ტური

### აღმოსავლეთი

თბილისი — მაუდი 1:3; მერანი 3 — ლიახვი 2:1; მრეტები — მცხეთა 0:2; კრწანისი — დინამო 3 1:1; ჭაბუკიანი — ივერია 4:0; ჯავახი — ვიტ ჯორჯია 2 1:7; მესხეთი — ოლიმპიკი 1:1; ალაზანი — გორდა 2 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალაზანი | 5 | 4 | 0 | 1 | 18:7 | 12 |
| მცხეთა | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 12 |
| ვარძია | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| ივერია | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 10 |
| ზოოვეტი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 5 | 2 | 3 | 0 | 18:4 | 9 |
| ოლიმპიკი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:3 | 8 |
| აკადემია | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| მაუდი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ლიახვი | 5 | 2 | 0 | 5 | 5:8 | 6 |
| ჭაბუკიანი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:2 | 6 |
| გორდა 2 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:6 | 5 |
| ცხუმი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:2 | 5 |
| დინამო 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| თბილისი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| მესხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:11 | 4 |
| მერანი 3 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:12 | 4 |
| მრეტები | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| კრწანისი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:17 | 1 |
| ჯავახი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:30 | 0 |

### დასავლეთი

საპოვნელა — ეგრისი 5:0; გზები — ოკრიბა 2:0; მალაროელი — ზუგდიდი 0:1; ლუკა — მეტალურგი 2 0:1; სალხინო — გურია 2 1:2; ჩიხურა — სულორი 0:3; საირმე — სამეგრელო 4:0; სქური — სოხუმი 4:1; კოლხეთი 2 — მერცხალი 1:1; ინტერი — ბათუმი 2 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 5 | 5 | 0 | 0 | 15:3 | 15 |
| გურია 2 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:2 | 13 |
| მერცხალი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| ზუგდიდი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:4 | 13 |
| ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:3 | 10 |
| საირმე | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| მეტალურგი 2 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:7 | 10 |
| სამეგრელო | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 9 |
| საპოვნელა | 5 | 2 | 2 | 1 | 12:7 | 8 |
| ეგრისი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| სქური | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | 6 |
| სალხინო | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| კოლხეთი 2 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 6 |
| მალაროელი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| სოხუმი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| ბათუმი 2 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:8 | 3 |
| ლუკა | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | 3 |
| გზები | 5 | 1 | 0 | 4 | 2:11 | 3 |
| ოკრიბა | 5 | 0 | 0 | 5 | 1:12 | 0 |
| ჩიხურა | 5 | 0 | 0 | 5 | 3:17 | 0 |

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა. VII ტური

დუისბურგი 1:1 აინტრახტი

### ინგლისი

პრემიერლიგა. VII ტური

საუთჰემპტონი 1:3 ასტონ ვილა

### იტალია

სერია B. V ტური

კალიარი 0:2 სამპდორია

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

### შვედეთი

XXII ტური

მალმიო 2:2 ჰეკენი
იორებრო 0:3 ჰამარბი
იორგრიტე 1:1 იურგორდენი
ჰალმსტადი 5:2 ტრელებორგი

### დანია

IX ტური

ესბიერგი 4:1 ორჰუსი

### ფინეთი

XXXI ტური

ჰიკ 1:1 როვანიემი

### ჩეხეთი

VIII ტური

სიგმა 3:1 ოპავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

8 ტური ანონსი

# ერთმანეთს დაჭამენ: ვაკეში მეზობლები, ბოლნისში ქვემოქართლელები

*ეროვნული ჩემპიონატის მერვე ტური 22-23 სექტემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ შაბათ-კვირას საქართველოს ფეხბურთისთვის არ ეცალა — დავით ყიფიანს გლოვობდა. ამის გამო კალენდარში ცვლილება მოხდა და ტურის ექვსივე მატჩი დღეს ჩატარდება.*

*მერვე ტურის ანონსი „ლოკომოტივი" — „მერანის" მატჩით დავიწყოთ. სატურნირო ცხრილში მეზობელთა დაპირისპირება სხვათაგან გამორჩეულია.*

**ლოკომოტივი — მერანი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 5 +2=3-0 | 4:1 |
| სულ: | 10 +4=4-2 | 7:5 |

ამ დედაქალაქური დერბის მონაწილეთაგან საკვირველია „მერანის" ჩემპიონატში მეორეობა. ავჭალელები ხუთი ქულით ჩამორჩებიან პირველადგილოსან „ტორპედოს" და ქულით უსწრებენ დღევანდელ მეტოქეს. „მერანმა" მძლავრად დაიწყო ჩემპიონატი და წინა ტურამდე დაუმარცხებელი იყო. თუმც მეშვიდე ტურში მაინც გატყდა ოთარ გაბელიას გუნდი და გ. [illegible] შერცხვა „დინამოსთან". ექვსი უპასუხო გოლი ერთი შეხედვით მეტისმეტი იყო, მაგრამ „მერანის" დღევანდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, რაც მოხდა, კანონზომიერი გახლდათ. ჩემპიონატის წინ სათანადოდ მოუმზადებელმა და ფინანსურად არცთუ დალხენილმა ავჭალელებმა ინერციით რაც იარეს, შეირგეს. ამით იმის თქმა მსურს, რომ „მერანს" შემდეგშიც ექნება წარმატებები, მაგრამ ის გუნდი არ იქნება, ჩემპიონატის განვლილ ტურებში ქომაგს რომ დაამახსოვრა თავი.

როგორც ჩანს, მალტური შოკიდან გამოვიდა „ლოკომოტივი". „ბირკირკარასთან" შერცხვენილმა რკინიგზელებმა მობილიზება შეძლეს, რაც განვლილ ტურში „სიონის" სტუმრად განადგურებით დაადასტურეს.

კახა ცხადაძის გუნდი „მერანთან" ფავორიტია. ამის უპირველეს მიზეზზე ზემოთ მოგახსენეთ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ლოკომოტივს" ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს საშინაო მატჩებში. ვაკეში რკინიგზელებმა ჩემპიონატის სამივე მატჩი მოიგეს და ორის სანაცვლოდ რვა გოლი გაიტანეს. „მერანი" დღევანდელ მეტოქესთან სტუმრად ნათამაშევი მატჩებითაც ვერ დაიკვეხნის. ავჭალელებმა რკინიგზელებთან განვლილ ხუთ მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს, ჯერაც არ უმარჯვიათ და საეჭვოა, ეს დღეს მოახერხონ. „ლოკომოტივს" წისქვილზე ისიცასხამს წყალს, რომ „მერანს" მუხინი და გოგიტიძე ჰყავს დისკვალიფიცირებული, ეს კი დიდი დანაკლისია გაბელიას გუნდისთვის. ასე რომ, დიდი შანსია, ამ გუნდებმა სატურნირო ცხრილში ადგილები გაცვალონ.



[illegible] ფოტო

დღეს ლოკომოტიველ დავით ჭიჭვეიშვილს (მარცხნივ) დისკვალიფიცირებული მერანელი ანდრეი მუხინი ვეღარ შეაბრკოლებს

**ტორპედო — ვიტ ჯორჯია**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 5 +0=4-1 | 2:3 |
| სულ: | 10 +2=6-2 | 7:8 |

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, ქართული ფეხბურთის ბოლო წლების ლიდერ „ტორპედოს" ეროვნულ ჩემპიონატში შინაურ კედლებში დღემდე ვერ დაუმარცხებია „ვიტ ჯორჯია". ოთხი ფრე და ერთი წაგება, ასეთია ვეტერინარებთან აქამდე ჩატარებულ საშინაო შეხვედრაში ქუთათურთა მონაგარი. ძნელი სათქმელია, რომ დღევანდელ მატჩში ჩემპიონი წარმატებულ სვლას შეწყვეტს, მაგრამ თავისთავად ინტრიგაც არის. მასპინძელთა ვერმოგების შემთხვევაში „ვიტ ჯორჯია" მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გუნდი გახდება, „ტორპედოს" ქულებს რომ დააკარგვინებს. თავისთავად აზარტში არიან ქუთაისელებიც, გეხსომებათ, რიონისპირელებმა შარშან „დინამოს" რეკორდი გაიმეორეს და ზედიზედ 11 მატჩში გაიმარჯვეს. ასე რომ, რეკორდი მოუხსნელია, თუმც ცდა ბედის მონახევრეა და უეჭველად ქუთაისელები თავისას ეცდებიან.

ამ გუნდების ურთიერთშეხვედრების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ფრე უფრო მოსალოდნელი. განვლილი ორი ჩემპიონატის სამ ქუთაისურ მატჩში სწორედ ეს შედეგი დაფიქსირდა, მაგრამ მარტო სტატისტიკის იმედად ვერ იქნებიან ვეტერინარები. ჯანი კარნევალიმ მასპინძელთა აგრესიას რაღაც განსაკუთრებული რამ თუ არ დაუპირისპირა, მის გუნდს წარმატების შანსი ფაქტობრივად არ ექნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვეტერინარები წლეულს სტუმრად ერთობ სუსტად გამოიყურებიან.

**სამგურალი — დინამო**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 8 +1=1-6 | 4:18 |
| სულ: | 17 +1=3-13 | 10:59 |

„სამგურალმა" ბოლოს და ერთადერთხელ ათი წლის წინ შეძლო „დინამოს" დამარცხება. მაშინ მასპინძლებმა სენსაცია გამოაცხვეს და 2:1 სძლიეს მომავალ ჩემპიონს. მას მერე შინ და გარეთ აგებდნენ იმერლები, მხოლოდ სამჯერ შეძლეს დედაქალაქელებთან ქულის ალება.

წლეულს უმაღლეს ლიგას დაბრუნებული „სამგურალი" ერთობ არასტაბილურია. ეს არც არის გასაკვირი. წინა სეზონის შემდეგ გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. თანაც ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპიც გაუცდათ წყალტუბოელებს და დღეისთვის უმთავრეს მიზნად ლიგაში დარჩენა დაუსახავთ. „დინამომ" კი გასულ ტურში თავს და „მერანს" აჯობა და საეჭვოა, წყალტუბოში თავი შეირცხვინოს. გივი ნოდიას ბიჭებს კარგი შანსი აქვთ საიმისოდ, რომ სატურნირო ვითარება გამოისწორონ, რაც საძნელო სულაც არ ჩანს, ჩინებულ ფორმაში არიან ვიტალი დარასელია და ლადო ბურდული. მათზე რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული, ეს „დინამო" — „მერანის" მატჩმაც დაადასტურა.

**კოლხეთი — მეტალურგი**

**ერთმანეთს არ შეხვედრიან**

დიდი ფილოსოფია არ სჭირდება იმის მტკიცებას, რომ ამ მატჩში ფავორიტი „კოლხეთია". მეშვიდე ტურში ბათუმში დაჩოქებული ფოთელები ჯავრს ალბათ „მეტალურგზე" იყრიან. ბოლო დროს დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, „კოლხეთი" უთუოდ იგებს წაგების შემდეგ და დღესაც ძნელად თუ დაირღვევა ეს ტრადიცია. დებიუტანტი „მეტალურგი" კი დღემდე ერთადერთ გუნდად რჩება, რომელსაც მოგების გემო არ გაუგია მიმდინარე ჩემპიონატში.

**გურია — ბათუმი**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 10 +3=3-4 | 11:13 |
| სულ: | 21 +4=4-13 | 15:50 |

გურულებმა გასულ ტურში, რუსთავში „გორდას" ძლევით დაამტკიცეს, რომ გაცილებით უკეთ თამაში შესძლებიათ. ლანჩხუთელთა ალმაცლობის მიზეზს კი ვერაფრით ავუვლით გვერდს. გამოცდილმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ თავისი ხელი დაატყო აუტსაიდერ დებიუტანტს და უეჭველად შემდეგაც არაერთ სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

გუნება-განწყობა „ბათუმსაც" არ დაეწუნება. ასლან ბალაძის გუნდი დღითი დღე იკრებს ღონეს და წინ მიიწევს სატურნირო ცხრილში. „ბათუმი" ყველასთვის ანგარიშგასაწევია, მაგრამ ისიც ბევრისთვის ცნობილია, რომ ძირითადად ვეტერანების ხარჯზე გადიან ზღვისპირელები ფონს და, ჩემი აზრით, აჭარელთა შემდგომი წარმატებები მაჭუტაძის და ტულუშის გამძლეობაზეა დამოკიდებული.

დღევანდელ მატჩში ლანჩხუთელებს დისკვალიფიკაციის გამო კონსტანტინე მეტრეველი და როინ მარღიშვილი დააკლდებათ.

**სიონი — გორდა**

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 6 +2=2-2 | 7:7 |
| სულ: | 12 +2=2-8 | 8:23 |

კბილთა ღრჭიალი იქნება ბოლნისში ქვემოქართლურ დერბიში. ორივე გუნდისთვის თითოეული ქულა ძვირად ფასობს და სავარაუდოდ უშელავათო ბრძოლის მოწმე გახდება „თემურ სტეფანიაზე" მიმსვლელი.

ჩემპიონატზე გულაცრუებული არიან რუსთაველები. გასული ტურის შემდეგ მსაჯობით აღშფოთებული „გორდას" პრეზიდენტი ბოიკოტით დაიმუქრა, მაგრამ თემურ ბუილიშვილს „გორდას" წარუმატებლობის მიზეზები უეჭველად გუნდშივე აქვს საძიებელი.

რუსთაველები ახალი მწვრთნელით ეწვევიან ბოლნისს. იასონ ალადაშვილის ადგილი თსუ-ში და 18-წლამდელთა ნაკრებში ნამუშევარმა თენგიზ კაციამ დაიკავა და წარმატებული დებიუტის მისაღწევად ბევრსაც ეცდება, მაგრამ „სიონს" საკუთარი ქომაგის გულის მოგება განუზრახავს — ვეჭვობ, ალას და კომპანიას „ლოკომოტივთან" შერცხვენა დავიწყებოდათ.

შინაური კედლების გარდა „სიონს" ერთი არცთუ მცირე უპირატესობაც აქვს. „გორდას" ვარლამ კილასონია არ ეყოლება. გუნდში არსებული არასაფეხბურთო ვითარების გამო რუსთაველთა ლიდერმა მშობლიურ კლუბზე გული აიცრუა.

ბოლოს ისტორიასაც გადავხედოთ: ბოლნისში გამართულ ექვს მატჩში ორ-ორჯერ იმარჯვა სტუმარ-მასპინძელმა, ორი მატჩიც ფრედ დამთავრდა. ასე რომ, დღეს ერთი ორიანი სამიანით შეიცვლება, ჩვენ კი იმის იმედი ვიქონიოთ, რომ ფეხბურთელები ხუთიანზე შეასრულებენ თავიანთ საქმეს.

**ბაატა ძგანტალიანი**

თბილისი. ლოკომოტივი. 25 სექტემბერი. 17.30 საათი

**ლოკომოტივი — მერანი**

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი, ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

დისკვალიფიცირებული: ანდრეი მუხინი, რომეო გოგიტიძე (მერანი)

წყალტუბო. 26 მაისი. 25 სექტემბერი. 17.30 საათი

**სამგურალი — დინამო**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზადოლიძე (თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ქუთაისი. ტორპედო. 25 სექტემბერი. 17.30 საათი

**ტორპედო — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ლ. სილაგავა; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ფოთი. ფაზისი. 25 სექტემბერი. 17.30 საათი

**კოლხეთი — მეტალურგი**

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 25 სექტემბერი. 17.30 საათი

**გურია — ბათუმი**

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე, ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

დისკვალიფიცირებული: კონსტანტინე მეტრეველი, როინ მარღიშვილი (გურია)

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 25 სექტემბერი. 17.30 საათი

**სიონი — გორდა**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 7 | 7 | 0 | 0 | 19:1 | 18 | 21 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 10 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 9 |
| 2 მერანი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:8 | 3 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:7 | -2 | 7 |
| 3 ლოკომოტივი | 7 | 5 | 0 | 2 | 15:6 | 9 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 3 | 6 |
| 4 ბათუმი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:5 | 6 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 12 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 |
| 5 კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 16:12 | 4 | 12 | 4 | 4 | 0 | 0 | 14:3 | 11 | 12 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | -7 | 0 |
| 6 დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 16:7 | 9 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 13:2 | 11 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 3 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 1 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 7:8 | -1 | 3 |
| 8 სამგურალი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | -10 | 0 |
| 9 სიონი | 7 | 2 | 1 | 4 | 4:15 | -11 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:8 | -4 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | -7 | 1 |
| 10 გურია | 7 | 1 | 2 | 4 | 5:10 | -5 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | -3 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 |
| 11 გორდა | 7 | 1 | 1 | 5 | 6:17 | -11 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | -6 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 12 მეტალურგი | 7 | 0 | 1 | 6 | 2:19 | -17 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:12 | -10 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 8 - აშვეთია | ტორპედო |
| 7 - ბობოხიძე | დინამო |
| 6 - წიწკიშვაძე | კოლხეთი |
| 5 - მაჭუტაძე | ბათუმი |
| დათვაძე | ლოკომოტივი |
| 4 - გოგოვერიშვილი | ვიტ ჯორჯია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

VII ტური

### ლიდსი 3:0 დერბი ქაუნთი

1:0 ბაკე (9), 2:0, 3:0 კიუელი (74, 78)
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, ბაკე, ბეტი, კიუელი, ვიდუკა, რობი კინი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, ჰიგინბოთემი, რიგოტი, მავენი, ბოერტიენი, მიური (ძინძლაძე 81), დ. პაუელი, ს. ჯონსტონი, ბ. ონილი, რავანელი (დ. ბარტონი 80), კრისტი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: მატეო, ჯონსონი, ბოერტიენი
მსაჯი: უილი
39 155 მაყურებელი

### ჩელსი 2:2 მიდლსბრო

1:0, 2:0 ჰასელბაინკი (3, 37), 2:1 სტოკდეილი (61), 2:2 ბოკშიჩი (90პ)
ჩელსი: დე გუი, გალასი, დესაი, ტერი, ბაბაიარო (ლე სო 78), ზენდენი (ძოლა 89), ლამპარდი (ჯ. მორისი 69), იოკანოვიჩი, მელხიოტი, გუდიონსენი, ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
მიდლსბრო: კროსლი, ფლემინგი (მარინელი 74), კუპერი, გევინი, საუთგეიტი, ჯონსტონი (სტოკდეილი 46), გრინინგი, ინსი, მასტო (უილსონი 74), დინი, ბოკშიჩი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: დესაი, იოკანოვიჩი, ჰასელბაინკი, მელხიოტი, გევინი, დინი
მსაჯი: სტაილზი
36 767 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 3:0 ნიუკასლი

1:0 ჰათჩისონი (18), 2:0 დი კანიო (53), 2:1 კანო (82)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ტ. სინკლერი, შემელი, რეპკა, დეილი, უინტერბერნი, კარტუა (მონკუ 87), კარიკი, ჰათჩისონი, დი კანიო, კანო (დეფო 83)
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი (დისტინი 58), დაბიზასი, ობრაიენი, რ. ელიოტი, სოლანო (ამეობი 76), აკუნია, ლი, რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: მონკუ, შემელი, უინტერბერნი
მსაჯი: ჯოუნსი
20 840 მაყურებელი

### არსენალი 1:1 ბოლტონი

1:0 ჯეფერსი (74), 1:1 რიკეტსი (83)
არსენალი: სიმენი, ეშლი კოული, ადამსი, გრიმანდი (აპსონი 31), ლუენი, ვიეირა, პარლოუ (პირესი 72), ვან ბრონკჰორსტი (ჯეფერსი 69), ბერხკამპი, ანრი, ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ბოლტონი: იასკელაინენი, უიტლოუ, ბერგსონი, ვარჰურსტი (დიავარა 79), ბერნესი, ჩარლტონი, გარდნერი, ნოლანი, მ. ჯონსონი, პედერსენი (უოლესი 80), ჰოლდსუორთი (რიკეტსი 61)
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
გაფრთხილება: ვან ბრონკჰორსტი, ჯონსონი
გაძევება: გარდნერი (30)
მსაჯი: უილკისი
38 014 მაყურებელი

### ბლექბერნი 1:0 ევერტონი

1:0 გრაბი (37)
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, ბერგი, ბიორნებიუ, დ. ჯონსონი, მაკატირი (ჰინეტი 77), ფლიტკროფტი, თუგაი, დაფი (მაჰონი 44), იანსენი, გრაბი (მ. ჰიუზი 63)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ევერტონი: ჟერარი, სტაბსი, ვეირი, ნეისმიტი, ზავიერი, გრავესენი (ანსუორთი 73), გესქოინი, ალექსანდერსონი, ჰაიბერტი (მური 73), კემპბელი, დ. ფერგიუსონი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: ნაილი, ალექსანდერსონი, მური
მსაჯი: ბარბერი
27 732 მაყურებელი

### ლესტერი 0:0 ფულემი

ლესტერი: ი. უოქერი, მარშალი, მ. ელიოტი, დავიდსონი, ფ. სინკლერი (როუეტი 34), მარტინ სტიუარტი (იმპი 80), სევიჯი, უაიზი, იზეტი, სკოუკროფტი, სტარიჯი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, მელვილი, ნაითი (საიმონსი 64), ბრევეტი, კლარკი, შ. დევისი, კოლინზი, ბოა მორტე (ლეგვინსკი 46; მალბრანკი 69), საჰა, მარლე
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: სინკლერი, სტიუარტი, ბოა მორტე, დევისი
მსაჯი: უოლსტენჰოლმი
18 918 მაყურებელი



REUTERS

ლესტერი — ფულემი. ძალიან საშიში ვითარება: ლონდონელ შონ დევისთან ორთაბრძოლაში მასპინძელმა ჯეიმს სკოუკროფტმა (მარცხნივ) ბურთს ფეხი ააცილა...

# ეს ბოლტონი რა ყოფილა?!

### ლივერპული 1:0 ტოტენჰემი

1:0 ლიტმანენი (57)
ლივერპული: დუდეკი, ვინალი, ანშო, ჰიიპია, კარაგერი, ბისკანი, ბარმბი, ჰამანი, რიისე, ლიტმანენი (ოუენი 68; მაკალისტერი 84), ფაულერი (ჰესკი 60)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ტოტენჰემი: სალივანი, ტარიკო, კინგი, პერი, ციეგე, ანდერტონი, ფრიინდი, პოიეტი, ს. დევისი (რებროვი 73), შერინგემი, ლ. ფერდინანდი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ვინალი, ფრიინდი
მსაჯი: გალაჰერი
44 116 მაყურებელი

### მანჩესტერი 4:0 იფსვიჩი

1:0 იონსენი (13), 2:0 სოლსკიაერი (20), 3:0 კოული (90), 4:0 სოლსკიაერი (90)
მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, მეი, იონსენი, სილვესტრი, ჩედვიკი (სქოულზი 65), ბათი, როი კინი (ვერონი 76), ფორჩუნი, ენდი კოული, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
იფსვიჩი: სერენი, მაკინი (კლაპამი 58), მაკგრილი, ბრემბლი, ჰრეიდარსონი, უილნისი (ს. რაიტი 75), ჰოლანდი, ფინიდი (როიზერი 59), ა. არმსტრონგი, მარკუს სტიუარტი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარბლი
გაფრთხილება: მაკგრილი
მსაჯი: ბერი
67 551 მაყურებელი

### სანდერლენდი 2:2 ჩარლტონი

0:1 ბარტლეტი (11), 0:2 ბრაუნი (61), 1:2, 2:2 ქუინი (74, 77)
სანდერლენდი: მაკო, ჰაასი, გრეი, კრადოკი, უილიამსი, გევინ მაკკენი, შვარცი, არკა, ფილიპსი, ნ. ქუინი, ლასლანდი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ჩარლტონი: დ. კელი, კ. პაუელი, ფიში, იანგი, ს. ბარუნი, კონჩესკი, პარკერი (ტოდი 84), კინსელა, გ. სტიუარტი (ჯ. რობინსონი 46), იოჰანსონი (იუელი 76), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ლასლანდი, ჰაასი, კონჩესკი, იოჰანსონი, ფიში
მსაჯი: დურსო
46 825 მაყურებელი

### საუთჰემპტონი — ასტონ ვილა

წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

ეს „ბოლტონი“ რა ყოფილა! ადგა და ქულა წამოიღო „ჰაიბერიდან“. შეხვედრის გადამწყვეტი ერთი საათი ათი კაცით ითამაშა და ანგარიში გაათანაბრა. „ბოლტონი“ ფეხდაფეხ მისდევს „ლიდსს“, რომელმაც შინ „დერბის“ მოუგო და ლიდერია, თან თამაშით ნაკლები აქვს.

„ჰაიბერიზე“ კი ეს ამბავი იყო, „არსენალი“ მთელი თამაშის განმავლობაში უტევდა და „ბოლტონი“ კარში იდგა. ასეთი შეხვედრების ანგარიში ჩვეულებრივ 3:0-ია ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა. სტუმრები საქმის ცოდნით იცავდნენ თავს და კარის ხაზზე დატრიალებული ბურთი ეგრეც არ გადასულა ხაზს იქით. ამას ისიც დაერთო, რომ უკვე 30-ე წუთზე ბოლტონელებს რიკარდო გარდნერი გაუძევეს უკანასკნელი იმედის ჯარიმით. გარდნერმა კარისკენ დაძრულ დენის ბერხკამპს უკნიდან ჰკრა ხელი.

თუმცა, ამ გაძევებით ბევრი არაფერი შეცვლილა, „ბოლტონი“ თავის საჯარიმოსთან დარჩა, მეთოფეებმა კი შეუტიეს. მასპინძელთა გოლი გვიანი გამოდგა: შეცვლაზე შესულმა რობერ პირესმა ტიერი ანრის ბრწყინვალე გადაცემა მიიღო, ოფსაიდის მომლოდინე ბოლტონელ მცველებს ყურადღება არ მიაქცია და ასევე შეცვლაზე შესულ ფრენსის ჯეფერსს ცარიელ კარში შეაგდებინა ბურთი. „არსენალის“ შეტევები კვლავ გაგრძელდა, თუმცა, სტუმრებსაც ჰყავდათ ერთი შემცვლელი, რომელმაც მატჩის ბედი შემოატრიალა. მაიკლ რიკეტსს უკვე გაუტანია პრემიერლიგაში და ამჯერადაც გვარიანი სირთულის ბურთი შეაგდო. თუმცა, იმის აღნიშვნაც აუცილებელია, რომ ამ გოლისას ტონი ადამსს ჩამოეძინა. „არსენალმა“ ველარაფერი გააწყო.

„ლიდსმა“ კი შინ მოუგო „დერბის“. 3:0 მოუგო, მაგრამ ეს ძნელი გამარჯვება იყო. „ლიდსი“ ადრევე დაწინაურდა ერიკ ბაკეს თავურით, თუმცა, მანამდე იყო ავტოგოლი, რომელიც რიო ფერდინანდმა გაიტანა და მსაჯმა არ ჩათვალა, ფაბრიციო რავანელი თამაშგარეში იყოო. საერთოდ, რავანელი ისე იქცეოდა, როგორც პაოლო დი კანიო იქცევა ხოლმე. აქვე ითქვას, კვირა საღამოს დი კანიომ ბრწყინვალე გოლი გაუტანა „ნიუკასლს“, რომელსაც ლონდონში „აპტონ პარკზე“ ბარე 25 თამაში იქნებოდა, ვერ ემარჯვა. „ვესტ ჰემმა“ კი პირველად მოიგო ამ სეზონში და თანაც 3:0.

„ლიდსის“ შეხვედრას რომ დავუბრუნდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰარი კიუელმა გვიანი დუბლი შეასრულა და დერბელებს საბოლოოდ აალებინა ხელი წინააღმდეგობაზე. „შანსები უკეთ უნდა გამოვიყენოთ“ — თქვა თამაშის შემდეგ კიუელმა. „უკვე აშკარაა, რომ ყველა მზადაა ჩვენთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის“ — ეს რიო ფერდინანდის სიტყვებია.

„ლივერპულმა“ შინ სძლია „ტოტენჰემს“. რობი ფაულერთან შეწყვილებულმა იარი ლიტმანენმა იშვიათი სილამაზის შორეული დარტყმით გაიტანა შეხვედრის ერთადერთი გოლი. ჟერარ ულიემ თითქოს ჩემპიონთა ლიგისთვის დაასვენა რამდენიმე ფეხბურთელი, მაგრამ თამაშის ბოლოს მაინც შეუშვა ისინი მინდორზე. ეს საბედისწერო გამოდგა მაიკლ ოუენისთვის, რომელსაც ერთ-ერთი გარღვევისას ორთავა კუნთი გაუწყდა და სამი კვირით მაინც დასვენება მოუწევს. „ის ბრწყინვალე ფორმაში იყო“ — დანანებით აღნიშნა ულიემ.

კვლავ ვერ მოიგო „ფულემმა“, რომელიც ლესტერში დაუზავდა იქაურებს. აი, „ბლექბერნმა“ კი მოიგო კორადო გრაბის გოლით. „ბლექბერნის“ ეს გამარჯვება ზედიზედ მეოთხე მარცხი გამოდგა „ევერტონისთვის“, რომელმაც სიმართლე ითქვას და, კარგად ითამაშა. მასპინძელთა მეკარე ბრედ ფრიდელმა პენალტი აუღო დანკან ფერგიუსონს და საერთოდაც ეს ამერიკელი შეხვედრის გმირი იყო.

„ჩელსი“ თითქოს იოლად უგებდა „მიდლსბროს“. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის მიერ პირველ ტაიმში შესრულებული დუბლი ამის საწინდარი იყო. მაგრამ „ბორომ“ ხომ უკვე გამოიღვიძა. გამოიღვიძა და ერთი გოლი ზედახერაში გაქვითა, მეორე კი სულ ბოლო წუთზე, პენალტით გაიტანა, რახან მსაჯმა ლონდონელი გრემ ლე სოს ხელის და ბურთის ურთიერთკავშირი დალანდა. მასპინძელთა პროტესტმა შედეგი არ გამოიღო. ასევე შემოუტრიალა თამაში „სანდერლენდმა“ „ჩარლტონს“. ისე, როგორც ერთი კვირის წინათ, ამჯერადაც მთავარი გმირი უბერებელი ირლანდიელი ნეილ ქუინი იყო, რომელმაც სამწუთიან მონაკვეთში შეასრულა დუბლი და „ჩარლტონელებს“ ქულა აკმარა გასვლით შეხვედრაში.

„მანჩესტერი“ „იფსვიჩს“ მასპინძლობდა და სერ ალექს ფერგიუსონმაც არ ულალატა ამ სეზონში შემოღებულ ხერხს, შემადგენლობა მკვეთრად გაახალისა. ერთ დროს ძირითადი შემადგენლობის ვარსკვლავმა და ჩემპიონთა თასის მომგებმა ბიჭებმა სულ იოლად გატეხეს „იფსვიჩი“. მათი მონდომება და ოსტატობა შესაშური იყო, ოღონდ დღეს ლა კორუნიაში მაინც სხვები ითამაშებენ.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 6 |
| ანრი (არსენალი) | 4 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 4 |

VIII ტური

29 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა | ბლექბერნი |
| ბოლტონი | სანდერლენდი |
| ჩარლტონი | ლესტერი |
| დერბი | არსენალი |
| ევერტონი | ვესტ ჰემი |
| ფულემი | ჩელსი |
| იფსვიჩი | ლიდსი |
| მიდლსბრო | საუთჰემპტონი |
| ნიუკასლი | ლივერპული |
| ტოტენჰემი | მანჩესტერი |

## პირველი დივიზიონი

IX ტური

### უოლსოლი 0:3 ვულვერჰემპტონი

0:1 კენედი (20), 0:2 მილერი (22), 0:3 ნიუტონი (26)
თიმურ ძიგბაია ტრავმირებულია

### ბირმინგემი 0:1 პრესტონი

0:1 ედვარდსი (58)

### ქოვენთრი 2:0 პორტსმუთი

1:0 ბოტროიდი (17), 2:0 კარსლი (71)

### ქრიუ 1:0 უოტფორდი

1:0 ჰალსი (37)

### კრისტალ პალასი 1:0 ბარნსლი

1:0 რიიჰილაჰტი (90)

### ჯილინგემი 2:1 როტერჰემი

1:0 კინგი (27), 2:0 ჰოპი (54), 2:1 რობინსი (90)

### მილუოლი 2:0 შეფილდ იუნაიტედი

1:0 ნეტერკოტი (16), 2:0 კინეტი (82)

### ნორვიჩი 2:1 ბარნლი

1:0 ჰოლტი (4), 2:0 რობერტსი (55), 2:1 არმსტრონგი (58)

### შეფილდ უენსდი 2:6 მანჩესტერ სიტი

1:0 ბონვინი (3), 1:1 ბენარბია (32), 1:2 გოტერი (35), 2:2 ბროუნი (47), 2:3 გრენვილი (59), 2:4 ვაჩოპე (68), 2:5 გოტერი (70), 2:6 ვაჩოპე (80პ)

### სტოკპორტი 3:3 გრიმსბი

1:0 ჰარდი (3), 1:1 როუენი (22), 2:1 ჰარბი (45), 2:2 ბარნეტი (64), 3:2 უილბრემი (69), 3:3 კემპბელი (75)

### ვესტ ბრომვიჩი 0:1 უიმბლდონი

0:1 შიპერლი (90)

### ნოტინგემი 1:0 ბრედფორდი

1:0 ჯენასი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 9 | 7 | 0 | 2 | 24:14 | 21 |
| ნორვიჩი | 8 | 6 | 1 | 1 | 12:7 | 19 |
| ვულვზი | 8 | 5 | 3 | 0 | 16:9 | 18 |
| სიტი | 8 | 5 | 0 | 3 | 24:16 | 15 |
| ნოტინგემი | 9 | 4 | 3 | 2 | 10:6 | 15 |
| პორტსმუთი | 9 | 4 | 3 | 2 | 16:13 | 15 |
| გრიმსბი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:14 | 15 |
| ბრედფორდი | 9 | 4 | 2 | 3 | 17:10 | 14 |
| ვესტ ბრომვიჩი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:6 | 13 |
| ქოვენთრი | 8 | 4 | 1 | 3 | 10:7 | 13 |
| კრ. პალასი | 7 | 4 | 0 | 3 | 18:14 | 12 |
| უიმბლდონი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:13 | 12 |
| მილუოლი | 8 | 4 | 0 | 4 | 12:10 | 12 |
| ბირმინგემი | 8 | 4 | 0 | 4 | 13:12 | 12 |
| ჯილინგემი | 8 | 3 | 1 | 4 | 14:12 | 10 |
| უოტფორდი | 8 | 3 | 0 | 5 | 10:13 | 9 |
| პრესტონი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:13 | 9 |
| ქრიუ | 8 | 3 | 0 | 5 | 6:15 | 9 |
| შეფილდი | 8 | 1 | 5 | 2 | 8:10 | 8 |
| ბარნსლი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:16 | 8 |
| უენსდი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:15 | 6 |
| უოლსოლი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:16 | 5 |
| სტოკპორტი | 8 | 0 | 3 | 5 | 10:18 | 3 |
| როტერჰემი | 8 | 0 | 3 | 5 | 8:16 | 3 |

## მეორე დივიზიონი

8-9 ტური: ბლეკპული — კემბრიჯი 1:1; ბრენტფორდი — ოლდემი 2:2; ბრაიტონი — ბორნმუთი 2:1; ბერი — სტოკი 0:1; კარდიფი — ჰადერსფილდი 1:2; ჩესტერფილდი — სუინდონი 4:0; კოლჩესტერი — ნოტსი 0:1; პიტერბორო — ბრისტოლი 4:1; პორტ ვეილი — ნორთჰემპტონი 0:1; რედინგი — უიკომბი 2:0; ტრანმერი — რექსემი 5:0; უიგანი — ქუინზ პარკი 1:2

## მესამე დივიზიონი

8-9 ტური: როჩდეილი — იორკი 2:2; კარლაილი — ლინკოლნი 2:2; დარლინგტონი — ექსეტერი 4:0; ჰალიფაქსი — ლეიტონი 0:0; ჰარტლპული — კიდერმინსტერი 1:1; ჰალი — სუონსი 2:1; ლუტონი — ტორკი 5:1; ოქსფორდი — საუთენდი 2:0; პლიმუთი — მაკლსფილდი 2:0; რაშდენი — ჩელტენემი 1:0; სკანთორპი — მენსფილდი 0:0; შრუსბერი — როჩდეილი 1:0

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლიდსი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:1 | 8 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 5 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 |
| 2 ბოლტონი | 7 | 3 | 3 | 1 | 10:4 | 6 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 4 | 1 | 3 | 0 | 7:2 | 5 | 6 |
| 3 არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:5 | 9 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 7 |
| 4 მანჩესტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 17:10 | 7 | 11 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 8 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 2 |
| 5 ჩელსი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:6 | 3 | 9 | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 0 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 |
| 6 ლივერპული | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 1 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 7 ბლექბერნი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 0 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 8 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 8 სანდერლენდი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:7 | -1 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | -2 | 2 |
| 9 ნიუკასლი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:9 | 1 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 1 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 |
| 10 ტოტენჰემი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 0 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 |
| 11 ევერტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 12 მიდლსბრო | 7 | 2 | 1 | 4 | 7:14 | -7 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | -5 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 13 ასტონ ვილა | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 |
| 14 ფულემი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | -1 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 15 ვესტ ჰემი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 0 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 16 ჩარლტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 17 იფსვიჩი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 |
| 18 დერბი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:9 | -5 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 |
| 19 ლესტერი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:13 | -9 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | -6 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 3 |
| 20 საუთჰემპტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 3 |

## გერმანია

VII ტური

**ფრაიბურგი 2:0 შალკე**

1:0 ჰაიტო (55ს.კ.), 2:0 ტანკო (68)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, კელი, ა. ცაიერი (კაუფმანი 90), ციტაიშვილი, კობიაშვილი, კულიბალი, ტანკო (ფ. გერბერი 79), სელიმი, იაშვილი (ვ. ბუტი 63)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი (მატელანი 6), კმეტში, უდე კამფუისი (ბიოსკენი 79), ბიომე, ასამოა, ვერმანტი (აგალი 72), მიოლერი, ე. მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
გაფრთხილება: ჰაიტო, აგალი
მსაჯი: გაგელმანი
25 000 მაყურებელი

**კიოლნი 1:2 ნიურნბერგი**

0:1 ნიკლი (15), 1:1 ბარანეკი (24), 1:2 სანე (28)
კიოლნი: ბადე, კულმანი, კელერი, შერცი, შპრინგერი, ბალიტში, ლოტნერი (პივალიევიჩი 80), ბარანეკი, რაიხე (კურტი 46), კროიცი, ა. არველაძე (ტივიორი 46)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ნიურნბერგი: კამპა, სანე, კოსი, იოჰანსონი, ვიბლიშაუზერი, ნიკლი, ლაიტლი, ლ. მიულერი (კრჟინოვეკი 75), იაროლიმი, მიხალკე (სტოილოვი 80), დრილერი (გომისი 62)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ბარანეკი, შპრინგერი
მსაჯი: შტაინბორნი
29 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:1 ლევერკუზენი**

1:0 ამოროზო (7), 1:1 ბერბატოვი (79)
დორტმუნდი: ლემანი, ვორნსი, როიტერი, იურგენ კოლერი, ევანილსონი, სტევიჩი, დედე, როსიცკი, სორენსენი (რიკენი 58), ამოროზო (ჰერლიხი 78), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, პლასენტე, სებესკენი, რამელო, ბ. შნაიდერი, ბასტურკი (ბერბატოვი 62), ზე რობერტო, ნოივილი (ბრდარიჩი 62), კირსტენი (ტივკოვიჩი 81)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: ამოროზო, ევანილსონი, როსიცკი, რამელო, ლუსიო, ნოვოტნი
მსაჯი: იანსენი
64 500 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 4:1 ჰერტა**

1:0 კლოზე (23), 2:0 ლოკვენცი (50), 2:1 მარსელინიო (80პ), 3:1 პრეეცი (82ს.კ.), 4:1 ლინკოლნი (83)
ბასლერმა ვერ გაიტანა პენალტი (63, ააცილა)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, კლოსი (კულიგი 86), ჰენგენი, ქნავსი, რამზი, რატინიო, ბასლერი, შტრასერი (გრამოცისი 80), ლინკოლნი, ლოკვენცი, კლოზე (ჯორკაეფი 70)
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
ჰერტა: კირალი, სვერისონი, ვან ბურიკი (ტრეჩოკი 69), სიმუნიჩი, მაასი (დაეი 58), გოორი, მარქსი (ჰარტმანი 63), ბაინლიხი, დაისლერი, პრეეცი, მარსელინიო
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: რატინიო, ბასლერი, მაასი, სიმუნიჩი, მარქსი
მსაჯი: შტრამპე
36 927 მაყურებელი

**კოტბუსი 0:3 ბაიერნი**

0:1 ციკლერი (2), 0:2 პიზარო (3), 0:3 ჰიპლიცა (74ს.კ.)
კოტბუსი: ბიპლიცა, შებოკი, და სილვა, მატიუში, ჰუჯეროვიჩი (ლაბაკი 46), აკრაპოვიჩი, რეგვკამბეი, კობილანსკი (ვინცე 46), მირიუტა, ტოპიჩი, ბრაზილია
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ტარნატი, ტიამი, სალიჰამიჯიჩი (პაულო სერჯიო 74), ფინკი (სფორცა 81), ციკლერი (ნ. კოვაჩი 25), სანტა კრუზი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ჰუჯეროვიჩი, ნ. კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი, ტარნატი
მსაჯი: აუსტი
20 100 მაყურებელი

**ჰამბურგი 0:4 ვერდერი**

0:1 აილტონი (13), 0:2 ბოდე (34), 0:3 ერნსტი (84), 0:4 სტალტერი (86)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ჰერჩი, ჰოოგმა, იუფფალუში, ტოფტინგი, გროთი, ალბერტცი, ბარბარეზი, ბენჯამინი (პრეგერი 46), კეტელაერი (ჰაინცი 2), მეიერი
მწვრთნელი: ვოლფგანგ პაიროიმერი



REUTERS მიუნხენიდან

კოტბუსი — ბაიერნი. მასპინძელმა ვრაჟელ და სილვამ (მარცხნივ) და მიუნხენელმა როკე სანტა კრუზმა ბურთი დაკარგეს

ვერდერი: როსტი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ტიკუზე, სკრიპნიკი, ფ. ბაუმანი, ფრინგსი, ბოროვსკი (ფ. ერნსტი 67), ლისტეში, ბოდე (კლასნიჩი 88), აილტონი (სტალტერი 79)
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: ტოფტინგი, ბარბარეზი, პრეგერი, ვერლაატი
მსაჯი: ფროილიხი
43 014 მაყურებელი

**შტუტგარტი 2:1 ჰანზა**

0:1 იაკობსონი (11), 1:1 ბალაკოვი (55პ), 2:1 განია (85)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკეში, ბორდონი, კარნელი, სოლდო, მაისნერი, გლები (ტოდტი 89), ბალაკოვი, ზაიცი (ტიფერტი 75), ადემარი (განია 79)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰანზა: შობერი, იაკობსონი, ბენკენი, ლანგე, შრიოდერი, ოსვალდი, ვიბრანი, ლანცი, რიდლევიჩი, ბაიერლე (სალუ 83), დი სალვო (ბაუმგარტი 69)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: მარკეში, ბორდონი, მაისნერი, სოლდო, ტიფერტი, ბენკენი, შრიოდერი, ლანგე, ბორდონი
გაძევება: ბორდონი (60), ლანცი (64)
მსაჯი: კესლერი
19 500 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 2:2 ზანქტ პაული**

1:0 ვან ლენტი (51პ), 1:1 ბაირამოვიჩი (60), 2:1 ვან ჰუდტი (90), 2:2 მეგლე (90)
მიონხენგლადბახი: შტილი, ვიტეჩეკი, პლეტში, კორელი (ასანინი 77), მიუნხი, ნილსენი, ჰაუსვაილერი, დემო (ულიხი 46), კორზინეცი (მაიკელი 68), ვან ლენტი, ვან ჰუდტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ზანქტ პაული: ბულატი, სტანისლავსკი, ბარისი (ტრულსენი 81), ამადუ, გიბსი, კოლინგერი, კონცი, ბიურგერი, მანსურიანი (ბაირამოვიჩი 58), მეგლე, პაჩინსკი (რატი 58)
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
გაფრთხილება: კორელი, დემო, კონცი, ამადუ, რატი
მსაჯი: ვაკი
30 961 მაყურებელი

**მიუნხენი 2:1 ვოლფსბურგი**

1:0 ბორიმიროვი (5), 1:1 აკონორი (67), 2:1 მაქსი (75)
მიუნხენი: იენში, ფ. ტაპალოვიჩი, ზელიჩი, გრაილიხი (მაქსი 73), ტ. ჰოფმანი, ვიზინგერი (შტუდერერი 59), ბორიმიროვი, ბიროფკა, შელერი (მ. ვაისენბერგერი 67), შროტი, აგოსტინო
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილისკოვი, შნური, ფრანცი, აკონორი, გრაინერი, დ. მუნტიანუ, რაუ (მ. მადსენი 69), კუჰბაუერი (კარჰანი 55), ტ. მარიჩი, რიშე (პეტროვი 46)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ბიროფკა, აკონორი, ბორიმიროვი, აგოსტინო, გრაინერი, აკონორი
გაძევება: აკონორი (84), ბილისკოვი (90)
მსაჯი: კინჰიოფერი
18 000 მაყურებელი

# არაფრად გვაგდებენ? ეს ხომ მშვენიერია...

**სათაურად** გამოტანილი სიტყვები იურგენ ფრიდრიხს, „კაიზერსლაუტერნის" მმართველობის წარმომადგენელს ეკუთვნის და კარგად გამოხატავს ანდრეას ბრემეს გუნდის დღევანდელ განწყობას. მართლაც, „ლაუტერნმა" შვიდიდან შვიდივე ბუნდესლიგის მატჩი მოიგო და „ბაიერნის" ექვსი წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორა, თუმცა მათი საბოლოო წარმატებისა კვლავაც ცოტას თუ სჯერა. იმასაც იხსენებენ, რომ დიდებული დასაწყისის მიუხედავად, მაშინ „ბაიერნი" ჩემპიონი ვერ გახდა და პირველობა დორტმუნდის „ბორუსიას" დარჩა.

რა და როგორ მოხდება, დღეს ვერავინ იტყვის, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე ლაუტერნელებს ნამდვილად არ დაეწუნებათ. ბოლო ათი წლის მანძილზე მათ ბუნდესლიგაში ორჯერ იმარჯვეს და ორივეჯერ მათ წინსვლას საფეხბურთო სამყაროს ეჭვიანობა არ მოჰკლებია. სამი წლის წინ ოტო რეჰაგელის გაწვრთნილი „კაიზერი" მეორედან პირველ ბუნდესლიგაში ავიდა... ალზევდა და პირველივე სეზონში ჩემპიონის სასალათე ჩაიბარა. მაშინ ბრემე ჯერ კიდევ თამაშობდა და გამარჯვების გემო კარგად ახსოვს. ამიტომ რა გასაკვირია, რომ თავსი დროზე იტალიისა და გერმანიის ჩემპიონმა და რაც მთავარია 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა კაცმა თავის ფეხბურთელებს უმაღლესი მიზნისკენ სავალი გზა ასაწვლოს? აი, გასულ შაბათსაც ხომ „ჰერტას" უპრობლემოდ გაუმკლავდნენ.

22 წლის ბრაზილიელი ლინკოლნი „ლაუტერნმა" ამ ზაფხულს 7,5 მილიონ მარკად გადაიბირა „ატლეტიკო მინეიროდან". კლუბის ისტორიაში ეს ყველაზე ძვირადღირებული შენაძენი გახლდათ. და ლინკოლმაც გაამართლა, „ჰერტასთან" ჩინებულად შეასრულა გამთამაშებლის ფუნქცია და უკვე მეორედ მოხვდა „კიკერის" შედგენილ ტურის სიმბოლურ ნაკრებში. მის გარდა „ტურის გუნდში" ლაუტერნელი რატინიო, კლოზე და ლოკვენციც შეიყვანეს. ესეც ბრემეს ბიჭების კიდევ ერთი აღიარებაა...

პირველი ტაიმის შუაში ლოკვენცმა კლოზე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და ანგარიში გაიხსნა. მერე ორ კუთხურს კიდევ ორი გოლი მოჰყვა, მეორე ბერლინელმა მიხაელ პრეეცმა შეაგდო საკუთარ კარში. წერტილი კი ისევ ლოკვენცის ჩაწოდების შემდეგ, ლინკოლმა დასვა. გარდა ამისა, 64-ე წუთზე ბასლერმა პენალტი ვერ გაიტანა... და კიდევ, მასპინძელთა შორის წლეულს პირველად გამოჩნდა 33 წლის ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი იური ჯორკაეფი. აქამდე ის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო არ თამაშობდა.

ტურის მთავარ მატჩში „დორტმუნდი" და „ლევერკუზენი" ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ. თუმც, რომ არა სტუმართა მეკარე ბუტის საუცხოო თამაში, მშვიდობაზე ლაპარაკი სასაცილო იქნებოდა. პირველ თხუთმეტ წუთში „დორტმუნდს" სულ ცოტა სამჯერ უნდა გაეტანა, მაგრამ მხოლოდ ბრაზილიელმა ამოროზომ მოახერხა თავის გამოჩენა და ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში კვლავ დაწინაურდა. სტუმართაგან კი საპასუხო შეცვლაზე შესულმა ბერბატოვმა შეაგდო და ტელეკამერების წინ ოთხი თითით რალაც ჟესტი გამოსახა. როგორც მერე ახსნა, იმ დღეს მამამისს ორმოცი წელი შესრულებია და ბულგარელმაც გოლი იუბილარს მიუძღვნა.

შაბათს, წინასამატჩო ამბებში ვწერდით, ოტმარ ჰიცფელდს კიდევ ერთხელ მოუწევს ტაქტიკის ჯადოსნის სახელის დამტკიცება, რადგან ლამის ნახევარი გუნდი დაშავებული ჰყავსო, მაგრამ „ბაიერნის" მწვრთნელი უფრო შორს წავიდა, ეფენბერგი, შოლი, იერემისი, ლინკე და იანკერი ხომ არ ჰყავდა და ძირითადში არც ელბერი, პაულუ სერჟიო, სფორცა და ნიკო კოვაჩი დააყენა, ხოლო ლიზარაზუ სულაც მიუნხენში დატოვა. თურმე ფრანგს რაღაც-რაღაცეები თავში ავარდნია და მწვრთნელს მისი დასჯა განუზრახავს. გამოუვიდა კიდეც, ლიზარაზუს მარცხენა ფრთაზე ტარნატმა ითამაშა, რომელიც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს...

„კოტბუსი" სულ მეორე სეზონია ბუნდესლიგაში თამაშობს, მაგრამ „ბაიერნთან" უკვე რაღაც მტრული დამოკიდებულება უყალიბდება. შარშანდელის არ იყოს, მისი „მეგობრობის" სტადიონი არც ამჯერად შეხვედრია ბავარიელებს მეგობრულად. დაიწყო თუ არა თამაში, ტრიბუნებიდან ლითონის მონეტები ისროლეს, ერთი სანიოლს მოხვდა თავში, მეორე თანამსაჯს, თუმცა მინდორზე ომი არ გაჩაღებულა. მიზეზი, ალბათ ის იყო, რომ უკვე მეხუთე წუთზე ციკლერისა და პიზაროს გოლებით „ბაიერნი" 2:0 იგებდა. მესამე გოლი, რომელიც კოტბუსელმა მატიუშმა გაიტანა საკუთარ კარში, არავისთვის საინტერესო აღარ იყო.

შარშან დებიუტანტმა „კოტბუსმა" ჩემპიონს 1:0 მოუგო, თამაში ძალიან ბინძური გამოდგა. ხუთი ბაიერნელი გააფრთხილეს და პაულუ სერჟიოს გოლიც არ ჩაუთვალეს. მერე კი კლუბების ხელმძღვანელებმა ერთმანეთი გამოლანძღეს.

ახლა ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. შედეგი მასპინძელთა მწვრთნელმა ედუარდ გაიერმაც სამართლიანად შეაფასა: „ჩვენი გუნდი შარშანდელზე უკეთესი არ არის და „ბაიერნთან" კიდევ მოგება ძიდი სენსაცია იქნებოდა".

ოტმარ ჰიცფელდმა კი ასე განსაჯა: „ორი სწრაფი გოლის მერე ჩემი ფეხბურთელები თავისუფლად თამაშობდნენ და კონტრშეტევებზე რამდენჯერმე გატანაც შეეძლოთ. „კოტბუსი" ძალიან მოძრავი გუნდია და ასეთი შემადგენლობა იმიტომ ავირჩიე, მოძრავებს მოძრავები დავუპირისპირე".

კარლ ჰაინც რუმენიგე, „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი: „ბევრი დაშავებული გვყავს, მაგრამ ვინც დღეს ითამაშა, ისინიც ძლიერები არიან. ხშირად მეკითხებიან, მართალია თუ არა, რომ „ბაიერნს" გარდამავალი პერიოდი დაუდგაო, შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ჩვენი მიზანი ისევ ძველებურია — ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება".

ახლა ჩვენიანებზეც ვთქვათ. ხუთმატჩიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, მოიგო „ფრაიბურგმა". ფინკეს გუნდმა თავის „დრაიზამ შტადიონზე" ბუნდესლიგის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი „შალკე" დაამარცხა. ქართული სამეული თავიდანვე მინდორზე იყო და მხოლოდ იაშვილი შეცვალეს მეორე ტაიმის შუაში. სხვათა შორის, ტომაშ ჰაიტის გოლი, რომელიც პოლონელმა თავის მეკარეს ფეხებს შუა გაუტანა, იაშვილის ჩაწოდებას მოჰყვა.

„კიოლნის" ძირითადში კი წლეულს პირველად გამოჩნდა ტრავმამოშუშებული არჩილ არველაძე. „კიოლნმა" მოულოდნელად შინ „ნიურნბერგთან" წააგო, თუმცა ქართველი მაინც გამოირჩა, ბარანეკმა სწორედ მისი პასით გაიტანა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლაუტერნი | 7 | 7 | 0 | 0 | 20:7 | 13 | 21 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:5 | 6 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 9 |
| 2 ბაიერნი | 7 | 5 | 1 | 1 | 12:2 | 10 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 7 |
| 3 ლევერკუზენი | 7 | 4 | 3 | 0 | 14:7 | 7 | 15 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 4 | 8 |
| 4 დორტმუნდი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:4 | 7 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 6 |
| 5 შტუტგარტი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 3 | 12 | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 1 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 |
| 6 შალკე | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 4 |
| 7 კოტბუსი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:11 | -1 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 |
| 8 მიუნხენი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:11 | -3 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 |
| 9 გლადბახი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 1 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 4 |
| 10 ფრაიბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 0 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 11 ვერდერი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | -1 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 4 |
| 12 კიოლნი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | -1 | 8 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 |
| 13 ჰერტა | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | -3 | 8 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 5 |
| 14 ნიურნბერგი | 7 | 2 | 0 | 5 | 6:11 | -5 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 3 |
| 15 ჰამბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:14 | -5 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:10 | -3 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 16 ჰანზა | 7 | 1 | 2 | 4 | 4:11 | -7 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | -5 | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 17 ზტ. პაული | 7 | 0 | 3 | 4 | 4:11 | -7 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | -3 | 1 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | -4 | 2 |
| 18 ვოლფსბურგი | 7 | 0 | 3 | 4 | 7:15 | -8 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ამოროზო (დორტმუნდი) | 5 |
| ვან ლენტი (მიონხენგლადბახი) | 5 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 4 |
| აილტონი (ვერდერი) | 4 |
| ლინკოლნი (ლაუტერნი) | 4 |

### VIII ტური

30 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ბაიერნი | - | შტუტგარტი |
| ვოლფსბურგი | - | ლაუტერნი |
| ჰერტა | - | კიოლნი |
| ნიურნბერგი | - | ჰამბურგი |
| ვერდერი | - | გლადბახი |
| ზანქტ პაული | - | დორტმუნდი |
| ლევერკუზენი | - | ფრაიბურგი |
| შალკე | - | კოტბუსი |
| ჰანზა | - | მიუნხენი |

## მეორე ბუნდესლიგა

VII ტური

**ფიურტი 3:1 ზაარბრიუკენი**

0:1 მუშინკა (15), 1:1 რაიხელი (57), 2:1 აზუზი (65პ), 3:1 კიოიო (83)
გიორგი დეკანოსიძე განაცხადში ვერ მოხვდა

**კარლსრუე 0:1 არმინია**

0:1 ბორგესი (77)

**ჰანოვერი 2:0 ობერჰაუზენი**

1:0 ლინკე (17), 2:0 შტენდელი (58)

**უნტერჰახინგი 3:2 როიტლინგენი**

0:1 ჰოფაკერი (33), 1:1 შვარცი (52), 2:1 ლექსა (62), 3:1 ბრაიტენრაიტერი (72პ), 3:2 ჰოფმანი (79)

**მაინცი 5:1 ალენი**

0:1 ციმერმანი (31), 1:1 ვაილანდი (41), 2:1 ნკუფო (45პ), 3:1 ტურკი (45), 4:1 ფრიდრიხი (64), 5:1 ბოკი (76)

**ბოხუმი 4:1 ბაბელსბერგი**

1:0 ჰაშემიანი (4), 2:0 კრისტიანსენი (28), 3:0 ბაკლი (56), 4:0 კრისტიანსენი (66), 4:1 ეფე (77)

**ალემანია 1:0 ვალდჰოფი**

1:0 დიანე (36)

**უნიონი 3:0 შვაინფურტი**

1:0 რისტიჩი (1), 2:0 ოკეკე (19), 3:0 მენზე (84)

**დუისბურგი — აინტრახტი**

წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 7 | 5 | 1 | 1 | 16:6 | 16 |
| ჰანოვერი | 7 | 4 | 3 | 0 | 16:4 | 15 |
| არმინია | 7 | 5 | 0 | 2 | 14:5 | 15 |
| უნიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 20:5 | 14 |
| ბოხუმი | 7 | 4 | 2 | 1 | 17:10 | 14 |
| ფიურტი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:5 | 14 |
| აინტრახტი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 13 |
| ალენი | 7 | 4 | 0 | 3 | 12:18 | 12 |
| უნტერჰახინგი | 7 | 3 | 1 | 3 | 12:11 | 10 |
| ბაბელსბერგი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:14 | 10 |
| ვალდჰოფი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:12 | 8 |
| შვაინფურტი | 7 | 2 | 2 | 3 | 3:7 | 8 |
| კარლსრუე | 7 | 2 | 1 | 4 | 6:11 | 7 |
| ალემანია | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| როიტლინგენი | 7 | 1 | 1 | 5 | 11:19 | 4 |
| ზაარბრიუკენი | 7 | 1 | 0 | 6 | 5:15 | 3 |
| დუისბურგი | 6 | 0 | 2 | 4 | 6:14 | 2 |
| ობერჰაუზენი | 7 | 0 | 2 | 5 | 7:17 | 2 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-9 ტური: მიუნსტერი — პადერბორნი 2:1; ქელნი — ოსნაბრიუკი 0:0; ლევერკუზენი (მოყვ.) — ლიუბეკი 1:1; ვატენშაიდი — იურდინგენი 1:0; ფერლი — მაგდებურგი 3:3; აუე — ქემნიცი 0:3; ბრაუნშვაიგი — დრეზდენი 4:1; კილი — ფორტუნა 2:1; დიუსელდორფი — ვერდერი (მოყვ.) 0:2

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-9 ტური: ტრირი — ბურგჰაუზენი 1:0, ფულდა — ერფურტი 1:4; ანსბახი — ვეჰენი 1:2; ეფენბახი — კოკერსი 2:1; ელვერსბერგი — ჰოფენჰაიმი 1:3; აალენი — დარმშტადტი 3:2; მანჰეიმი — ბაიერნი (მოყვ.) 2:0; ზიგენი — რეგენსბურგი 4:1; შტუტგარტი (მოყვ.) — კაიზერსლაუტერნი (მოყვ.) 1:2

## იტალია

### IV ტური

#### მილანი 2:0 ლაციო

1:0 ინძაგი (41), 2:0 ლაურსენი (50)
მილანი: აბიატი, კონტრა, ლაურსენი, მალდინი, კალაძე, გატუზო (დონატი 90), ალბერტინი, სერჯინიო, რუი კოშტა (პირლო 77), შევჩენკო (ხავი მორენო 87), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
ლაციო: პერუცი, კოლონეზე, ნესტა (სიმეონე 56), კოუტუ, პანკარო, მენდიეტა, დ. ბაჯო, ფავალი (კასტრომანი 73), ფიორე, კრესპო (კოვაჩევიჩი 46), კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ფიორე, სიმეონე, კოვაჩევიჩი
მსაჯი: რაკალბუტო
57 000 მაყურებელი

#### რომა 2:1 ფიორენტინა

0:1 ადანი (8), 1:1 ტოტი (12პ), 2:1 პანუჩი (87)
რომა: ანტონიოლი, პანუჩი, ძებინა, სამუელი, ძაგო (კანდელა 46), კაფუ, ასუნსაო, ტომაზი, ტოტი, ბატისტუტა, მონტელა (კასანო 60; გიგუ 89)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ფიორენტინა: ტალიალატელა, ტორიჩელი, ადანი, მორეტი, ვანოლი, დი ლივიო, ბარონიო (როსიტო 75), კ. ამორუზო, მარკო როსი (გონსალესი 78), კიეზა, ნუნუ გომეში
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: დი ლივიო, კიეზა, ტალიალატელა, ნუნუ გომეში, ძაგო, სამუელი, ვანოლი, მორეტი
მსაჯი: მესინა
53 000 მაყურებელი

#### ტორინო 0:1 ინტერი

0:1 კალონი (73პ)
ტორინო: ბუჩი, გალანტე, დელი კარი, ფატორი, მ. კასტელინი, ასტა, დე აშენტისი, კ. ლუკარელი, ბრამბილა (პინგა 78), მასპერო (ვერგასოლა 73), ოსმანოვსკი (კალაიო 85)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, სიმიჩი, მატერაცი, გეორგატოსი, ზეედორფი (ვივასი 77), დი ბიაჯო, დალმა, გულიელმინპიეტრო (ემრე 73), ვენტოლა (ადრიანო 83), კალონი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: დელი კარი, მატერაცი
მსაჯი: ფარინა
25 000 მაყურებელი

#### ლეჩე 0:0 იუვენტუსი

ლეჩე: კიმენტი, სავინო, პოპესკუ, სტოვინი, ჯორჯეტი (ბალერი 81), კონტიკიო, პიანჯერელი, ჯაკომაცი (მალუსკი 50), ტონეტო, ჩევანტონი, ვუგრინეცი (კოლონელო 77)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
იუვენტუსი: ბუფონი, პარამატი (ფ. ონილო 77), მონტერო, ტუდორი (კ. ძენონი 46), ტურამი, ძამბროტა, დავიდსი, ტაკინარდი, ნედვედი, ტრეზეგე, სალასი (დელ პიერო 83)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: კოლონელო, პიანჯერელი, ჯორჯეტი, ტრეზეგე, ჯაკომაცი, ნედვედი
გაძევება: მონტერო (90), სავინო (90)
მსაჯი: დე სანტისი
32 236 მაყურებელი

#### პარმა 1:0 ბრეშა

1:0 ნაკატა (87)
პარმა: ფრეი, ჯეტუ, სენსინი, ფ. კანავარო, დიანა (მარკიონი 71), ალმეიდა (აბია 85), ბოლანო, ჟუნიორი, ნაკატა, მილოშევიჩი (დი ვაიო 62), ბონაცოლი
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი (მერო 46), კალორი, ბონერა, ბაკინი (მასიმო ესპოზიტო 46), ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, სუსი (კოზმინსკი 65), ჯუნტი, რ. ბაჯო, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ბონერა, მარკიონი, ესპოზიტო, ბონერა
გაძევება: ბონერა (88)
მსაჯი: ტრენტალანჯე
15 000 მაყურებელი

#### კიევო 4:2 პიაჩენცა

0:1 უბნერი (8), 1:1 კორინი (13პ), 2:1 მანფრედინი (37), 3:1 პეროტა (47), 4:1 კორინი (67), 4:2 უბნერი (87)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანჯელო, დანა, ლანა, ერიბერტო (ფრანჩესკინი 74), პეროტა, კორინი, მანფრედინი, კორადი (დე ჩეზარე 88), მარაცინა (ფ. კოსატო 83)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
პიაჩენცა: გუარდალბენი, კრისტანტე, ლამაკი, ბოზელი, ტოსტო (მორა 63), გაუტიერი, მატუზალემი, ვოლპი, დი ფრანჩესკო (ამბროზეტი 61), უბნერი, პოჯი (კაჩა 54)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ვოლპი, მანფრედინი, ერიბერტო
მსაჯი: გაბიელე
6 393 მაყურებელი

#### ატალანტა 1:0 ვერონა

1:0 დონი (27)
ატალანტა: ტაიბი, რინალდი, პაგანინი, კარერა, ბელინი, ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დონი, საუდატი (როსინი 65), კომანდინი (პინარდი 76)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ვერონა: დოარდო, გონელა (ჯ. კოლუჩი 76), ძანჩი, ჯ. ფილიპინი, ოდო, მაცოლა, ლ. კოლუჩი, სერიჩი, კამორანეზი (მონტანო 60), მუტუ, სალვეტი (ჯილარდინო 33)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: ბერეტა, მაცოლა, რინალდი
მსაჯი: პაპარესტა
14 000 მაყურებელი

#### პერუჯა 1:2 უდინეზე

1:0 ვრიზასი (20), 1:1 იორგენსენი (44), 1:2 პიზარო (67)
პერუჯა: ტარდიოლი, სოლიანო, დელასი, დი ლორეტო, ზე მარია, ტედესკო, ლივერანი (ანი 80), ბაიოკო (გროსო 70), მილანეზე, ვრიზასი, ბუკი (ომერენი 62)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, სოტილი, ძამბონი (კაბალიერო 71), პიერი, ალმირონი, ლ. ელგერა, დ. პიზარო, იორგენსენი (პინცი 55), იაკინტა, მუცი (დი მიკელე 81)
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
გაფრთხილება: სოლიანო, პინცი, დელასი, პინცი
გაძევება: პინცი (84)
მსაჯი: როდომონტი
7 000 მაყურებელი

#### ვენეცია 0:1 ბოლონია

0:1 ძაული (90)
ვენეცია: ჯ. როსი, ალეგრინი, ბიორკლუნდი, ვიალი, კონტები, რუკავინა (დე ფრანჩესკო 54), დ. ანდერსონი (ვალტოლინა 68), მარასკო, ბრესანი, ბაცანი (დი ნაპოლი 59), მანიერო
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე (გამბერინი 70), ფრეზი, მ. კასტელინი, ბრიოსკი, ბრიგა, ოლივე, ვოლპე (ძაული 75), მაჩელარი, პეკია, ხულიო კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ძაული, ბრიოსკი, მარასკო, პალიუკა
მსაჯი: ტრენტალანჯე
6 513 მაყურებელი

# იმედის ტური



REUTERS მილანიდან

მილანი — ლაციო. ფრანჩესკო კოლონეზემ (მარჯვნივ) და დინო ბაჯომ მასპინძელი ფილიპო ინძაგის შემჩერებლებად ვერ ივარგეს

„ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. კარგადაც ვითამაშეთ, თავდადებით. ერთადერთი, რაც დაგვაკმაყოფილებდა, სწორედ მოგება იყო და აკი მოვიგეთ. დღეს, „რომა“ ამას იმსახურებდა. იმედი გამიჩნდა, რომ ის, რაც სეზონის დასაწყისში მოგვივიდა, წარსულს ჩაბარდა“ — განაცხადა ფაბიო კაპელომ.

„რომამ“, როგორც იქნა გაიმარჯვა. „ფიორენტინას“ ძლევა პირველი იყო, რომელიც იტალიის ჩემპიონმა ახალ სეზონში შეძლო და ამას თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე კრისტიან პანუჩის თავურით მიაღწია.

თავიდან კი „ფიორენტინა“ დაწინაურდა — დანიელე ადანიმ მერვე წუთზე ასევე თავურით გახსნა ანგარიში, თუმცა, „რომამ“ წონასწორობა ოთხ წუთში აღადგინა — ფრანჩესკო ტოტიმ პენალტი გაიტანა. პენალტი ასე გაკეთდა: მსაჯმა ჩათვალა, რომ ვინჩენცო მონტელას და ემილიანო მორეტის ორთაბრძოლის დროს ამ უკანასკნელმა წესი დაარღვია.

ამის შემდეგ, პანუჩის გოლამდე, პერიოდულად ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კაპელოს გუნდი ვერც ამჯერად შეძლებდა გამარჯვებას. კერძოდ, გაბრიელ ბატისტუტამ დიდებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან — დამიანო ტომაზის ჩაწოდებული თავით მიზნისგან ძალიან შორს დაარტყა, ხოლო ტოტიმ, ამის შემდეგ, ძელს დაუმიზნა. თუმცა საბოლოოდ, როგორც მოგახსენეთ, ყველაფერი რომაელთა სასარგებლოდ დასრულდა და მათმა მწვრთნელმაც ის სიტყვები თქვა, რომლითაც მიმოხილვა დავიწყეთ.

ამასობაში კი „ინტერმა“ ოთხიდან მესამე შეხვედრა მოიგო, ოღონდ, საამისოდ გვარიანი ჯაფა დაადგა. ექტორ რაულ კუპერის გუნდს ტურინში, „ტორინოსთან“ ჰქონდა თამაში და გოლი 73-ე წუთზეღა გაიტანა. ეს ასე მოხდა: ნიკოლა ვენტოლა ფაბიო გალანტემ საკუთარ საჯარიმოში წააქცია, რისთვისაც პენალტი დაინიშნა. თერთმეტი მეტრიდან სიერალეონელმა თავდამსხმელმა მოჰამედ კალონმა გაიტანა — მეოთხე შეხვედრაში მეოთხე გოლი.

ბუნებრივია, როდესაც „ინტერზე“ ვლაპარაკობთ, რონალდოს ამბავი გვაინტერესებს. რონალდოს ამბავი ამჯერად ასე იყო: უეფას თასის შეხვედრისგან განსხვავებით (წინა კვირის შუაში „ინტერი“ რუმინულ „ბრაშოვს“ ეთამაშა) სერია A-ს მატჩში კუპერს მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი მოედანზე არ შეუყვანია.

ოთხ ტურში მესამე გამარჯვებას მიაღწია სერია A-ს დებიუტანტმა, ვერონის „კიევომ“. ახლა მან „პიაჩენცას“ სძლია 4:2 და ოთხიდან ორი გოლი ნახევარმცველმა ეუჯენიო კორინიმ გაიტანა.

ანგარიში „პიაჩენცამ“, კერძოდ, დარიო უბნერმა გახსნა, მაგრამ ხუთ წუთში კორინიმ პენალტით გაათანაბრა. ამის შემდეგ, კრისტიან მანფრედინიმ ვერონელები დააწინაურა — ეს მანფრედინის პირველი გოლი გახლდათ სერია A-ში, რასაც, სიმონე პეროტამ პიაჩენცელთა კარში კიდევ ერთი გოლი მიამატა. ხოლო პეროტას წარმატებას — კორინის ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმაც დაერთო, სტუმართაგან, ბოლოს, იმედი უბნერმა იყოჩაღა.

პირველი ქულები დაკარგა „იუვენტუსმა“. ეს თამაში ლეჩეში გაიმართა და ბრძოლით, წინააღმდეგობით გამორჩეული გამოდგა, ხოლო ორმხრივ შეუპოვრობას ლოგიკურად მოჰყვა ფრე. საგოლე მომენტებიც ორივე მხარეს იყო, მაგრამ მეტოქეებმა ხელიდან გაუშვეს. მსაჯის წამატებულ წუთებში მოედნიდან პაოლო მონტერო და მასპინძელი ალბერტო სავინო გააძევეს.

„პარმამ“ შინ აჯობა „ბრეშას“. ერთადერთი გოლი, შეხვედრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე იტალიის იაპონელმა ჩემპიონმა, „რომადან“ „პარმაში“ გაყიდულმა ჰიდეტოში ნაკატამ შეაგდო. ეს გამარჯვება „პარმასთვის“ მიმდინარე სეზონში პირველი გახლდათ.

ამ შეხვედრაში „ბრეშას“ მცველი დანიელე ბონერა საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე მეორე ყვითელი ბარათის გამო გააძევეს.

**ბაჩუნა ძიდია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 |
| 2 მილანი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:5 | 6 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 |
| 3 ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 4 კიევო | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 5 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 5 ბოლონია | 4 | 3 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 6 ლეჩე | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 1 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 7 ბრეშა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 |
| 8 ვერონა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 |
| 9 უდინეზე | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 10 პარმა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 11 რომა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 12 პიაჩენცა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 1 |
| 13 ლაციო | 4 | 0 | 3 | 1 | 1:3 | -2 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 1 |
| 14 ფიორენტინა | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 | -4 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 0 |
| 15 ატალანტა | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 16 ტორინო | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 17 პერუჯა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 |
| 18 ვენეცია | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | -8 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 4 |
| ტარე (ბრეშა) | 4 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 4 |
| კალონი (ინტერი) | 4 |

### V ტური

30 სექტემბერი
ბრეშა - ატალანტა
ფიორენტინა - ვენეცია
ინტერი - ბოლონია
იუვენტუსი - რომა
ლაციო - პარმა
პერუჯა - მილანი
პიაჩენცა - ტორინო
უდინეზე - კიევო
ვერონა - ლეჩე

## სერია B

### V ტური

#### მოდენა 2:2 სიენა

0:1 მ. როსი (20), 1:1 მილანეტო (27), 1:2 კამპოლონი (39პ), 2:2 ბალძარეტი (80ს.კ.)
სიენა: ჯიანელო, მანდელი, მინანი, ვორია, რადიჩე, მ. როსი (დილმელაშვილი 60), კარაჩიოლო, პასონი, ბალძარეტი, ძამპანა (მორელო 71), კამპოლონი (სკალცო 64)
ლევან მილძაძე სათადარიგო იყო
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
6 500 მაყურებელი

#### რეჯინა 0:0 ბარი

#### სალერნიტანა 2:1 პისტოიეზე

1:0 კამორანი (38), 2:0 ვინიაროლი (69), 2:1 ლამბერტინი (89)

#### ვიჩენცა 1:1 ტერნანა

0:1 მიკოლი (51), 1:1 სომეზე (62)

#### ემპოლი 1:0 ნაპოლი

1:0 კაპელინი (73)

#### ჯენოა 3:0 მესინა

1:0 მალაგო (10), 2:0 კარპარელი (24), 3:0 მალაგო (34)

#### ანკონა 1:0 კროტონე

1:0 მ. ვიერი (21)

#### კოზენცა 1:4 კომო

0:1 ტერნი (49), 0:2 ძანინი (68), 0:3 ოლივეირა ბაროსო (72), 1:3 მენდილი (78), 1:4 ოლივეირა ბაროსო (79)

#### პალერმო 3:1 ჩიტადელა

1:0, 2:0 მასკარა (32, 61პ), 2:1 ჟირარდელო (82), 3:1 ლა გროტერია (86პ)

#### კალიარი — სამპდორია

წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:5 | 13 |
| ჯენოა | 5 | 4 | 0 | 1 | 7:3 | 12 |
| მოდენა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 11 |
| ანკონა | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 11 |
| რეჯინა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 10 |
| ვიჩენცა | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 |
| სალერნიტანა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| ბარი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| კოზენცა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:8 | 8 |
| ტერნანა | 5 | 1 | 4 | 0 | 7:4 | 7 |
| კომო | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| პალერმო | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| კროტონე | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| ნაპოლი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |
| მესინა | 5 | 0 | 3 | 2 | 2:7 | 3 |
| კალიარი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| სიენა | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | 2 |
| პისტოიეზე | 5 | 0 | 1 | 4 | 2:6 | 1 |
| ჩიტადელა | 5 | 0 | 1 | 4 | 7:13 | 1 |
| სამპდორია | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |

## სერია C1/a

მე-4 ტური: ლეკო — ჩეზენა 1:2; ლივორნო — სპალ 3:3; ლუკეზე — კარარეზე 1:0; მონცა — პიზა 1:2; პადოვა — ალბინოლეფე 1:1; რეჯანა — ალძანო 1:1; სპეცია — ვარეზე 1:1; ტრევიზო — ლუმეცანო 2:0; ტრიესტინა — არეცო 3:2

## სერია C1/b

მე-4 ტური: ბენევენტო — პესკარა 0:3; დი სანგრო — აველინო 1:2; კიეტი — ტარანტო 2:1; ფერმანა — კატანია 1:1; აკილა — ჯულიანოვა 1:2; ლანჩანო — ასკოლი 0:2; ნოჩერინა — ლოდიჯანი 3:2; ტორესი — პეზარო 0:0; ვიტერბეზე — სორა 3:2

# იტალიის ჩემპიონატი

## მეოთხე ტურის მატჩი

## მილანი 2:0 ლაციო

კახა კალაძე: 90 წუთი

# იმპერატორი და ალბერტო

**ალბერტო ძაკერონი** „სან სიროზე" ასე დაბრუნდა: გასახდელიდან გამოსულმა „მილანის" სათადარიგოთა სკამს ჩაუარა, ყველას გულთბილად ჩამოართვა ხელი და... სტუმარი გუნდისთვის განკუთვნილ ადგილს მიაშურა. ეს ადგილი იმ დღეს „ლაციოსთვის" იყო განკუთვნილი. შემდეგ, თამაში დაიწყო და მისმა ყოფილმა გუნდმა, „მილანმა" მის ახალ გუნდს, „ლაციოს" 2:0 მოუგო. ახლა, „მილანი" „იუვენტუსთან" და „ინტერთან" ერთად ცხრილის სათავეშია, ხოლო „ლაციოში" მხსნელის დებიუტი არ შედგა — გუნდი ისევ მოგების გარეშეა, არადა, სერია A-ში უკვე ოთხმა ტურმა ჩაიარა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ორმა.

აღსანიშნავია, რომ გაჭირვებული კაცის მსგავსად „ლაციოს" ქვა ალმართში დაეწია — ძაკერონის უკვე სამი ფეხბურთელი შეცვლილი ჰყავდა, როდესაც დინო ბაჯომ ფეხი იტკინა და ამის გამო გუნდს მთელი ნახევარი საათის განმავლობაში, უმცირესობაში მოუწია ყოფნა.

შეხვედრა მილანელებმა აქტიურად დაიწყეს და მეხუთე წუთზე საგოლე მომენტიც შექმნეს — სერჟინიომ მარცხნიდან ჩააწოდა ფილიპო ინძაგის, ხოლო მისმა დარტყმულმა რომაელთა მარცხენა ძელთან ჩაიქროლა.

მაგრამ, ამის შემდეგ, თამაში გათანაბრდა, რაშიც „დიდი წვლილი" მილანელთა მეცამეტე ნომერმა კახა კალაძემ შეიტანა. მარცხენა მცველმა, რომელიც აქამდე საზოგადოდ ზუსტად ასრულებდა დავალებას, პირველ ტაიმში ორი უხეში შეცდომა დაუშვა. თავიდან ბურთი უხერხულად დაამუშავა და წაიქცა, რის გამოც კლაუდიო ლოპესმა ერნან კრესპო მეკარე კრისტიან აბიატისთან პირისპირ გაიყვანა, ოღონდ, მასპინძელთა ბედად, კრესპოს დარტყმული აბიატის ხელმა აისხლიტა და კარში შესვლის ნაცვლად ხარიხას მოხვდა. მეორედ, კალაძემ მარცხენა ფრთიდან ბურთის შუაში გადაწოდება განიზრახა, ოღონდ მაშინ, როდესაც მის უკან მხოლოდ კარიღა იყო. პასი კრესპომ ჩაუჭრა, მაგრამ, ისევ ბედად, წაიბორძიკა, რის გამოც პირველი ეპიზოდივით მწვავე გაგრძელება აღარ მოჰყვა.

ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი ვითარება მილანელთა სასარგებლოდ შეიცვალა, რაშიც ლომის წილი რუმინელ მარჯვენა მცველს, კოზმინ კონტრას მიუძღოდა. კონტრამ თავისი ფლანგიდან, მეტოქის საჯარიმოში გაიბრწყინა, ორი რომაელი მოატყუა და ბურთი ფილიპო ინძაგის თავზე დაასკუპა, ხოლო ინძაგიმ ანგარიში გახსნა.

შესვენებისას ძაკერონიმ კრესპო დარკო კოვაჩევიჩით შეცვალა. მანამდე, პირველ ტაიმში, ჯუზეპე ფავალი უკვე შეცვლილი ჰყავდა ლუკას კასტრომანით.

შესვენების შემდეგ კი, მარჯვენა მხრიდან კუთხური რუი კოშტამ ჩააწოდა, ხოლო დანიელმა მცველმა მარტინ ლაურსენმა თავურით გაზარდა ანგარიში.

58-ე წუთზე „ლაციოს" ალესანდრო ნესტას შეცვლაც მოუხდა — კაპიტანი დაშავდა და მის მაგივრად დიეგო სიმეონე შევიდა მოედანზე, მერე კი, როგორც მოგახსენეთ, დაშავდა დინო ბაჯოც.

ბოლოს კი გავიხსენოთ: გასულ სეზონში, როდესაც თერიმი „ფიორენტინას" წვრთნიდა, ხოლო ძაკერონი „მილანს", მისმა გუნდმა ჩემპიონატში 4:0 გაიმარჯვა, იმავე პერიოდში „ფიორენტინამ" „მილანი" იტალიის თასიდანაც გააგდო; მანამდე თერიმის „გალათასარაის" ძაკერონის „მილანი" ჩემპიონთა ლიგაში ჰყავდა დამარცხებული და პირველ ჯგუფურ ეტაპზე ჩატოვებული, წლეულს კი უკვე თავად „მილანის" თავკაცად ქცეულმა „იმპერატორმა" ძაკერონის „ლაციო" დაამარცხა.

**ბაჩუნა ძიდია**



კახა კალაძე

## საბერძნეთი

I-ლი ტური. პაოკ — არისი 1:1; აკრატიტოსი — ქსანთი 2:0; იონიკოსი — აეკ 1:2; პანაჰაიკი — ეგალეო 5:3; პანიონიოსი — პანათინაიკოსი 2:2; ოფი — ეთნიკოსი 2:0; ოლიმპიაკოსი — ირაკლისი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| პანაჰაიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:3 | 3 |
| აკრატიტოსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ოფი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| აეკ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| პანათინაიკოსი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| პანიონიოსი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| პაოკ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| არისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| იონიკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ეგალეო | 1 | 0 | 0 | 1 | 3:5 | 0 |
| ქსანთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ეთნიკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ირაკლისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## დანია

მე-9 ტური: სილკებორგი — მიდტიულანდი 0:1; ვაილე — აკადემისკი 1:1; ლიუნგბიუ — ოდენსე 2:2; ბრონდბიუ — ვიბორგი 0:0; ოლბორგი — კოპენჰაგენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 9 | 7 | 1 | 1 | 26:3 | 22 |
| ოლბორგი | 9 | 6 | 1 | 2 | 16:11 | 19 |
| აკადემისკი | 9 | 3 | 4 | 2 | 13:10 | 13 |
| მიდტიულანდი | 9 | 3 | 4 | 2 | 7:6 | 13 |
| ესბიერგი | 8 | 4 | 1 | 3 | 10:13 | 13 |
| კოპენჰაგენი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:10 | 12 |
| ლიუნგბიუ | 9 | 2 | 6 | 1 | 11:10 | 12 |
| ვიბორგი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:10 | 10 |
| ვაილე | 9 | 2 | 4 | 3 | 12:16 | 10 |
| ოდენსე | 9 | 2 | 3 | 4 | 9:14 | 9 |
| ორჰუსი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:11 | 6 |
| სილკებორგი | 9 | 0 | 2 | 7 | 3:18 | 2 |

## შვეიცარია

### A ჯგუფი. XII ტური

**აარაუ 1:0 გრასჰოპერი**

1:0 ვოიცეხოვსკი (90)

ლევან ხომერიკი სათადარიგო იყო

**ციურიხი 0:3 სერვეტი**

0:1 კომიზეტი (18), 0:2 ორუმა (30), 0:3 დილი (53)

ციურიხი: პასკოლო, პელინგა (ფ. გურერო 64), მარტინ შტოკლასა, ჩინაბი, კვენტინი, პალასი, ჯამარაული, მაგრო (მ. ბაუმანი 62), შასო, ბკალე (ბიულმანი 73), ჩაველაშვილი

მწვრთნელი: ჟორჟ ბრეგი

3 900 მაყურებელი

**ბაზელი 2:1 სიონი**

1:0 ხიმენესი (43), 1:1 მუა (65), 2:1 ტუმი (88)

**ლოზანა 1:1 სენტ გალენი**

1:0 ზელვეგერი (36), 1:1 ჯეფერსონი (62)

**ლუგანო 0:0 იანგ ბოისი**

**ქსამაქსი 4:1 ლუცერნი**

1:0 შნაიდერი (27), 1:1 ალეშანდრე (62), 2:1 ტრანჩე (75), 3:1, 4:1 ტაჩი-მენსა (85, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 12 | 6 | 3 | 3 | 20:11 | 21 |
| გრასჰოპერი | 12 | 6 | 2 | 4 | 28:15 | 20 |
| სიონი | 12 | 6 | 2 | 4 | 20:12 | 20 |
| აარაუ | 12 | 5 | 4 | 3 | 17:12 | 19 |
| იანგ ბოისი | 12 | 5 | 4 | 3 | 19:18 | 19 |
| ლუგანო | 12 | 5 | 3 | 4 | 17:18 | 18 |
| ბაზელი | 11 | 5 | 2 | 4 | 22:21 | 17 |
| ციურიხი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:17 | 17 |
| სენტ გალენი | 12 | 4 | 3 | 5 | 20:22 | 15 |
| ქსამაქსი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:14 | 14 |
| ლოზანა | 11 | 2 | 3 | 6 | 11:21 | 9 |
| ლუცერნი | 12 | 1 | 2 | 9 | 13:33 | 5 |

### B ჯგუფი

მე-14 ტური: ბადენი — ვინტერთური 2:4; ბელინცონა — ვადუცი 2:1; კარუჟი — ლოკარნო 0:0; კრინსი — ივერდონი 1:3; თუნი — კონკორდია 3:1; ვილი — დელემონი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვინტერთური | 14 | 9 | 3 | 2 | 34:24 | 30 |
| თუნი | 14 | 7 | 4 | 3 | 25:20 | 25 |
| ვილი | 14 | 7 | 2 | 5 | 32:22 | 23 |
| ბადენი | 14 | 5 | 5 | 4 | 31:21 | 20 |
| ივერდონი | 14 | 5 | 5 | 4 | 21:21 | 20 |
| კრინსი | 14 | 6 | 2 | 6 | 19:19 | 20 |
| დელემონი | 14 | 5 | 3 | 6 | 16:20 | 18 |
| ბელინცონა | 14 | 5 | 2 | 7 | 18:22 | 17 |
| კარუჟი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:19 | 17 |
| ვადუცი | 14 | 4 | 4 | 6 | 26:29 | 16 |
| ლოკარნო | 14 | 3 | 4 | 7 | 13:20 | 13 |
| კონკორდია | 14 | 3 | 3 | 8 | 23:35 | 12 |

## ავსტრია

მე-12 ტური: ბრეგენცი — ტიროლი 1:2; კერნტენი — ადმირა 2:0; გრაცერი — აუსტრია 4:2; რაპიდი — რიდი 2:0; ზალცბურგი — შტურმი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 10 | 8 | 2 | 0 | 28:1 | 26 |
| შტურმი | 11 | 7 | 3 | 1 | 22:8 | 24 |
| გრაცერი | 12 | 5 | 3 | 4 | 23:20 | 18 |
| ზალცბურგი | 12 | 4 | 4 | 4 | 11:12 | 16 |
| რაპიდი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:17 | 15 |
| კერნტენი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:16 | 15 |
| აუსტრია | 12 | 3 | 5 | 4 | 17:18 | 14 |
| რიდი | 12 | 2 | 6 | 4 | 18:20 | 12 |
| ბრეგენცი | 12 | 2 | 4 | 6 | 11:25 | 10 |
| ადმირა | 12 | 2 | 1 | 9 | 9:26 | 7 |

## ჩეხეთი

მე-8 ტური: ჰრადეც კრალოვე — პრჟიბრამი 1:0; დრნოვიცე — სპარტა 0:2; იაბლონეცი — ბლშანი 1:0; სლავია — სინოტი 0:1; ბანიკი — ბოჰემიანსი 1:1; ტეპლიცე — ბრნო 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 8 | 6 | 0 | 2 | 16:6 | 18 |
| ბოჰემიანსი | 8 | 5 | 2 | 1 | 12:4 | 17 |
| ბანიკი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:9 | 14 |
| ჟიჟკოვი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:7 | 13 |
| სლავია | 8 | 4 | 1 | 3 | 15:12 | 13 |
| ლიბერეცი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:8 | 12 |
| იაბლონეცი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 12 |
| სინოტი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:6 | 12 |
| ბლშანი | 8 | 3 | 1 | 4 | 14:14 | 10 |
| დრნოვიცე | 8 | 3 | 1 | 4 | 11:11 | 10 |
| ბრნო | 8 | 2 | 4 | 2 | 9:9 | 10 |
| ჰრადეც კრალოვე | 8 | 3 | 0 | 5 | 9:19 | 9 |
| ტეპლიცე | 8 | 2 | 2 | 4 | 9:13 | 8 |
| პრჟიბრამი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | 7 |
| სიგმა | 7 | 1 | 3 | 3 | 6:12 | 6 |
| ოპავა | 7 | 0 | 1 | 6 | 6:15 | 1 |

24 საათის ინფორმაცია განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000,
8 22 009 001
(1ნ0 / 50 თეთრი)

# ტორე ანდრეა თუ პელე?



სელტიკი — აბერდინი. ჰენრიკ ლარსონის საგოლე თავური

## შოტლანდია

### VIII ტური

**დანდი იუნ. 1:6 რეინჯერსი**

0:1 ბუჩანი (26.კ.), 1:1 მაკინტაირი (34), 1:2 ფლო (50), 1:3 დე ბური (66), 1:4, 1:5 ფლო (73, 81), 1:6 მაკკანი (90)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, მური, ამორუზო, ნუმანი, ფერგიუსონი, მაკკანი, რ. დე ბური (ლოვენკრანდსი 76), კონტერმანი, ლატაპი, ფლო (კანჩელსკისი 84)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

11 117 მაყურებელი

**მოზერუელი 2:0 ჰარტსი**

1:0 კელი (38), 2:0 ელიოტი (72)

**დანფერმლაინი 1:2 ლივინგსტონი**

1:0 კროუფორდი (8), 1:1 ბინგჰემი (74), 1:2 უილსონი (82)

**სელტიკი 2:0 აბერდინი**

1:0 ლარსონი (65), 2:0 პეტროვი (81)

**კილმარნოკი 0:1 დანდი**

0:1 რაე (38)

დანდი: ლენგფილდი, რომანო (მაკეი 8), სმიტი, ხიზანიშვილი, მაროკო, რობერტსონი, რაე, კარანცა (ნავედა 68), გარიდო, მილნი (გატი 46), კაბალიერო

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

7 052 მაყურებელი

**ჰიბერნიანი 4:0 სენტ ჯონსტონი**

1:0 ლუნა (25), 2:0 ფენვიკი (57), 3:0 ბრებნერი (59), 4:0 სმიტი (62)

**„მეორე ტაიმში** მეტოქემ უბრალოდ გადაგვიარა. ასე მეგონა, ჩვენს წინაალმდეგ 20 კაცი თამაშობდა, ეს ფლო კი მთლად პელესავით ირჯებოდა" — „დანდი იუნაიტედის" ნახევარმცველმა ჩარლი მილერმა თავისი ყოფილი თანაკლუბელები ასე შეაქო. „რეინჯერსმა" მართლაც ჩინებულად ითამაშა და სტუმრად 6:1 მოიგო. მართალია, ამ ორი გუნდის წინა 99 შეხვედრაში დანდელები უარესი ანგარიშითაც დამარცხებულან, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1923 წელს „დანდი ჰიბერნიანი" „დანდი იუნაიტედად" იქცა, ამდენი გოლი მათ კარში პროტესტანტ გლაზგოელებს არასდროს გაუტანიათ.

არადა, პირველ ტაიმში მხოლოდ ორი დარტყმა აღმოჩნდა ზუსტი და ორივეს ავტორები მასპინძლები იყვნენ, თუმცა მათდა სამწუხაროდ, ჯეიმი ბუჩანმა ანგარიში საკუთარი კარის უნებლიე აღებით გახსნა. ამ ორ გოლს შუა რონალდ დე ბურმა ბურთი ძელს მოარტყა და ეს პირველ 45 წუთში სტუმართა თითქმის ერთადერთ ხეირიან შეტევას მოჰყვა.

შესვენების შემდეგ კი „რეინჯერსი" აბობოქრდა და ამის მოთავე ტორე ანდრე ფლო გახლდათ. დაღესტანში არცთუ სასიამოვნო ვიზიტის ჩაშლით გახარებულმა ნორვეგიელმა შუა კვირას 6 თვის ორსულ მეუღლესთან ერთად ბრიტანეთის ყველაზე მაღალი მთა დალაშქრა (აი, ვარჯიში!), შაბათს კი სქოთურ პრემიერლიგაში თავისი პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა. შედეგად, „ანჟისთან" ვარშავული მატჩის წინ „რეინჯერსმა" ცხრილში ადგილი ვერა, მაგრამ ხასიათი კი საგრძნობლად გაიუმჯობესა. ცხადია, საპირისპირო გრძნობა დაეუფლა მასპინძელთა თავკაც ალექს სმიტს: „ჩვენს ფეხბურთელებს ვგონებ ეძინათ. სხვა თუ არაფერი, ამაზე ისიც მოწმობს, რომ თამაშში ერთი გაფრთხილებაც კი არ ყოფილა".

სამაგიეროდ გაიხარა ქალაქ დანდის მეორე ნაწილმა, თუმცა ეს ამბავი უკვე მეორე დღეს მოხდა: ტრავმირებული ნემსაძის, სარას და დელ რიოს გარეშე „დანდიმ" კილმარნოკის „რაგბი პარკზე" იმარჯვა. თამაშს დიდად სანახაობრივი არ ეთქმოდა და სამი ქულის ბედი გევინ რაეს ბრწყინვალე დარტყმამ გადაწყვიტა. ეს ივანო ბონეტიმაც აღიარა: „ასეთი მატჩები 0:0 მთავრდება ხოლმე. ორ გუნდს შორის განსხვავება ოდენ ერთი ჩინებული მოქნევა გამოდგა". მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მასპინძლებმა მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევის განხორციელება მთელი მატჩის მანძილზე ვერ შეძლეს, ამის მთავარ მიზეზად კი ხიზანიშვილისა და სმიტის იდეალურ თამაშს ასახელებენ. ამ გამარჯვებით ჩვენებურთა გუნდი იმ ადგილზე აღზევდა, რომელზეც წინა სეზონი ჩაამთავრა.

ტრადიციულ ადგილს ინარჩუნებს შუა კვირაში ტურინში დაჩაგრული „სელტიკიც". „იუვენტუსთან" მატჩის დარად, გლაზგოელთა გოლები ისევ ბულგარელი პეტროვისა და შვედი ლარსონის ანგარიშზეა.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია დებიუტანტ „ლივინგსტონის" მესამე გამარჯვება და „ჰიბერნიანის" გოლგამტანიანობის მაჩვენებელი „სენტ ჯონსტონთან" მატჩის ერთ ხუთწუთიან მონაკვეთში.

**გიგა ძოძახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 8 | 7 | 1 | 0 | 19:2 | 22 |
| რეინჯერსი | 8 | 5 | 3 | 0 | 22:6 | 18 |
| ჰიბერნიანი | 8 | 4 | 2 | 2 | 20:12 | 14 |
| ლივინგსტონი | 8 | 3 | 4 | 1 | 8:5 | 13 |
| კილმარნოკი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:9 | 11 |
| დანდი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:13 | 11 |
| ჰარტსი | 8 | 3 | 1 | 4 | 8:10 | 10 |
| აბერდინი | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | 10 |
| დანდი იუნაიტედი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:16 | 8 |
| დანფერმლაინი | 8 | 2 | 0 | 6 | 13:20 | 6 |
| მოზერუელი | 8 | 1 | 3 | 4 | 9:17 | 6 |
| სტ. ჯონსტონი | 8 | 0 | 3 | 5 | 5:16 | 3 |

### პირველი დივიზიონი

მე-8 ტური: ერდრი — ინვერნესი 6:0; არბროთი — ფოლკირკი 1:0; ეარი — კლაიდი 2:1; რეით როვერსი — სტ. მირენი 3:0; როს ქაუნთი — პარტიკ თისლი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერდრი | 8 | 6 | 2 | 0 | 22:4 | 20 |
| პარტიკ თისლი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:10 | 17 |
| ეარი | 8 | 4 | 1 | 3 | 15:12 | 13 |
| რეით როვერსი | 8 | 3 | 2 | 3 | 17:14 | 11 |
| სტ. მირენი | 8 | 2 | 3 | 3 | 13:15 | 9 |
| როს ქაუნთი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:12 | 9 |
| არბროთი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:20 | 9 |
| ინვერნესი | 8 | 2 | 2 | 4 | 14:16 | 8 |
| ფოლკირკი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 |
| კლაიდი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:14 | 8 |

### მეორე დივიზიონი

მე-8 ტური: ალოა — ჰამილტონი 2:1; ბერიკი — ქუინ ოფ საუთ 0:4; მორტონი — ქოუდენბითი 0:2; სტენჰაუზმური — კლაიდბენკი 2:2; სტრენრარი — ფორფარი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალოა | 8 | 5 | 2 | 1 | 12:5 | 17 |
| კლაიდბენკი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:11 | 16 |
| სტენჰაუზმური | 8 | 4 | 2 | 2 | 11:9 | 14 |
| ქუინ ოფ საუთ | 8 | 3 | 4 | 1 | 14:8 | 13 |
| სტრენრარი | 8 | 3 | 4 | 1 | 10:6 | 13 |
| ფორფარი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:11 | 10 |
| ჰამილტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | 8 |
| ქოუდენბითი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:13 | 7 |
| მორტონი | 8 | 1 | 3 | 4 | 11:15 | 6 |
| ბერიკი | 8 | 2 | 0 | 6 | 5:17 | 6 |

### მესამე დივიზიონი

მე-8 ტური: დამბარტონი — ელგინი 2:2; ისტ სტირლინგი — სტირლინგი 1:1; მონტროუზი — ალბიონი 1:2; პიტერჰედი — ბრეჩინი 4:2; ქუინზ პარკი — ისტ ფაიფი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეჩინი | 7 | 6 | 0 | 1 | 21:8 | 18 |
| მონტროუზი | 8 | 5 | 0 | 3 | 12:8 | 15 |
| დამბარტონი | 8 | 4 | 2 | 2 | 18:13 | 14 |
| პიტერჰედი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:10 | 13 |
| სტირლინგი | 8 | 4 | 1 | 3 | 16:18 | 13 |
| ისტ სტირლინგი | 8 | 3 | 1 | 4 | 17:13 | 10 |
| ელგინი | 7 | 2 | 4 | 1 | 10:8 | 10 |
| ალბიონი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:16 | 8 |
| ისტ ფაიფი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:17 | 5 |
| ქუინზ პარკი | 7 | 0 | 1 | 6 | 7:15 | 1 |

# სელტამ რეალი გააჩემპიონა



რეალი — ესპანიოლი. აიტორ კარანკამ (მარცხნივ) და მადრიდელებმა დავიდ აგანსოს და ესპანიოლელებს ხელ-ფეხი აიწევინეს

REUTERS

## ესპანეთი

### IV ტური

### ვილიარეალი 1:0 სოსიედადი

1:0 პალერმო (85)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ხავი როჩა, უნაი, გალკა, ამორი (გიარე 73), პალერმო, კიკე მარტინი (კალეხა 62), ხორხე ლოპესი (კანია 84), ვიქტორი
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
სოსიედადი: ალბერტო, კვარში, არანსაბალი, ლორენი, ლუის ალბერტო, ლოპეს რეკარტე, არანბურუ (ალეხანდრო 88), იდიაკესი, ხოხლოვი, დემეტრაძე (ბარკერო 51), დე პაულა (მიკაბეა 85)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: არუაბარენა, არანსაბალი, კიკე ალვარესი, გალკა, ამორი, ვიქტორი, უნაი
მსაჯი: ლოსანო ანდრეუ
6 000 მაყურებელი

### ბარსელონა 2:0 ტენერიფე

1:0 ჯოვანი (33), 2:0 სავიოლა (90)
ბარსელონა: ბონანო, ანდერსონი, სერხი (კოკო 57), კრისტენვალი, პუიოლი, ხავი (ფ. დე ბური 73), კოკუ, როჩემბაკი, სავიოლა, კლუივერტი, ჯოვანი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
ტენერიფე: სერხიო არაგონესესი, პაბლო პასი (ფუერტესი 81), ლუსენბოგი, მანელი (ივან ანია 68), ხავი ვენტა, ბასავილბასო, მარტი, ბინუ, მარიონი, უგო მორალესი (ხაიმე 68), ხისკო
მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი
გაფრთხილება: კოკუ, პაბლო პასი, ბინუ
მსაჯი: კარმონა მენდესი
35 000 მაყურებელი

### რეალი 5:1 ესპანიოლი

1:0 ზიდანი (5), 2:0 რობერტო კარლოსი (11), 3:0 ფიგუ (21პ), 3:1 დე ლუკასი (47), 4:1 რაული (60), 5:1 მაკმანამანი (70)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი (სოლარი 71პ), იერო (კამპო 58), კარანკა, მაკელელე (სელადესი 74), მაკმანამანი, ფიგუ, ზიდანი, რაული, მორიენტესი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ესპანიოლი: არგესო, ფრანი, როტჩენი, ლოპო, რიკარდო, ოსკარი (ალექს ფერნანდესი 46), ველამასალი, მორალესი, დე ლუკასი, მარტინ პოსე (კ. მონტიანუ 64), აგანსო (ბენიტესი 69)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: რიკარდო, როტჩენი
მსაჯი: პერეს ბურული
60 000 მაყურებელი

### ალავესი 2:3 დეპორტივო

0:1, 0:2 ამავისკა (24, 47), 1:2 ლორენსი (61), 2:2 კოლოჩინი (83), 2:4 სერხიო (87)
ალავესი: კიკე კოლოჩინი, ტელიესი, ჯელი, ლორენსი, პაბლო, ასტუდილიო, ვიჩგე (ივან ალონსო 53), მარა (ვუჩკო 53), რუბენ ნავარო (იბონ ბეგონია 71), მაგნო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, ჯოროვიჩი, მაურო სილვა, ამავისკა, სკალონი (ხოსე მანუელი 82), ემერსონი, ვალერონი (სერხიო 68), მაკაი (ტრისტანი 77)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ასტუდილიო, მაურო სილვა, მაგნო, ვალერონი, ივან ალონსო, ლორენსი, ამავისკა, პაბლო, ვუჩკო, ივან ალონსო
გაძევება: ივან ალონსო (84)
მსაჯი: ფერნანდეს მარინი
13 000 მაყურებელი

### სელტა 2:0 მალიორკა

1:0 ედუ (42), 2:0 კატანია (84)
სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი, კარპინი, მოსტოვოი, ედუ (ბოტბანი 68), ხესული (გუსტავო ლოპესი 60), ლუქსენი, კატანია (მაკკარტი 85)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
მალიორკა: ლეო ფრანკო (მიკი 46), მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო, კრისტიან დიასი, ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო (ლეო ბიაჯინი 46), ჩიჩი სოლერი, მარკოსი, ეტოო, პაუნოვიჩი (კარლოსი 64)
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
გაფრთხილება: ჩიჩი სოლერი, მარკოსი, მოსტოვოი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
27 000 მაყურებელი

### სარაგოსა 0:1 ოსასუნა

0:1 აგუადო (39ს.კ.)
სარაგოსა: ლაინესი, აგუადო, პაბლო (კუარტერო 66), პაკო ხემესი, ესკერდინია, ველისკა, ხოსე იგნასიო, შაინიუ (იორდი 66), ხუანელე, ბილიჩი, გალეტი (ჟამელი 71)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
ოსასუნა: უნსუე, პაბლო კონტრერასი, იანგუსი, ხოსუე, კრუჩაგა, პუნიალი, დავიდ კანო (მანოლო 83), რივერო (ლეკუმბერი 63), განსედო, ივან როსადო (ფერნანდო 58), არმენტანო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ხოსე იგნასიო, ფერნანდო, ჟამელი
გაძევება: ხუანელე (76)
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
25 000 მაყურებელი

### ბილბაო 2:2 ვალენსია

0:1 აიალა (43), 0:2 აიმარი (46), 1:2 ეჩებერია (46), 2:2 კარლოს გარსია (90)
ბილბაო: არანსუბია, ლარაინსარი, ლარასაბალი, კარლოს გარსია, ლაკრუსი, ურუტია, ოსკარ ვალესი (ალკისა 55), ი. გერერო (ტიკო 75), ხავი გონსალესი, ხ. ეჩებერია (ესკერო 80), ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა, კარბონი, კურო ტორესი, ალბელდა, ანგულო (რუფეტე 57), ვისენტე, აიმარი (ილიე 70), დე ლოს სანტოსი, კარეუ (ხუან სანჩესი 82)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ვისენტე, ანგულო, კარეუ, ურსაისი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
35 000 მაყურებელი

### ლას პალმასი 0:0 მალაგა

ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, პაკუი, შურერი, ანხელი, ხოსიკო (რუბენი 55), პაბლო ლაგო (ელოი 71), სემვისი, ედუ ალონსო (ტევენე 75), ხორხე, ორლანდო
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
მალაგა: პედრო კონტრერასი, ბრაგო, ლიტუში, როტეტა, ფერნანდო სანსი, მუსამბა, რომერო, ხერარდო (ედგარი 87), ზარატე, სანდრო (მიგელ ანხელი 36), დელი ვალდესი (კანაბალი 71)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: კორინო, მიჩელი, პაბლო ალფარო, ერნანდესი
მწვრთნელი: პუენტეს ლეირა
32 000 მაყურებელი

### სევილია 2:1 რაიო ვალეკანო

0:1 არტეაგა (20), 1:1 მოიზესი (64), 2:1 ფრედი (89)
სევილია: ნოტარიო, დავიდ კასტედო, ხუანმი, პაბლო ალფარო, ნიეგესი, პოდესტა, გალარდო (ოლივერა 46), ფრედი, კასკერო, მოიზესი (ანტონიტო 77), რეიესი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, გრაფი, ალკასარი, ერნანდესი (დე კინტანა 73), კორინო, მიჩელი, კევედო, რუა, ასკოიტია, არტეაგა, ბოლო (ლუის სემბრანოსი 68)
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა

### ვალიადოლიდი 0:2 ბეტისი

0:1 ვარელა (51), 0:2 დენილსონი (71)
ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, ტორეს გომესი, ტენა, რიკეტი, აროლდ ლოსანო (ეუსებიო 46), ფერნანდო სალესი (ბლანკო 69), ფერნანდო, ტოტე, ტურუ ფლორესი (კამინერო 77)
მწვრთნელი: პეპე მორე
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ფილიპესკუ, ხუანიტო, ვარელა, კანიასი, ჩაპი, იტო, ხოაკინი (ბენჯამინი 53), დენილსონი, კასასი (ამატო 64)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: იტო, ვარელა, ტორეს გომესი, ფერნანდო
მსაჯი: პერეს პერესი
13 250 მაყურებელი

**იმთავითვე** ცხადი იყო, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა. იმას ვგულისხმობთ, რომ აქამდე ხან „რეალი" ვერ იგებდა, ხან „ბარსელონა" და ხან ორივე ერთად. სეზონი ახლახან დაიწყო და კიდევ ვნახავთ მათ ვერმოგებას, მაგრამ უფრო ხშირად, ალბათ, ორივენი მოიგებენ.

„რეალმა" „ესპანიოლს" გადაუარა, ხუთი გოლი სწორედ რომ გადავლაა და არა უბრალო გამარჯვება. ისიც სათქმელია, რომ ხუთიდან სამი საწყის ცხრამეტ წუთში გავიდა. ამათგან ორი სტანდარტულ სიტუაციებს მოჰყვა — რობერტო კარლოსის საჯარიმოს და ლუიშ ფიგუს პენალტს, ანგარიში კი ზიდანმა გახსნა, რომელიც მისი მეორე პრიმერადივიზიონული გოლი გამოდგა.

ასეთი დასაწყისით გალაღებულმა „რეალმა" ინამუსა და დარჩენილ დროში ორი გოლიღა იკმარა და ერთიც მეტოქეს გაატანინა. აღვნიშნოთ, რომ ლიდერების — რაულ ტამუდოს და ხუან ფრანსისკო პალენსიას გარეშე მოთამაშე ბარსელონელებისგან ფრესაც არ ელოდნენ, ამიტომ შედეგი სავსებით ლოგიკურია.

დივიზიონში პირველმა გამარჯვებამ „რეალი" გასავარდნთა ზონიდან მე-11 ადგილამდე ასწია. მადრიდელები უეჭველად კიდევ ზემოთ წავლენ, ოღონდ სადამდე, საკითხავი სწორედ ეს არის. სადამდე და პირველ ადგილამდეო, თქვა მავანმა ესპანელმა მწვრთნელმა, მოდით, რეალისტები ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ „რეალს" კონკურენციას, ალბათ, ვერავინ გაუწევსო. ამ სიტყვების მთქმელი ვისენტე დელ ბოსკე არ გეგონოთ, „სელტას" თავკაცი ვიქტორ ფერნანდესი ფიქრობს ასე.

ამ ამბავში უცნაურობა ის არის, რომ ვიქტორ ფერნანდესის გუნდი დივიზიონის ლიდერია და ჯერ ერთი გოლიც არ გაუშვია. როგორც ჩანს, ფერნანდესს თავისიანების იმედი ბოლომდე არა აქვს. მაგრამ „სელტა" ჯერჯერობით იგებს და მისი ბოლო მსხვერპლი ჩემპიონთა ლიგაში „არსენალის" დამჯაბნელი „მალიორკა" გახდა. კუნძულელთა დამარცხებაში ვიგოელთა ბრაზილიელებმა შეიტანეს მთავარი წვლილი — პირველი გოლი ედუმ გაიტანა, ხოლო ალექსანდრ მოსტოვოის ძელისთვის გარტყმულ და თამაშში დაბრუნებულ ბურთს დიეგო კატანიამ მიუსწრო.

„რეალზე" ნაკლებ შთამბეჭდავი ანგარიშით მოიგო „ბარსელონამ", თუმცა კატალონიელთა სამ ქულას მეტი ფასი აქვს, რადგან, მადრიდელთა მეთერთმეტე ადგილისგან განსხვავებით, ისინი მეხუთეზე ალაზევა.

შაბათს პრიმერადივიზიონის ანონსში ვწერდით, რომ კატალონიელი ქომაგები კარლოს რექსაჩისგან თხოვდნენ, ხავიერ სავიოლა სასტარტო შემადგენლობაში შეეყვანა. შეგახსენებთ, რომ მწვრთნელი არგენტინელს ბოლო 20-25 წუთს ათამაშებდა ხოლმე. ხალხის ხმა ისმინა თუ სხვა რამ მიზეზი იყო, სავიოლამ „ტენერიფესთან" სრული 90 წუთი ითამაშა, თუმცა გოლი (რასაც მისგან უკვე დავეჩვიეთ) წამატებულ დროში შეაგდო. პრაქტიკული თვალსაზრისით ამ გოლს ნაკლები ფასი ჰქონდა, რადგან ჯოვანის ვატანილით „ბარსა" იწედა იგებდა.

სამაგიეროდ, ოქროს ფასი დაედო ვილიარეალელი მარტინ პალერმოს გვიან გოლს „რეალ სოსიედადის" კარში. შავ დღეშია სანსებასტიანური გუნდი, ოთხ თამაშში ოდენ ერთი ქულა აქვს, ბოლო ადგილზეა და ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელიც ტრავმირებული ჰყავს. ამ მატჩის ოქმს თუ ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ გიორგი დემეტრაძეს 51 წუთი უთამაშია.

ეს ტური უიღბლო გამოდგა „ვალენსიასთვისაც". მართალია, ყველაფერი შედარებითია — სად „ვალენსიას" უიღბლობა და სად „სოსიედადისა", მაგრამ გუნდი 2:0 რომ იგებს და ფრესლა გამორჩება, სხვა რა უნდა ვთქვათ. თუმცა მხოლოდ უიღბლობაც არ არის. ბილბაოელებსაც უნდა შევუქოთ გარჯა, რაკი არ გატყდნენ, ბოლომდე იბრძოლეს და ხოსება ეჩებერიასა და კარლოს გარსიას გოლებით წაგებას გადარჩნენ.

პირველი მარცხი იწვნია „ალავესმა" და ამაში მსაჯის ხელიც ერია. ბასკთა „დეპორტივოსთან" მატჩში მთავარი ამბები ბოლო ექვს წუთში დატრიალდა. მასპინძლები აგებდნენ და 84-ე წუთზე ფაბრიციო კოლოჩინიმ გაათანაბრა, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ. ორ წუთში მსაჯმა ივან ალონსოს წითელი ბარათი აუფრიალა, რასაც ერთი წუთის შემდეგ ლაკორუნიელთა მესამე გოლი მოჰყვა. მაგრამ ამითაც არ დამთავრებულა — ბოლო წუთზე მსაჯმა ვიტორიელებს გოლი არ ჩაუთვალა და ტრიბუნების წყევლა-კრულვა დაიმსახურა.

„ბეტისი" გაზაფხულზე სეგუნდადივიზიონში იყო და ახლა მესამე ადგილზეა, თან პრიმერაში. სევილიელთა მსხვერპლი ამჯერად „ვალიადოლიდი" გახდა, არ დაგავიწყდეთ, გასვლაზე.

„ოსასუნა" კი ბოლო ადგილს სარაგოსელ ხავიერ აგუადოს ავტოგოლის წყალობით ასცდა.

**გიორგი დარჩიანია**



ზინედინ ზიდანი

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კასასი (ბეტისი) | 4 |
| ურსაისი (ბილბაო) | 3 |
| კატანია (სელტა) | 3 |
| დე ლუკასი (ესპანიოლი) | 3 |
| არტეაგა (რაიო ვალეკანო) | 3 |

## V ტური

30 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| რეალი | - | ვალიადოლიდი |
| ბეტისი | - | ლას პალმასი |
| მალაგა | - | ბილბაო |
| ვალენსია | - | ალავესი |
| დეპორტივო | - | სელტა |
| მალიორკა | - | ვილიარეალი |
| სოსიედადი | - | ბარსელონა |
| ტენერიფე | - | სარაგოსა |
| ოსასუნა | - | სევილია |
| ესპანიოლი | - | რაიო ვალეკანო |

## მეორე დივიზიონი

### V ტური

### ესტრემადურა 5:0 ხაენი

1:0 ხორხე პერესი (8), 2:0 მანუელი (26), 3:0 მორენო (48პ), 4:0 კორტესი (66), 5:0 მორენო (90)

### ატლეტიკო 2:1 ლევანტე

1:0 კორეა (8), 1:1 ხოსე მიგელი (40), 2:1 გარსია კალვო (47)

### ხიმნასტიკი 2:0 ფეროლი

1:0 დეუსი (6), 2:0 პინილია (14)

### ხერესი 2:1 ნუმანსია

0:1 ოქტავიო (40), 1:1 პინედა (48პ), 2:1 მენა (57)

### ელჩე 1:1 უელვა

1:0 ნინიო (14), 1:1 დავიდი (81პ)

### რასინგი 0:2 ბურგოსი

0:1 ისაილოვიჩი (53), 0:2 მერინო (79)

### პოლი ეხიდო 1:1 ლეგანესი

1:0 ტრეჩაკი (90), 1:1 მიგელ ანხელი (90პ)

### ალბასეტე 2:0 ბადახოსი

1:0 მიკელი (26), 2:0 ხესუს პერერა (85)

### კორდობა 1:2 სპორტინგი

0:1 პაბლო ალვარესი (19), 0:2 მიჩელი (28), 1:2 მანოლო (33)

### მურსია 3:3 სალამანკა

0:1 მენდესი (6ს.კ.), 1:1, 2:1 ლორეტო (7, 45), 2:2 ნანრიბერა (47პ), 3:2 ლორეტო (54), 3:3 მაკულულა (76)

### ოვიედო 1:0 ეიბარი

1:0 რუბენი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| ხერესი | 5 | 4 | 0 | 1 | 6:2 | 12 |
| ბურგოსი | 5 | 4 | 0 | 1 | 5:2 | 12 |
| ოვიედო | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ფეროლი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| ალბასეტე | 5 | 2 | 2 | 1 | 5:2 | 8 |
| სალამანკა | 5 | 2 | 2 | 1 | 10:9 | 8 |
| უელვა | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| ესტრემადურა | 5 | 2 | 1 | 2 | 8:3 | 7 |
| სპორტინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ხაენი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:11 | 6 |
| ნუმანსია | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 5 |
| ლევანტე | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ეიბარი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| რასინგი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |
| ელჩე | 5 | 0 | 4 | 1 | 3:4 | 4 |
| კორდობა | 5 | 1 | 1 | 3 | 8:10 | 4 |
| მურსია | 5 | 0 | 4 | 1 | 3:5 | 4 |
| ლეგანესი | 5 | 0 | 4 | 1 | 2:5 | 4 |
| ბადახოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 1:7 | 4 |
| ეხიდო | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |
| ხიმნასტიკი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | 1 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სელტა | 4 | 3 | 1 | 0 | 8:0 | 8 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 |
| 2 ბეტისი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 3 დეპორტივო | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 |
| 4 ვილიარეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 5 ბარსელონა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 6 ვალენსია | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 7 ალავესი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 |
| 8 ბილბაო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 |
| 9 სევილია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 |
| 10 მალაგა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 11 რეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 12 ლას პალმასი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 |
| 13 სარაგოსა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 14 მალიორკა | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 15 ვალიადოლიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | -5 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 3 |
| 16 ოსასუნა | 4 | 1 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 3 |
| 17 ტენერიფე | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | -5 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |
| 18 ესპანიოლი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:11 | -6 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | -6 | 0 |
| 19 რაიო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | -3 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 20 სოსიედადი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |



REUTERS მონაკოდან

მონაკო — ლანსი. ვერც ჰაჯი დიუფმა და ვერც მისიანებმა მასპინძელთა მეკარე ფლავიო რომას ვერაფერი დააკლეს

# ნუთუ მარსელმა მოიგო?!

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი

VIII ტური

**სოშო 3:0 სედანი**

1:0 დიაო (21ს.კ.), 2:0 პაგი (51), 3:0 ფრაუ (65)

**ლორიანი 0:2 ბორდო**

0:1 დიუგარი (56), 0:2 პაულეტა (88)

**ლილი 2:1 ბასტია**

1:0 ფაჰმი (54), 1:1 ჟაუ (65), 2:1 შეირუ (90)

**რენი 0:1 ტრუა**

0:1 ჩ. ლერუა (69)

**მეცი 2:0 ლიონი**

1:0, 2:0 გიოლო (37, 70)

**მარსელი 2:0 ნანტი**

1:0, 2:0 ბაკაიოკო (85, 90)

**ოსერი 2:2 გენგამი**

1:0 აბუ (69), 1:1 კუასი (73), 2:1 ფადიგა (83), 2:2 ტასფაუ (90)

**მონაკო 3:0 ლანსი**

1:0 ნიარკო (33), 2:0 ჟიული (47), 3:0 ნონდა (54)

**პარი სენ ჟერმენი 0:0 მონპელიე**

„მარსელისაც" გაგვკვირვებია და „ნანტისაც". თუ მაინცდამაინც ამორჩევაზე მიდგა საქმე, ალბათ, უფრო „ნანტის". ზღვისპირელთა ურიგო თამაშს ქომაგი რა ხანია მიეჩვია, ამიტომ მათი აუტსაიდერთა შორის ყოფნა რაიმე განსაკუთრებულ მოვლენად ნაკლებად აღიქმება. თუმცა ისიც სათქმელია, რომ კლუბში მისი ლეგენდარული პრეზიდენტის ბერნარ ტაპის დაბრუნების შემდეგ (ახლა ის დირექტორად მუშაობს) მარსელელთაგან უფრო მეტს ელოდნენ.

ძლივს! — ამ სიტყვით შეგვიძლია შევაფასოთ „მარსელის" „ნანტზე" გამარჯვება. აბა, სხვა რა უნდა ვთქვათ, როცა ერთ დროს ევროპის უძლიერესი კლუბი შინაური ჩემპიონატის მერვე ტურში იღებს პირველ სამ ქულას. ეს მოგება მარსელელთა ახალმა შენაძენმა ფრანკ ლებეფმა ასე შეაფასა: „გათამაშების ცხრილის ფსკერზე ვიყავით და რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, უნდა მოგვეგო. გამარჯვებამ უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა, მიუხედავად იმისა, რომ გოლები ბოლოსკენ გავიტანეთ. ისიც სასიამოვნოა, რომ წინა მატჩებისგან განსხვავებით, მაყურებელი აღარ გვისტვენდა".

გამარჯვების მიუხედავად, „მარსელი" ოდნავ წაიწია წინ და ოდენ დაჯაბნილ „ნანტს" და „სედანს" უსწრებს.

არადა, „ნანტის" ამბავი მართლაც რომ გულწრფელ გაკვირვებას იწვევს. გუნდი, რომელიც საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონია, ჩემპიონთა ლიგაში ჰოლანდიის ჩემპიონი გაანადგურა და იტალიური „ლაციოც" ზედ მიაყოლა, ბოლო ადგილზეა, თან რვა ტურში ერთიც ვერ მოუგია.

ამ მატჩზე ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაწყებამდე მასპინძელ იბრაჰიმ ბაკაიოკოს მწვრთნელისთვის უთქვამს, ერთი-ორ გოლს აუცილებლად გავიტანო. ბაკაიოკო სიტყვის კაცი გამოდგა...

„მონაკომ" „მარსელივით" და „ნანტივით" საზიზღრად დაიწყო ჩემპიონატი, მაგრამ თავისი თამაში მათზე ადრე იპოვა, პირველ გამარჯვებასაც ცოტა ადრე გაუგო გემო და ამჯერად „ლანსი" იმსხვერპლა. ანგარიში ალექს ნიარკომ გახსნა, რითაც კარგი მაგალითი მისცა ლუდოვიკ ჟიულისა და შაბანი ნონდას, რომლებმაც მეორე და მესამე გოლები შვიდი წუთის ინტერვალით გაიტანეს.

სათავადოში დამარცხებული „ლანსი" ამ ტურამდე ლიდერი იყო და ლიდერობას „ოსერთან" იყოფდა. „ოსერმა" თავის მხრივ შინ ფრედ ითამაშა „გენგამთან" (საინტერესოა, რომ ოთხივე გოლი ბოლო 21 წუთში გავიდა), რითაც ლიდერობა იგდო ხელთ. თუმცა „ოსერის" ერთპიროვნულ ლიდერობაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ამდენივე ქულა „ლილმაც" დააგროვა. ეს ის „ლილია", რომელიც ფრანგთა პირველ დივიზიონში ერთი წლის წინ ამოძვრა, ჩემპიონთა ლიგაშიც თამაშობს და ბოლო ტურში „ბასტიას" ერთბურთიანი სხვაობით სძლია. სხვაობა ორიც იქნებოდა, მაგრამ „ლილს" ერთი გოლი ოფსაიდის გამო არ ჩაუთვალეს.

„ოსერის" და „ლილის" გადასწრება, შესაბამისად, ლიდერად გახდომა „ლიონს" შეეძლო. ამისთვის ლიონელებს მეცში უნდა მოეგოთ, მაგრამ საქმე ისე წაუვიდათ, იქიდან ერთი ქულაც ვერ წაიღეს და მესამედან მეოთხე ადგილზე ჩაინაცვლეს.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოსერი | 8 | 5 | 3 | 0 | 14:5 | 18 |
| ლილი | 8 | 5 | 3 | 0 | 10:4 | 18 |
| ლანსი | 8 | 5 | 2 | 1 | 13:7 | 17 |
| ლიონი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:6 | 16 |
| სოშო | 8 | 4 | 2 | 2 | 12:9 | 14 |
| პსჟ | 8 | 2 | 6 | 0 | 10:6 | 12 |
| ბორდო | 8 | 2 | 4 | 2 | 5:4 | 10 |
| ბასტია | 8 | 3 | 1 | 4 | 7:8 | 10 |
| ტრუა | 8 | 3 | 1 | 4 | 6:7 | 10 |
| მონაკო | 8 | 2 | 3 | 3 | 7:8 | 9 |
| ლორიანი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | 9 |
| მეცი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:9 | 9 |
| მონპელიე | 8 | 1 | 5 | 2 | 5:4 | 8 |
| რენი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:14 | 8 |
| გენგამი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:12 | 8 |
| მარსელი | 8 | 1 | 4 | 3 | 4:6 | 7 |
| სედანი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:11 | 7 |
| ნანტი | 8 | 0 | 2 | 6 | 4:14 | 2 |

### მეორე დივიზიონი

მე-9 ტური: ამიენი — აიაჩო 1:1; გენიონი — ვასკეალი 1:2; ისტრი — კაენი 0:3; ლავალი — შატორუ 2:1; ლე ავრი — ლე მანი 3:0; ნიცა — სენტ ეტიენი 1:1; ნიმი — კრეტეი 1:1; ნიორი — ბოვე 0:0; სტრასბური — ნანსი 2:2; მარტიგი — გრენობლი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაჩო | 9 | 6 | 2 | 1 | 14:5 | 20 |
| ბოვე | 9 | 6 | 2 | 1 | 9:1 | 20 |
| კაენი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:11 | 17 |
| სტრასბური | 8 | 4 | 3 | 1 | 14:6 | 15 |
| ამიენი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:10 | 15 |
| გენიონი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:12 | 15 |
| გრენობლი | 9 | 4 | 2 | 3 | 9:13 | 14 |
| შატორუ | 9 | 4 | 1 | 4 | 12:12 | 13 |
| ლე ავრი | 9 | 2 | 6 | 1 | 12:7 | 12 |
| ნიორი | 9 | 2 | 6 | 1 | 10:8 | 12 |
| ნიცა | 9 | 3 | 1 | 5 | 9:11 | 10 |
| ნანსი | 9 | 2 | 4 | 3 | 8:10 | 10 |
| კრეტეი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:12 | 9 |
| ლავალი | 9 | 3 | 0 | 6 | 9:15 | 9 |
| სენტ ეტიენი | 9 | 1 | 5 | 3 | 9:11 | 8 |
| ვასკეალი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | 8 |
| ლე მანი | 9 | 1 | 5 | 3 | 8:12 | 8 |
| ისტრი | 9 | 2 | 2 | 5 | 4:12 | 8 |
| მარტიგი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:7 | 6 |
| ნიმი | 8 | 0 | 5 | 3 | 4:8 | 5 |

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## აზია. II წრე

### A ჯგუფი. V ტური

**ბაჰრეინი 0:4 საუდის არაბეთი**

**ტაილანდი 1:1 ერაყი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდის არაბეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| ირანი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| ბაჰრეინი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:6 | 6 |
| ერაყი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:6 | 4 |
| | | **ნორვეგია. XXIII ტური.** | | | |
| | | **28 სექტემბერი.** | | | |
| 23.00 | 362 | ბოდო გლიმტი-ბრანი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | **30 სექტემბერი.** | | | |
| 19.00 | 363 | ბრინი-სტრომსგოდსეტი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 364 | მოლდე-ლილესტრომი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 365 | მოსი-ოდ გრენლანდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 366 | როზენბორგი-ლინი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 367 | როზენბორგი-ლინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 368 | ტრომსო-სოგნდალი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 23.45 | 369 | ვიკინგი-სტაბეკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **ფინეთი. გადადებული მატჩები.** | | | |
| | | **26 სექტემბერი.** | | | |
| 20.30 | 370 | ჯაზი-მიუპა | 3,3 | 3,3 | 1,95 |
| 20.30 | 371 | ვაასა-ატლანტისი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 372 | ტამპერე-ინტერი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | **ფინეთი. XXXII ტური.** | | | |
| | | **29 სექტემბერი.** | | | |
| 18.00 | 373 | იოკერიტი-ჯაზი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | | **30 სექტემბერი.** | | | |
| 20.30 | 374 | ინტერი-ვაასა | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.30 | 375 | კუოპიო-ლაჰტი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 376 | მიუპა-როვანიემი | 1,3 | 4.4 | 8,0 |
| | 377 | მიუპა-როვანიემი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.30 | 378 | ტამპერე-ჰაკა | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **I ოქტომბერი.** | | | |
| 20.30 | 379 | ჰიკ-ატლანტისი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 380 | ჰიკ-ატლანტისი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასი. II ეტაპი.** | | | |
| | | **25 სექტემბერი.** | | | |
| 23.30 | 381 | ერდრი-მაზერველი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.30 | 382 | აირი-სტრანრაერი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 23.30 | 383 | დანდი იუნ-დამბარტონი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.30 | 384 | ფოლკირკი-რეითი | 2,1 | 3,3 | 3,0 |
| 23.30 | 385 | როსი-ჰართსი | 4,7 | 3,5 | 1,6 |
| 23.45 | 386 | ქუინი-აბერდინი | 4,7 | 3,5 | 1,6 |
| | | **26 სექტემბერი.** | | | |
| 23.30 | 387 | კლაიდი-სტ. ჯონსტონი | 3.0 | 3.3 | 2.1 |
| 23.30 | 388 | ინვერნესი-პარტიკი | 2,6 | 3,3 | 2.3 |
| 23.30 | 389 | ლივინგსტონი-ისტ ფაიფი | 1,15 | 5,0 | 10,0 |
| 23.45 | 390 | დანფერმლაინი-ალოა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 391 | ჰამილტონი-დანდი | 5,0 | 3,6 | 1,55 |
| 23.45 | 392 | სტირლინგი-სტ. მირენი | 3,6 | 3,3 | 1.8 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. III ტური.** | | | |
| | | **25 სექტემბერი.** | | | |
| 21.00 | 401 | სპარტაკი-ბაიერნი | 3,0 | 3.1 | 2,2 |
| 23.45 | 402 | სელტიკი-პორტუ | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 403 | როზენბორგი-იუვენტუსი | 3.8 | 3,1 | 1,85 |
| 23.45 | 404 | ლევერკუზენი-ბარსელონა | 2,5 | 3,0 | 2.5 |
| 23.45 | 405 | ფენერბაჩე-ლიონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.45 | 406 | დეპორტივო-მანჩესტერი | 2.4 | 3,1 | 2,6 |
| 23.45 | 407 | ლილი-ოლიმპიაკოსი (ნეიტრ.) | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.45 | 408 | სპარტა-ფეიენოორდი | 2,3 | 3.1 | 2,8 |
| | | **26 სექტემბერი.** | | | |
| 23.45 | 409 | რეალი-ანდერლეხტი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.45 | 410 | რომა-ლოკომოტივი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 411 | ბოავიშტა-დორტმუნდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 412 | ლივერპული-დინამო | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 23.45 | 413 | პანათინაიკოსი-არსენალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 414 | შალკე-მალიორკა | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 415 | ნანტი-გალათასარაი | 1,8 | 3,2 | 3.8 |
| 23.45 | 416 | პსვ-ლაციო | 2,4 | 3.1 | 2,6 |

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | **უეფას თასი. I ეტაპი. II წრე.** | | | |
| | | **25 სექტემბერი.** | | | |
| 20.00 | 417 | მაკაბი თელ ავივი(ისრაელი)-დინამო(ხორვატია) | 2.3 | 3,0 | 2.9 |
| 21.00 | 418 | ტიროლი (ავსტრია)-ჟიჟკოვი (ჩეხეთი) | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 419 | ფილკირი (ისლანდია)-როდა (ჰოლანდია) | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 21.00 | 420 | ჰერტა (გერმანია)-ვესტერლო (ბელგია) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 421 | რაპიდი (რუმინეთი)-პსჟ (საფრანგეთი) | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 21.15 | 422 | გაზიანთეპი (თურქეთი)-ჰაპოელი (თელ ავივი) | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| | | **27 სექტემბერი.** | | | |
| 18.00 | 423 | რუჟომბეროკი (სლოვაკეთი)-ტრუა (საფრანგეთი) | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 18.30 | 424 | ვისლა (პოლონეთი)-ჰაიდუკი (ხორვატია) | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.30 | 425 | ბრაშოვი (რუმინეთი)-ინტერი (იტალია) | 4.0 | 3,2 | 1,75 |
| 19.00 | 426 | ობილიჩი (იუგოსლავია)-კოპენჰაგენი (დანია) | 2,0 | 3.1 | 3,4 |
| 20.30 | 427 | ოსიეკი (ხორვატია)-გორიცა (სლოვენია) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.30 | 428 | დებრეცენი (უნგრეთი)-ბორდო (საფრანგეთი) | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 20.30 | 429 | უნიონი (გერმანია)-ჰაკა (ფინეთი) | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 21.00 | 430 | სლოვანი (სლოვაკეთი)-ლიბერეცი (ჩეხეთი) | 1,95 | 3.1 | 3,5 |
| 21.00 | 431 | ლიტექსი (ბულგარეთი)-ინტერი (სლოვაკეთი) | 1,8 | 3,1 | 4.0 |
| 21.00 | 432 | ჰაკ (ფინეთი)-პარმა (იტალია) | 3,8 | 3.1 | 1.85 |
| 21.00 | 433 | შახტარი (უკრაინა)-ცსკა (ბულგარეთი) | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 21.00 | 434 | ბირკირკარა (მალტა)-დინამო (რუსეთი) | 4,7 | 3,5 | 1,6 |
| 21.00 | 435 | გრაცერი (ავსტრია)-უტრეხტი (ჰოლანდია) | 1.9 | 3,1 | 3,6 |
| 21.30 | 436 | ტვენტე (ჰოლანდია)-პოლონია (პოლონეთი) | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.45 | 437 | სილკებორგი (დანია)-სარაგოსა (ესპანეთი) | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 22.00 | 438 | ტორპედო (რუსეთი)-იფსვიჩი (ინგლისი) | 2,1 | 3.1 | 3,0 |
| 22.00 | 439 | გრასჰოპერი (შვეიცარია)-დინამო (რუმინეთი) | 1.6 | 3,4 | 5,0 |
| 22.00 | 440 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)-ცსკა (უკრაინა) | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 22.00 | 441 | ვიკინგი (ნორვეგია)-კილმარნოკი (შოტლანდია) | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 22.00 | 442 | ჰელსინგბორგი(შვედეთი)-ოდ გრენლანდი(ნორვეგია) | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 22.00 | 443 | რეინჯერსი (შოტლანდია)-ანჟი (რუსეთი) (ნეიტრ) | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 22.30 | 444 | სედანი (საფრანგეთი)-პრშიბრამი (ჩეხეთი) | 1.35 | 4.0 | 7,5 |
| 22.30 | 445 | ჰალმსტადი(შვედეთი)-გენჩლერბირლიგი(თურქეთი) | 1.8 | 3.2 | 3,8 |
| 22.30 | 446 | პაოკ (საბერძნეთი)-კერნტენი (ავსტრია) | 1,45 | 3.6 | 6,5 |
| 22.30 | 447 | ლევსკი (ბულგარეთი)-ჩელსი (ინგლისი) | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 23.00 | 448 | სტიაუა (რუმინეთი)-სტ. გალენი (შვეიცარია) | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 23.15 | 449 | სლავია (ჩეხეთი)-სერვეტი (შვეიცარია) | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.30 | 450 | ფრაიბურგი (გერმანია)-პუხოვი (სლოვაკეთი) | 1,25 | 5.0 | 9,0 |
| 23.30 | 451 | რაპიდი (ავსტრია)-პარტიზანი (იუგოსლავია) | 1.9 | 3,1 | 3.6 |
| 23.30 | 452 | ბრიუგე (ბელგია)-ოლიმპიაკოსი (კვიპროსი) | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.30 | 453 | აპოლონი (კვიპროსი)-აიაქსი (ჰოლანდია) | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| 23.30 | 454 | ჰიბერნიანი (შოტლანდია)-აეკ (საბერძნეთი) | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 455 | მილანი (იტალია)-ბატე (ბელარუსი) | 1.15 | 6,0 | 12,0 |
| 23.45 | 456 | ბრიონდბიუ (დანია)-ოლიმპია (სლოვენია) | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 23.45 | 457 | სიგმა (ჩეხეთი)-სელტა (ესპანეთი) | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 24.00 | 458 | ელფსბორგი (შვედეთი)-ლეგია (პოლონეთი) | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 24.00 | 459 | სტრასბური (საფრანგეთი)-სტანდარდი (ბელგია) | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 24.00 | 460 | ფიორენტინა (იტალია)-დნიპრო (უკრაინა) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 24.00 | 461 | ლიდსი (ინგლისი)-მარიტიმუ (პორტუგალია) | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 00.05 | 462 | ვარტექსი (ხორვატია)-ასტონ ვილა (ინგლისი) | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 00.30 | 463 | სპორტინგი(პორტუგალია)-მიდტიულანდი(დანია) | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 00.30 | 464 | ვალენსია (ესპანეთი)-ჩერნომორეცი (რუსეთი) | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | | **მერკოსურის თასი.** | | | |
| | | **25 სექტემბერი.** | | | |
| 05.10 | 465 | ბოკა ხუნიორსი(არგენტინა)-ვასკო და გამა(ბრაზილია) | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| | | **26 სექტემბერი.** | | | |
| 03.30 | 466 | კოლო კოლო (ჩილე)-კრუზეირო (ბრაზილია) | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 23.00 | 467 | სან პაულუ (ბრაზილია)-ტალიერესი)არგენტინა) | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 05.40 | 468 | რივერ პლეიტი (არგენტინა)-პალმეირასი (ბრაზილია) | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| | | **27 სექტემბერი.** | | | |
| 04.00 | 469 | ფლამენგო (ბრაზილია)-სან ლორენსო (არგენტინა) | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 04.00 | 470 | ინდეპენდიენტე(არგენტინა)-კორინთიანსი(ბრაზილია) | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 06.10 | 471 | უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)-გრემიო (ბრაზილია) | 2,5 | 3,2 | 2,3 |
| | | **მერკონორტეს თასი.** | | | |
| | | **25 სექტემბერი.** | | | |
| 07.15 | 472 | ნეკახა (მექსიკა)-აუკასი (ეკვადორი) | 1,2 | 5,6 | 10.0 |
| | | **26 სექტემბერი.** | | | |
| 07.45 | 473 | ალიანსა (პერუ)-ამერიკა (კოლუმბია) | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 05.10 | 474 | ემელეკი (ეკვადორი)-უნივერსიტარიო (პერუ) | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **შესარჩევი მატჩები.** | | | |
| | | **27 სექტემბერი.** | | | |
| 19.45 | 475 | საამიროები-ჩინეთი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **28 სექტემბერი.** | | | |
| 21.00 | 476 | ყატარი-უზბეკეთი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.00 | 477 | ერაყი-ბაჰრეინი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 478 | საუდეთი-ირანი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**შემდეგ ეტაპზე გასვლა.**

| დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| | | **25 სექტემბერი.** | |
| 20.00 | 801 | მაკაბი თელ ავივი(ისრაელი)-დინამო(ხორვატია) | 1,4-2,3 |
| 21.00 | 802 | ტიროლი (ავსტრია)-ჟიჟკოვი (ჩეხეთი) | 1,31-2,8 |
| 21.00 | 803 | ფილკირი (ისლანდია)-როდა (ჰოლანდია) | 15,0- - |
| 21.00 | 804 | ჰერტა (გერმანია)-ვესტერლო (ბელგია) | - -15,0 |
| 21.00 | 805 | რაპიდი (რუმინეთი)-პსჟ (საფრანგეთი) | 2,0-1,5 |
| 21.15 | 806 | გაზიანთეპი (თურქეთი)-ჰაპოელი (თელ ავივი) | 1,5-2,0 |
| | | **27 სექტემბერი.** | |
| 18.00 | 807 | რუჟომბეროკი (სლოვაკეთი)-ტრუა (საფრანგეთი) | 99- - |
| 18.30 | 808 | ვისლა (პოლონეთი)-ჰაიდუკი (ხორვატია) | 1,3-2,8 |
| 18.30 | 809 | ბრაშოვი (რუმინეთი)-ინტერი (იტალია) | 15.0- - |
| 19.00 | 810 | ობილიჩი (იუგოსლავია)-კოპენჰაგენი (დანია) | 3,1-1.25 |
| 20.30 | 811 | ოსიეკი (ხორვატია)-გორიცა (სლოვენია) | 1,01-10,0 |
| 20.30 | 812 | დებრეცენი (უნგრეთი)-ბორდო (საფრანგეთი) | 25,0- - |
| 20.30 | 813 | უნიონი (გერმანია)-ჰაკა (ფინეთი) | 1,15-4,0 |
| 21.00 | 814 | სლოვანი (სლოვაკეთი)-ლიბერეცი (ჩეხეთი) | 2,5-1,35 |
| 21.00 | 815 | ლიტექსი (ბულგარეთი)-ინტერი (სლოვაკეთი) | 1,7-1,7 |
| 21.00 | 816 | ჰაკ (ფინეთი)-პარმა (იტალია) | 3,8-1,15 |
| 21.00 | 817 | შახტარი (უკრაინა)-ცსკა (ბულგარეთი) | 5,0-1,1 |
| 21.00 | 818 | ბირკირკარა (მალტა)-დინამო (რუსეთი) | 5,0-1.1 |
| 21.00 | 819 | გრაცერი (ავსტრია)-უტრეხტი (ჰოლანდია) | 6,0-1,05 |
| 21.30 | 820 | ტვენტე (ჰოლანდია)-პოლონია (პოლონეთი) | 1,05-6,0 |
| 21.45 | 821 | სილკებორგი (დანია)-სარაგოსა (ესპანეთი) | 7,0-1,03 |
| 22.00 | 822 | ტორპედო (რუსეთი)-იფსვიჩი (ინგლისი) | 1,4-2,0 |
| 22.00 | 823 | გრასჰოპერი (შვეიცარია)-დინამო (რუმინეთი) | 1,02-8,0 |
| 22.00 | 824 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)-ცსკა (უკრაინა) | 1,35-2,5 |
| 22.00 | 825 | ვიკინგი (ნორვეგია)-კილმარნოკი (შოტლანდია) | 1,4-2,3 |
| 22.00 | 826 | ჰელსინგბორგი(შვედეთი)-ოდ გრენლანდი(ნორვეგია) | 1,15-4,0 |
| 22.00 | 827 | რეინჯერსი (შოტლანდია)-ანჟი (რუსეთი) | 1,35-2,5 |
| 22.30 | 828 | სედანი (საფრანგეთი)-პრშიბრამი (ჩეხეთი) | 3,5-1,15 |
| 22.30 | 829 | ჰალმსტადი(შვედეთი)-გენჩლერბირლიგი(თურქეთი) | 1,3-2,8 |
| 22.30 | 830 | პაოკ (საბერძნეთი)-კერნტენი (ავსტრია) | 1,3-2,8 |
| 22.30 | 831 | ლევსკი (ბულგარეთი)-ჩელსი (ინგლისი) | 15,0- - |
| 23.00 | 832 | სტიაუა (რუმინეთი)-სტ. გალენი (შვეიცარია) | 1,35-2,3 |
| 23.15 | 833 | სლავია (ჩეხეთი)-სერვეტი (შვეიცარია) | 1,65-1,75 |
| 23.30 | 834 | ფრაიბურგი (გერმანია)-პუხოვი (სლოვაკეთი) | 1,1-4,0 |
| 23.30 | 835 | რაპიდი (ავსტრია)-პარტიზანი (იუგოსლავია) | 1,8-1,6 |
| 23.30 | 836 | ბრიუგე (ბელგია)-ოლიმპიაკოსი (კვიპროსი) | 1,05-5,0 |
| 23.30 | 837 | აპოლონი (კვიპროსი)-აიაქსი (ჰოლანდია) | 7,0-1,02 |
| 23.30 | 838 | ჰიბერნიანი (შოტლანდია)-აეკ (საბერძნეთი) | 4,0-1,15 |
| 23.45 | 839 | მილანი (იტალია)-ბატე (ბელარუსი) | - -50,0 |
| 23.45 | 840 | ბრიონდბიუ (დანია)-ოლიმპია (სლოვენია) | 1,01-10,0 |
| 23.45 | 841 | სიგმა (ჩეხეთი)-სელტა (ესპანეთი) | 15,0- - |
| 24.00 | 842 | ელფსბორგი (შვედეთი)-ლეგია (პოლონეთი) | 6,0-1,05 |
| 24.00 | 843 | სტრასბური (საფრანგეთი)-სტანდარდი (ბელგია) | 3,1-1,2 |
| 24.00 | 844 | ფიორენტინა (იტალია)-დნიპრო (უკრაინა) | 1,15-3,5 |
| 24.00 | 845 | ლიდსი (ინგლისი)-მარიტიმუ (პორტუგალია) | 1,4-2,0 |
| 00.05 | 846 | ვარტექსი (ხორვატია)-ასტონ ვილა (ინგლისი) | 1,3-2,3 |
| 00.30 | 847 | სპორტინგი(პორტუგალია)-მიდტიულანდი(დანია) | - -25,0 |
| 00.30 | 848 | ვალენსია (ესპანეთი)-ჩერნომორეცი (რუსეთი) | 1,02-7,0 |

**ტურში გატანილი გოლები**

29 სექტემბერი 18.30 701 გერმანია (მ-8) 25 და ნაკლები ............ 1,9; 27 და მეტი .......... 1,9
29 სექტემბერი 19.00 702 ინგლისი (მ-8) 25 და ნაკლები ............ 1,9; 27 და მეტი .......... 1,9
29 სექტემბერი 20.15 703 საფრანგეთი (მ-8) 22 და ნაკლები ....... 1,9; 24 და მეტი .......... 1,9
29 სექტემბერი 23.30 704 იტალია (მ-5) 23 და ნაკლები ............ 1,9; 25 და მეტი .......... 1,9
29 სექტემბერი 21.00 705 ესპანეთი (მ-5) 25 და ნაკლები ............ 1,9; 27 და მეტი .......... 1,9
28 სექტემბერი 01.00 706 პორტუგალია (მ-7) 22 და ნაკლები ...... 1,9; 24 და მეტი .......... 1,9
28 სექტემბერი 22.30 707 ჰოლანდია (მ-7) 25 და ნაკლები .......... 1,9; 27 და მეტი .......... 1,9
29 სექტემბერი 23.00 708 ბელგია (მ-7) 26 და ნაკლები ............ 1,9; 28 და მეტი .......... 1,9
28 სექტემბერი 19.30 709 ჩეხეთი (მ-9) 19 და ნაკლები ............ 1,9; 21 და მეტი .......... 1,9
28 სექტემბერი 22.00 710 პოლონეთი (მ-10) 19 და ნაკლები ....... 1,9; 21 და მეტი .......... 1,9
28 სექტემბერი 22.00 711 თურქეთი (მ-7) 24 და ნაკლები ............ 1,9; 26 და მეტი .......... 1,9

| I ტაიმი/მთლიანი დრო | № | მატჩი | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 სექტემბერი.** | | | | | | | | | |
| 21.00 | 601 | სპარტაკი-ბაიერნი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 5,0 | 4,4 | 22,0 | 11,0 | 3,3 |
| 23.45 | 602 | სელტიკი-პორტუ | 2.6 | 11,0 | 22,0 | 4,0 | 5,0 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 23.45 | 603 | როზენბორგი-იუვენტუსი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 5,0 | 4,0 | 22,0 | 11,0 | 2,7 |
| 23.45 | 604 | ლევერკუზენ-ბარსელონა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 605 | ფენერბაჩე-ლიონი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 5,0 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.45 | 607 | დეპორტივო-მანჩესტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 3,9 |
| 23.45 | 608 | ლილი-ოლიმპიაკოსი | 2,5 | 11,0 | 22,0 | 3,8 | 5,0 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 23.45 | 609 | სპარტა-ფეიენოორდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 3,9 |
| | | **26 სექტემბერი.** | | | | | | | | | |
| 23.45 | 610 | რეალი-ანდერლეხტი | 1.6 | 15,0 | 35,0 | 3,0 | 5,6 | 14,0 | 22,0 | 11,0 | 14,0 |
| 23.45 | 611 | რომა-ლოკომოტივი | 1,5 | 15,0 | 35,0 | 3,0 | 5,6 | 14,0 | 22,0 | 11,0 | 14,0 |
| 23.45 | 612 | ბოავიშტა-დორტმუნდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20.0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 613 | ლივერპული-დინამო | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 5,0 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | 614 | პანათინაიკ-არსენალი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 615 | შალკე-მალიორკა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 616 | ნანტი-გალათასარაი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 5,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 617 | პსვ-ლაციო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

საქართველოს ჩემპიონატი. მეორე ეტაპი. II ტური

# კარში დასარტყმელი მსაჯს გაარტყეს

## ლოკომოტივი ადგილიდან არ დაძრულა

თბილისი. ავლაბარი. 22 სექტემბერი

**ლოკომოტივი 13:15 ყოჩები**

**ლოკომოტივი:** ძნელაძე, ანდღულაძე, ბუგიანიშვილი, ალანია, შარაშაშვილი (ასათიანი), კვინიხიძე, ბ. ბერიძე (სარიშვილი); მაჭუტაძე, ცხადაია, კერესელიძე (კ. ჭელიძე, ძიძაძე), ბურდული, ცხომელიძე, თ. სუჯაშვილი, გ. სვანიძე, ზ. მაისურაძე;
2ლ: ზ. მაისურაძე, ალანია; 1ს: ძნელაძე

**ყოჩები:** კობერიძე, ზ. შენგელია (კ. მხეიძე), ტრაპაიძე, ციბაძე (საკანდელიძე), გიორხელიძე, ს. ლიპარტელიანი, კრეშაკ; ფირიაშვილი, გოლიაძე, ჩიქავა (გულუხია), ჩაკვეტაძე (ვაშაყმაძე), გუშარაშვილი, ხურცილავა, ს. ჭელიძე, გ. ხაბეიშვილი (ზესაშვილი)
2ლ: ს. ჭელიძე, კ. მხეიძე; 1გ: გიორხელიძე; 1ს: გიორხელიძე

**გაძევება:** გუშარაშვილი (ყოჩები)
**მსაჯი:** ნოდარ რობიტაშვილი
**მეთვალყურე:** ზურაბ ხარშილაძე

საჩემპიონო მარათონი გადამწყვეტ ფაზაში შედის. ქართული რაგბის ელიტარული ოთხეული პლეი ოფისთვის საუკეთესო ადგილის დაკავებას ეშურება. მეორე ეტაპის მეორე ტურში ორი თბილისური გუნდის — „ლოკომოტივისა“ და „ყოჩების“ პრინციპული დაპირისპირება შედგა. საკმაოდ გაჭიანურებული არდადეგების შემდეგ ორივე გუნდმა გვარიანად იცვალა სახე. წამყვანმა მორაგბეებმა საფრანგეთს მიაშურეს, კლუბების უფროსობას კი რეზერვისტებით უწევთ ფონს გასვლა.

მე პირადად არც მახსოვს, ბოლოს როდის დამარცხდა „ლოკომოტივი“ ზედიზედ ორჯერ. პირველ ტურში ჩემპიონები ქუთაისელებმა გამოისტუმრეს უქულოდ, შაბათს კი ექსჩემპიონებმა აართვეს ორი ქულა. საზაფხულო შესვენებამდე „ლოკომოტივის“ მატჩებს საკმარისად დავსწრებივარ, მაგრამ ამ გუნდის ასეთი არეული ქმედება აქამდე არ მენახა. სადღა იყო გაშლილი, ღია, კომბინაციური თამაში, ან კიდევ ლამაზად გათამაშებული მარაო და მძლავრი, მობილური შერკინება. არადა, მორაგბეთა მიგრაციის მიუხედავად, „ლოკომოტივს“ კვლავ უძლიერესი უკანა ხაზი ჰყავს საქართველოში. მიუხედავად ამისა, რკინიგზელებმა ვერც ეს უპირატესობა გამოიყენეს და მორიგი ორი ქულა უბოძეს მეტოქეს.

მატჩის დასაწყისი თითქოს თანაბარი ბრძოლის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, რაც მოვლენათა განვითარებამ ცხადყო კიდეც. სწრაფ ტემპში დაწყებულ შეხვედრაში ხიფათი უკვე მეორე წუთზევე შეიქმნა, როდესაც „ყოჩებმა“ რკინიგზელთა ლელოზე იერიში მიიტანეს, მაგრამ დაცვამ მეტოქის მიწოლა უკუაგდო. აქედან რომ არაფერი გამოვიდა, ირაკლი გიორხელიძემ საჯარიმოდან სცადა ბედი, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა. ვერც მისი კოლეგა-მეტოქე ბობა კვინიხიძე იყო მოწოდების სიმაღლეზე. ეტყობა, რკინიგზელთა დამრტყმელი მარცხენა ფეხზე ადგა. „ლოკომოტივის“ მეათე ნომერმა საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან ორჯერ მოიქნია მარჯვენა და ორჯერვე არაზუსტად. ამასობაში „ყოჩებმაც“ გამოაჩინა ბრჭყალები. ტაიმის შუისთვის ყოჩმა ჭელიძემ ზედახორაში იყოჩალა და მასპინძლები დაალელოვა. გიორხელიძეს გარდასახვა გაუცუდდა.

დაფაცურდნენ რკინიგზელები, ეგ იყო, მათმა ქაოტურმა შეტევებმა ექსჩემპიონთა საიმედო დაცვას ბევრი ვერაფერი დააკლო. ლელო კი მაშინ გავიდა, როდესაც ლოგიკის მიხედვით არ უნდა გასულიყო. „ლოკომოტივის“ მორკინალმა ზვიად მაისურაძემ გარღვევა წამოიწყო, ლელოს სიახლოვეს სტუმართა მწყობრ დაცვას წააწყდა თითქოს მეტოქის შებოჭვა გარდაუვალი იყო, ალბათ, ეს გაიფიქრეს რკინიგზელებმაც და თანაგუნდელის მიშველება აზრადაც არ მოსვლიათ, მაგრამ მაისურაძემ თავად განაგრძო შეტევა, მოხდენილად აუარა გვერდი „ყოჩების“ რამდენიმე უკანახაზელს და ლელოსაც უწია. პირველ ტაიმში მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა და მსაჯის სასტვენმა მეტოქეები შესვენებაზე გაისტუმრა.

მატჩის განახლების შემდეგ „ლოკომოტივი“ გაცილებით მობილიზებული გამოვიდა, მაგრამ ჩემპიონები ვერაფრით ახერხებდნენ ანგარიშის გაზრდას. სამაგიეროდ, „ყოჩებს“ ლელოს დაცვასთან ერთად სწრაფი კონტრშეტევებიც გამოსდიოდათ და ორჯერ გატანაც მართებდათ. ჯერ ირაკლი ციბაძემ და მერე ზვიად კობერიძემ გაჭრეს რკინიგზელთა დაცვის ხაზი, თუმც შეტევის ბოლო ფაზაში ვერ ივარგეს. ცოტა ხანში მოედანზე პირველი კონფლიქტიც წარმოიშვა, მაგრამ გუნდურ ჩხუბში არ გადაზრდილა. ამის შემდეგ ყოჩმა ალეკო გუშარაშვილმა ბოლმის გადმონთხევა მსაჯზე სცადა და ბურთი ნოდარ რობიტაშვილის თავს დაუმიზნა. აფრიალდა წითელი ბარათი და დარჩნენ „ყოჩები“ კაცნაკლულნი. რამდენიმე წუთში კი ზვიად მაისურაძე და გელა ხურცილავა წაეკიდნენ ერთმანეთს. ამასობაში გიორხელიძემ და ძნელაძემ საჯარიმოები გაცვალეს. ეტყობა, რკინიგზელებმა კინკლაობას მეტი ენერგია შეალიეს, ვიდრე თამაშს. შეცვლაზე შესულმა კახა მხეიძემ, თავისი გაბარიტების მიუხედავად, საკმარისად სწრაფად ირბინა და მეორედ დაალელოვა მასპინძლები. გიორხელიძემ გარდასახა. პასუხი არ დააგვიანა „ლოკომოტივმა“. ნონო ანდღულაძემ კარგი პასით კახა ალანია გაიყვანა გარღვევაზე. რკინიზელთა ლიდერმა პასი შეიშნო და სხვაობა შეამცირა. მახვილი კუთხიდან ძნელაძემ ვერ უსწორა ბურთი მიზანს. მერე ჩემპიონებმა საბოლოო შტურმი დააპირეს, მაგრამ მათ უკბილო შეტევებს შედეგი არ მოყოლია.

**ბაჩო სვანიძე**

ბათუმი. ანგისა. 23 სექტემბერი

**დათვები 14:9 აია**

**დათვები:** დაველაძე, ს. ევგენიძე, ხონელიძე, კაპანაძე, პინჩუკოვი, კიკნაძე, ხელაძე; დ. შენგელია (მოქია), ნინიძე, ლლონტი, კუნჭულია, ფხაკაძე, ი. სვანიძე, ჩირგაძე, ხატოამია (კ. კობახიძე);
1 ლ: ფხაკაძე; 1ს: კიკნაძე; 1ა: კიკნაძე;

**აია:** სორდია, კავზიანიძე (ლილუაშვილი), აბზიანიძე, აშვეთია, ნაჩევაძე (ჩუბინიძე), სალაძე (იობაშვილი), კ. გიორგაძე; კოპალიანი, ცნობილაძე (გაბუნია), დეისაძე (თ. ბალანჩივაძე), კოსტავა (დ. ბალანჩივაძე), მინაძე, ტორაძე, ყურაშვილი, საყვარელიძე;
3ს: აბზიანიძე

**მსაჯი:** გია ჯავახიშვილი

| სატურნირო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 12 | 10 | 0 | 2 | 272:140 | 20 |
| ლოკომოტივი | 12 | 8 | 0 | 4 | 340:149 | 16 |
| ყოჩები | 12 | 6 | 0 | 6 | 338:107 | 12 |
| აია | 12 | 6 | 0 | 6 | 171:187 | 12 |



„ლოკომოტივი — „ყოჩები“. ზვიად კობერიძე ამგვარად ბოჭავდა ლოკომოტიველ მეტოქეებს

ექვსი ერის ჩემპიონატი.
III ტურის გამოტოვებული მატჩი. 22 სექტემბერი



რონან ოგარა, გაი ისტერბი და მალკოლმ ოკელი შოტლანდიელ გრეგორ თაუნსენდს მიესივნენ

# ესაა ირლანდია?!

22 სექტემბერი. მარიფილდი

**შოტლანდია 32:10 ირლანდია**

**შოტლანდია:** მეტკალფი, სტილი, მაკლარენი, ლესლი (ჰენდერსონი 64), პატერსონი, თაუნსენდი, რედფანი; სმიტი, ბალოკი (სკოტი 79), სტიუარტი, უაიტი (გრიმზი 72), მიურეი, სიმპსონი (პეტრი 75), პუტნი (კაპ), ტეილორი
4ლ: პუტნი, სმიტი, ლესლი, ჰენდერსონი; 3გ: თაუნსენდი, პატერსონი (2); 2ს: პატერსონი

**ირლანდია:** დემპსი, მერფი (მეგზი 22), ოდრისკოლი, ჰორგანი, ჰიკი, ოგარა (ჰემფრიზი 63), გ. ისტერბი (სტრინგერი 54); კლოჰესი, ვუდი (კაპ), ჰეიესი (ბირნი 35), დევიდსონი (ლონგუელი 74), ოკელი, ს. ისტერბი, დოუსონი, ფოლი
1ლ: დემპსი; 1გ: ჰამფრიზი; 1ს: ოგარა

**მსაჯი:** უაიტი (ინგლისი)

ირლანდიას 1948 წლიდან ხუთი, ახლა კი უკვე ექვსი ერის ჩემპიონატში დიდი სლემი არ შეუსრულებია და წლეულს ამის გაკეთების იმედიც ჰქონდა. გაზაფხულზე მან ლათინები დაამარცხა — ჯერ იტალიაში მოიგო და მერე შინ საფრანგეთს სძლია. დანარჩენი მატჩები კი გადაედო ევროპაში გამძვინვარებული თურქულის ეპიდემიის გამო. მთელი ზაფხული ირლანდიელები გამალებით ემზადებოდნენ და ბაქიაობდნენ კიდეც — დარჩენილი სამი შეხვედრაც ჩვენს სასარგებლოდ უნდა დავასრულოთო, მაგრამ...

10:32 შოტლანდიაში და კიტ ვუდმა და მისმა თანაგუნდელებმა ისიც კი აღარ იციან, თუ ვინ იქნება მათი მომავალი მთავარი მწვრთნელი.

ირლანდიას არ ეგონა, კვირა დილით ასეთ ცუდ ხასიათზე თუ გაიღვიძებდა. მისი სარაგბო ნაკრები მეზობელ კუნძულზე, სადაც 1985 წლის შემდეგ ველარ მოეგო, დიდი ამბიციებით გადავიდა. სკოტებს გაზაფხულზე შინ უელსთან ფრედ ეთამაშათ, იტალია კი გაჭირვებით დაემარცხებინათ. ეს ფაქტიც სტუმრების ოპტიმიზმს აძლიერებდა. „ჩვენი გუნდი ნამდვილად უკეთესია, ვიდრე შოტლანდიისა. მორაგბეთა ეს თაობა მინდორზე სულ სხვანაირი გრძნობით გადის. ისინი მეტად თავდაჯერებულნი და საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი არიან“ — წერდა „აირიშ ტაიმსის“ სვეტში ყოფილი „სამყურა“ საიმონ ჯოიგანი. ჰოდა, სწორედ ამ თავდაჯერებულობამ ხომ არ დაღუპა „მწვანეები“?

სტუმრებმა მატჩი ძალიან სუსტად ჩაატარეს, ოთხი ლელო გაუშვეს და მხოლოდ ერთი გაიტანეს, ისიც მაშინ, როცა ველარაფერი ეშველებოდათ. ბოლო წუთებზე სკოტთა დაცვა ანგარიშის (32:3) გამო მოდუნებულიყო და დიდად არც განაწყენებულან მასპინძლები დემპსის წარმატებით.

კვირის „აირიშ ტაიმსში“ კიერონ დოუსონი აღნიშნავდა, რომ შოტლანდიელებმა მაგრად დაჩაგრეს. „ისინი ყველგან გვასწრებდნენ. მათი დაცვა გაუვალი იყო, იშვიათად რომ შებოჭვის მცდელობა გაცუდებოდათ“ — ამბობს დოუსონი. ირლანდიელებს ვერც წლის საუკეთესო მორაგბის წოდების პრეტენდენტებმა — ბრაიან ოდრისკოლმა და კიტ ვუდმა უშველეს. პირველამდე ბურთები დაგვიანებით აღწევდა, მეორე კი შეჯგუფებების შემდეგ სწორ გაგრძელებას ხშირად ვერ პოულობდა.

მატჩამდე ეიფორიაში მყოფი ირლანდიელი ჟურნალისტები წაგების შემდეგ მაგრად მოსდგნენ თავიანთი ნაკრების ახალზელანდიელ თავკაც უორენ გეტლენდს. „ჯერ კიდევ შარშან ინგლისთან თვიქნემში შერცხვენის მერე ვითხოვდი, მთავარი მწვრთნელის შეცვლას“ — განაცხადა „აირიშ ინდეპენდენტის“ სარედაქციო წერილში ჯორჯ ჰუკმა, რომელსაც ბევრმა აუბა მხარი. ასე რომ, გეტლენდი, რომელსაც კონტრაქტი ნოემბერში უთავდება, შეიძლება მსოფლიოს თასისთვის აღარც იყოს ირლანდიელთა დამრიგებელი. ერთადერთი, რაც ალბათ მას გადაარჩენს, უელსში და შინ ინგლისთან გამარჯვებებია, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, ირლანდიამ ინგლისს დიდი სლემი არ დაანებოს. გეტლენდის შემცვლელებად უკვე ორ ადამიანს ასახელებენ — მისსავე თანამემამულე ედი ოსალივანსა და „მანსტერის“ მწვრთნელ დეკლან კიდნის.

თამაში მასპინძელთა შეტევებით დაიწყო და გრეგორ თაუნსენდმა დაახლოებით 30 მეტრიდან არეკნიც შეაგდო, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა, რადგან მანამდე ჩაესტვინა და საჯარიმო დაენიშნა სკოტთა სასარგებლოდ. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, თაუნსენდმა ამჯერად გაცილებით იოლი დარტყმა გააცუდა ოციოდე მეტრიდან. უხეირო დარტყმები მერეც მრავლად იყო ორივე მხრიდან.

თანდათანობით შოტლანდიის აშკარა უპირატესობა გამოიკვეთა, რაც მისი უკანახაზელების — გლენ მეტკალფის და კრის პატერსონის დამსახურება იყო. სწორედ ამ უკანსკნელმა განახორციელა ოცდაათმეტრიანი გარღვევა, რომლის ბოლოსაც ბაჯ პუტნიმ პირველი ლელო გაიტანა.

სკოტებმა შესვენებამდე კიდევ ერთი ლელო გაახერხეს, რასაც საჯარიმოც დაურთეს და ანგარიში 17:0 გახადეს.

მეორე ტაიმი ირლანდიელთა ათწუთიანი ამბოხით დაიწყო, მაგრამ ძირითადის შუამარბ რობ ჰენდერსონის არყოფნაში მისი მეწყვილე ოდრისკოლი მარტო ვერაფერს გახდა მასპინძელთა დაცვასთან. 49-ე წუთზე ოგარამ ზუსტი საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა ცოტათი კი შეამცირა, მაგრამ 67-ე და 77-ე წუთებზე ბრიტანელებმა ორჯერაც დაალელოვეს მეტოქე და ანგარიში სამარცხვინოს დაამსგავსეს. უკანასკნელ წუთზეღა შეძლო დემპსიმ პრესტიჟის გადარჩენა.

**გაგი გურული**

| სატურნირო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 4 | 0 | 0 | 215:60 | 8 |
| უელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 119:130 | 5 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 92:116 | 5 |
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 73:69 | 4 |
| საფრანგეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 115:138 | 4 |
| იტალია | 5 | 0 | 0 | 5 | 106:207 | 0 |

# ლაბაძე ჰონკონგის ბადეში ვერ გაეხვა

**20 წლის** ქართველმა ჩოგბურთელმა ირაკლი ლაბაძემ ამასწინათ შანხაიში სასწაულები ჩაიდინა, მსოფლიოს მეორე ჩოგანი ანდრე აგასი შეარცხვინა და მას ჯასტინ გიმელსტობიც მიაყოლა, თუმც ჩვენებურს ამანაც ვერ გაუღო მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ასეულის კარი. წინა კვირის დასაწყისში ჩემპიონთა რბოლაში ირაკლი 13 ქულით 166-ე ადგილზე იყო. შანხაის ტურნირში მისმა მონაგარმა რვა ქულა შეადგინა და ამან ირაკლი 23 საფეხურით წასწია. ახლა იგი ჩემპიონთა რბოლაში 143 ადგილზეა.

რაც შეეხება ძველი სისტემის კლასიფიკაციას, ლაბაძე იქ 110 საფეხურზე იყო. ახლა ოთხი ადგილით წაიწია და ამ კვირისთვის 106-ეა.

შანხაიში რიგიანი გამოსვლის შემდეგ ირაკლის მომდევნო ტურნირში არ გაუმართლა. იგი ჰონკონგში მიმდინარე და „სეილემ ოუფენის" სახელით ცნობილი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპში ჩაერთო და პირველ წრეში ადგილობრივი კიტ ლი 6:1, 6:1 გაანადგურა, მაგრამ მეორეში ერთი კვირის წინ ბრაზილიის ღია პირველობის მომგებ ჩეხ დანიელ ვაჩეკს გადაეყარა და ტურნირის ძირითად ბადეში ჩაჯდომა ვერ მოახერხა: ჩეხმა 6:4, 6:1 მოიგო.

# გერმანელმა ჰაინეკენი შეირგო

**შანხაი (ჩინეთი). ჰაინეკენის თასი**
**ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $**

**ნახევარფინალი. რაინერ შუტლერი (გერმანია, 2) — ფრანცისკო კლავეტი (ესპანეთი, 4) 6:4, 1:6, 6:3; მიხაელ კრატოხვილი (შვეიცარია, 3) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:2, 6:4**
**ფინალი. შუტლერი — კრატოხვილი 6:4, 6:3**

ნახევარ მილიონ დოლარზე მეტად ღირებული ჰაინეკენის თასისთვის ბრძოლაში დანიელ კენეტ კარლსენს ნახევარფინალის იქით გაღწევა არ ეწერა. კარლსენმა მეოთხედფინალში პირველი სეტი დაუთმო და მატჩი კი მოუგო ქართველ ირაკლი ლაბაძეს, მაგრამ მერე შეხვდა შვეიცარიელ მიხაელ კრატოხვილს და ადვილად დანებდა — 2:6, 4:6. კრატოხვილი შანხაიში მე-3 ნომერი გახლდათ და სამართლიანად ითვლებოდა ფავორიტად, რადგან ტურნირის პირველი ჩოგანი ანდრე აგასი ლაბაძემ თავიდანვე გააგდო.

განთესვით კრატოხვილს უსწრებდნენ აგასი და გერმანელი რაინერ შუტლერი. ეს უკანასკნელ წრიდან წრემდე დამაჯერებლად მოძრაობდა, ნახევარფინალში ძლიერი ფრანსისკო კლავეტიც სამ სეტში დაამარცხა და ფინალი შუტლერმა და კრატოხვილმა გამართეს.

გერმანელის უპირატესობა საკმაო იყო. შუტლერმა თითო სეტში მეტოქეს თითო მოწოდება აართვა და ტურნირი მოიგო, რაც უეჭველად სასიკეთოდ იმოქმედებს კლასიფიკაციაში მის ადგილზე. 25 წლის ჩოგბურთელმა ამასთან 54 ათასი დოლარი გამოიმუშავა და შანხაის რიგიან გუნებაზე ტოვებს.

„ვფიქრობ, დღეს იდეალურად ვაწვდიდი — თქვა შუტლერმა ნამატჩევს — არა გუშინდელივით. სულელური შეცდომებიც არ დამიშვია, ადვილ ბურთებს მიზანში რეგულარულად ვარტყამდი. მთლიანად მაღალ დონეზე ვითამაშე".

შეიძლება ასეც ითქვას, რადგან შუტლერს მოწოდება არ დაუკარგავს და კრიტიკულ მომენტებში რეგულარულად სჯაბნიდა მეტოქეს. ასეთი იყო მეორე სეტის მე-6 გეიმი, რომელშიც კრატოხვილს სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და შუტლერმა ამოუქაჩა. მომდევნო გეიმშიც, თავის მოწოდებაზე, კრატოხვილი 40-15 ლიდერობდა და მაინც ვერ ივარგა.

**ტოკიო (იაპონია)**
**TOYOTA PRINCESS CUP**
**ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $**

თავიდანვე ელიტარული ამერიკელებისა (უილიამსები, კაპრიატი, სელეში) და გზადაგზა იაპონელების (სუგიამა, საეკი) გარეშე დარჩენილი „პრინცესას თასის" დასკვნითმა მატჩებმა ინტერესის მეტი წილი დაკარგა. ნახევარფინალების მთავარი ინტრიგა ელენა დოკიჩისა და კიმ კლაისტერსის მატჩში ტრიალებდა.

მე-3 ნომერმა დოკიჩმა კარგადააწყო თამაში განთესვით პირველი, ჯანიანი ბელგიელის წინააღმდეგ, ვისაც ლეიტონ ჰიუიტის გელფრენდად ვიცნობთ. დოკიჩის ტექნიკასთან ბრძოლამ კლაისტერსს ღონე გამოაცალა და ადრეული იოლი მოგებების შემდეგ ბელგიელმა ამჯერად ორ სეტში დატოვა კორტი დამარცხებულის სტატუსით, იუგოსლაველს კი ფინალში უბერებელი არანჩა სანჩეს-ვიკარიო ელოდა.

სანჩეს-ვიკარიო დროს არ ნებდება და ჯიუტად ცდილობს, „დიდი სლემის" 4 ტიტულს კიდევ რამე შეჰმატოს. ნახევარფინალში არანჩამ თვისტომ ახალგაზრდას, გალა ლეონ გარსიას მოუგო (ეს უკანასკნელი ტოკიოში მასპინძლების დაწიოკებით გამოირჩა), ფინალში კი ძალა აღარ ეყო.

დოკიჩი თავიდანვე დომინირებდა. ტოკიოს „არიაკე კოლოზეუმზე" მან სანჩეს-ვიკარიოს მე-5 გეიმში მოწოდება აართვა და პირველი სეტი 37 წუთში მოუგო.

მეორე სეტში დოკიჩის ინიციატივამ იმატა. თავიდანვე დოკიჩმა ერთი მოწოდებაც აართვა ესპანელს და კრიტიკულ დღეში ჩავარდა მხოლოდ რამდენიმე წუთით, როცა მეოთხე გეიმში სანჩეს-ვიკარიოს ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. არანჩამ შანსი დაკარგა და, როგორც გაირკვა, მატჩიც. დოკიჩმა ჯამში 4 ეისი გამოიმუშავა და შეხვედრა 6:4, 6:2 მოიგო.

ამ საქმისთვის იუგოსლაველმა (ვინც ეთნიკურად სლავია, ავსტრალიის მოქალაქე იყო და ფესვებს დაუბრუნდა) 69 წუთი დახარჯა. პრინცესას თასი წლეულს მისი მეორე ჯილდოა. მაისში დოკიჩმა იტალიის ღია პირველობა" მოიგო.

**ნახევარფინალი. ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 3) — კიმ კლაისტერსი (ბელგია, 1) 7:5, 6:4; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 5) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:3, 7:5**
**ფინალი. დოკიჩი — სანჩეს-ვიკარიო 6:4, 6:2**

**კვებეკი (კანადა). ბელ ჩელენჯი**
**ჰარდი. საპრიზო 170 ათასი $**

თანხით მწირ კვებეკის ტურნირზე საკმაოდ ბევრმა ელიტარულმა ჩოგბურთელმა ითამაშა. ამათგან ფინალში გავიდნენ პირველ ნომრად განთესილი ამერიკელი მეგან შონესი და ხორვატი ივა მაიოლი, ვისი კარიერის ერთადერთი, მაგრამ უაღრესად ნათელი წერტილი 1997 წელს „როლან გაროსის" მოგება გახლავთ.

ნახევარფინალში შონესის უფრო გაუჭირდა. ლუქსემბურგელმა ანე კრემერმა პირველ სეტში მას ცხარე ომი გაუმართა და კინაღამ მოუგო, შონესიმ მხოლოდ ტაიბრეიკში და ისიც 7:5 გაიმარჯვა.

მაიოლიმ უფრო იოლად დაამარცხა სლოვაკი მარტინა სუხა, ფინალი კი პირწმინდად წააგო. შონესი დომინირებდა მთელი მატჩის განმავლობაში, 15 ეისი მოაწოდა და კარიერის მეორე ტიტული დაიმსახურა. შარშან შონესიმ შანხაიში „ჰაინეკენის თასიც" მოიგო.

„წარმატებამ გამაბედნიერა — თქვა 22 წლის ამერიკელმა — დღეს ყველაფერი გამომდიოდა — მოწოდებაც, მიღებაც და ბადესთან გასვლებიც".

ასაკი იგრძნობოდა იმ დღეს 9 ორმაგი შეცდომის დამშვებ მაიოლის ნაუბარში. „კარგად ვერ ვითამაშე — ხორვატის სიტყვებია — რადგან კორტზე ცხელოდა, ერთხელ უადვილესი მიღება გავაფუჭე, დაღლილი ვიყავი, ფეხებს ვერ ვამოძრავებდი, ის კი, მეგანი, დიდებულად აწვდიდა".

**ნახევარფინალი. მეგან შონესი (აშშ, 1) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი, 3) 7:6 (7:5), 6:2; ივა მაიოლი (ხორვატია) — მარტინა სუხა (სლოვაკეთი) 6:4, 7:5**
**ფინალი. შონესი — მაიოლი 6:1, 6:3**

**დავით გულუა**





ელენა დოკიჩმა ტოკიოდან წაიღო მთავარი პრიზი, რაინერ შუტლერმა — შანხაიდან

**დევისის თასი. ნახევარფინალი**



სედრიკ პიოლინმა და ფაბრის სანტორომ საფრანგეთი ფინალში გაიყვანეს

# ტაი-სეტყვა ოზეთში

**ავსტრალია 4:1 შვედეთი**

**ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) 3:6, 6:7 (8:10), 6:3, 6:2, 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 4:6, 6:4, 7:6 (7:5), 7:6 (7:2); უეინ არტურსი და ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — იონას ბიორკმანი და მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:7 (3:7), 7:6 (7:2), 7:6 (7:5), 7:6 (7:3); პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:2; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 (7:3), 5:7, 6:2, 6:1**

**ჰოლანდია 2:3 საფრანგეთი**

**ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:7 (3:7), 7:6 (7:4), 4:6, 7:6 (7:4), 8:6; არნო კლემანი (საფრანგეთი) — რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) 3:6, 6:2, 1:2 (სლუიტერმა თამაში შეწყვიტა); სედრიკ პიოლინი და ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — პაულ ჰაარჰუისი და სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 7:5, 6:1, 7:5; იან სიმერინკი (ჰოლანდია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4, 6:4; სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 7:6 (8:6), 7:6 (7:3).**

ამ უქმეებზე დევისის თასის ფინალისტების სადაურობა გაირკვა. ავსტრალიის გაერთიანებულ მეჩოგნეთა გუნდმა შინ, სიდნეიში, 4:1 იმსხვერპლა შვედეთის რჩეული ბიჭები. ფინალის მეორე საგზურს კი საფრანგეთი დაეპატრონა, რომელმაც სტუმრად როტერდამში ჰოლანდია უფრო იოლად დასცა, ვიდრე ავსტრალიამ შვედეთი.

სიდნეურმა ანგარიშმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ, სერია 4:1 კი დამთავრდა, რაც თითქოს მასპინძელთა სრულ უპირატესობაზე უნდა მეტყველებდეს, მაგრამ ოზთა გუნდი ნამდვილად ვერ ფლობდა უპირატესობას ქერა შვედებთან და იქნებ შერცხვენილიყო კიდეც შინაურ სარბიელზე.

ამ წყვილში ინტრიგა თავიდანვე სულდგმულობდა, ხოლო როდესაც სერიის პირველ მატჩში ოზთა კერპმა პატრიკ რაფტერმა ხუთსეტიან მატჩში სტუმარ ტომას იოჰანსონთან წააგო, დაძაბულობამ პიკს უწია. არადა, რაფტერმა პირველი ორი სეტი მოიგო და თითქოს გამარჯვებაც დაიბევა. ოზთა ნერვები კიდევ უფრო გააწვრილა კიდევ ერთმა ქერათავიანმა იონას ბიორკმანმა, რომელმაც მასპინძელ ლეიტონ ჰიუიტს პირველი სეტი 6:4 წაჰგლიჯა. ავსტრალიელთა სასიხარულოდ და რაფტერისგან განსხვავებით, ორი კვირის წინ ამერიკის ღია პირველობის მომგები ჰიუიტი დროულად მოეგო გონს და ზედიზედ მომდევნო სამ სეტში თავად იმარჯვა, თუმც ამ სამიდან ორში ტაიბრეიკში მოუხდა შებმა კერკეტ ბიორკმანთან. სანამ მარცხს აღიარებდა, ბიორკმანმა ბევრი იბორგა და კიდევ ორჯერ აწყევლინა თავი ავსტრალიელ ქომაგობას. პირველად მაშინ, როცა მაგნუს ლარსონის მხარდამხარ შეება ტოდ ვუდბრიჯისა და უეინ არტურსის წყვილს. ვუდბრიჯსა და არტურსს სახელი წყვილებში თამაშით გაუთქვამთ და ძნელად რომ მსოფლიოში მათი მომრევი მოიძებნებოდეს. ამ დუეტმა ახლაც იმარჯვა და მშობლიური ავსტრალია 2:1 დააწინაურა, თუმც მანამდე ერთი თამაშის განმავლობაში ოთხჯერ (!) გაიარა ტაიბრეიკის ქარცეცხლში.

ვნებათაღელვა ისევ პატრიკ რაფტერმა ჩააცხრო, როცა სერიის მეოთხე შეხვედრაში ბიორკმანს სძლია — 6:3, 6:2. მთელი სერიის განმავლობაში ეს იყო ერთადერთი მატჩი, როცა გამარჯვებულმა ყველა სეტი მოიგო და ტაიბრეიკიც აიცილა. ავსტრალია 3:1 დაწინაურდა და ადრეულად დაიბევა ფინალი. ჰიუიტსა და იოჰანსონს შორის მაინც გაიმართა შეხვედრა და თუმც ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, ბრძოლა მაინც შედგა. იოჰანსონმა ჰიუიტს ბევრი ოფლი აღვინა, შვედეთის ყვითელ-ლურჯი დროშის წინაშე ვალი ბოლომდე მოიხადა და კორტი ისე დატოვა.

სიდნეის ბატალიების პარალელურად, დედამიწის საპირისპირო მხარეს, როტერდამში რჩეულ ფრანგთა გუნდი მასპინძელ ჰოლანდიას სისხლს უშრობდა. ვინ იცის, რამდენ ჯერ ინატრეს ჰოლანდიელებმა უნიჭიერესი, მაგრამ ტრავმების მიმართ მიდრეკილების მქონე რიხარდ კრაიჩეკი, რომელიც ახლაც დაშავებულია და თავისიანებს ვერაფერში შეეშველა. უიმისოდ კი ჰოლანდიელები ფრანგთა იოლი ლუკმა გახდნენ. სტუმრებმა არცთუ გაჭირვებით პირველი სამი შეხვედრა მოიგეს და დანარჩენ ორს აზრი დაუკარგეს.

მსოფლიოს ორი უძლიერესი მეჩოგნეთა ნაკრები — ავსტრალია და საფრანგეთი ნოემბერ-დეკემბრის მიჯნაზე პარიზში გაარკვევენ დევისის თასის მფლობელს.

**ივანე ძოწიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქათამაძე გადადგა

## ფედერაციის პრეზიდენტს მხოლოდ კალათბურთის ცოდნა არ გამოადგება და ათი მილიონის მოტანაც მოუწევს



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

გოგი ქათამაძემ თანამდებობა დატოვა

***საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, რომელიც ამ უწყებას ოთხი წელი ედგა სათავეში, 3 ოქტომბერს უფლებამოსილება უწყდებოდა. გოგი ქათამაძე არჩევნებს არ დაელოდა და ორიოდ დღის წინ თანამდებობიდან გადადგა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მას კომენტარი ვთხოვეთ.***

**— რით არის განპირობებული თქვენი ასეთი გადაწყვეტილება?**

— პასუხი მარტივია — ხელისუფლების მხრიდან სპორტისადმი უყურადღებობით არის გამოწვეული. ახლა, როცა ის მიზერული თანხაც შეგვიმცირეს, რაც გასულ სეზონში კალათბურთისთვის იყო გამოყოფილი, ვფიქრობ, წარმოუდგენელია, ნორმალურად გაუძლვე ამ სფეროს. ჩვენი მიზანი მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება არაა, ხოლო იმისათვის, რომ ევროპულ სარბიელზე რაიმე წარმატებას მიაღწიო, კარგი დაფინანსებაა საჭირო. სპორტის დეპარტამენტი კი ამისათვის არაფერში გვარგია. ჩვენმა ნაკრებმა წლეულს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველი წრე ჩინებულად გაიარა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ძირითად კონკურენტებთან მატჩები შინ გვქონდა და ბიჭებმა ენთუზიაზმის ხარჯზე შეძლეს წარმატების მიღწევა. მეორე წრის წინ კი დეპარტამენტმა იმის თანხაც ვერ მონახა, რომ ნაკრები ათი დღით კონჯორში გაეშვა და ისევ მხოლოდ ენთუზიაზმის ხარჯზე მოვინდომეთ ფონს გასვლა. ეს კი ასე რომ არ ხდება, იმ სავალალო შედეგიდანაც კარგად ჩანს, რომელიც ბულგარეთსა და ბელარუსში მივიღეთ.

**— სახსრები არ არის, მაშ, გამოსავალიც არ ყოფილა.**

— ეგრეა. თუ გინდა წარმატების მიღწევა, უნდა გაიღო რამე. ჰაერიდან არაფერი მოდის.

**— გამოდის, თუ ფინანსები არ იქნება, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ჩაუდგება ფედერაციას სათავეში...**

— არ მეგულება ქვეყანაზე ადამიანი, ვინც ცარიელი ხელებით გამოასწორებს ქართულ კალათბურთში შექმნილ ვითარებას. პრეზიდენტმა თან დაახლოებით 10 მილიონი უნდა მოიტანოს, რომ საქმეს ეშველოს, ანდა ბუზებივით დაიხვიოს ბიზნესმენები, ვინც კალათბურთისთვის რაიმეს გაიღებს. ასეთები კი საერთოდ არ მეგულება. ქართველმა ბიზნესმენებმა მარტო ის იციან, საბაჟოს გვერდის ავლით როგორ შემოიტანონ უცხოეთიდან სპირტი, სიგარეტი და კიდევ ათასი საწამლავი. ასეთი ხალხი სპორტში კაპიკსაც არ ჩაგიდებს. ჩვენ კი უნდა ველოდოთ იმას, თუ როდის მოუვა ასეთ კაცს აზრად სიგარეტისგან ნაშოვნი შავი ფული კალათბურთში დააბანდოს. ერთია, ახალ პრეზიდენტს დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს და არა მარტო სპორტში. დასამადლებლად არ ვამბობ, მაგრამ რა ვალდებული იყო თბილისის მერია, კადეტთა ნაკრები დაეფინანსებინა, თუმც ჩემი პირადი თხოვნისა თუ მეგობრების ხარჯზე ეს ასე ხდებოდა. სპორტის დეპარტამენტში მუდამ კამათი იყო კადეტთა გაშვება-არგაშვებაზე. მიაჩნდათ, რომ მათი ევროსარბიელზე გამგზავრება ზედმეტი ფუფუნება იქნებოდა. და მოხდა ისე, რომ ყველაზე კარგ შედეგს სწორედ კადეტებმა მიაღწიეს.

**— და მაინც, ქართული კალათბურთის მომავალი როგორ გესახებათ?**

— ყველაფრის მიუხედავად, მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ. ვთვლი, რომ ასეთი თაობა, როგორც ახლაა, ქართულ კალათბურთს არასდროს ჰყოლია. ორიოდ წელიწადში საქართველოს ნაკრები ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. ამის თქმის საფუძველს საზღვარგარეთ მოთამაშე ქართველი კალათბურთელების წარმატებები მაძლევს. ნაკრებისთვის აუცილებელია საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა. ეს ორი წელი, როცა ევროპის პირველობისგან განზე ვიქნებით, ნაყოფიერად უნდა იქნას გამოყენებული. არ უნდა მოხდეს ისე, როგორც ფეხბურთშია — მოუგებენ ბოლნისის, ბათუმის, გორის გუნდებს და ევროპის კლუბების დამარცხების პრეტენზია უჩნდებათ. მაქსიმუმი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ნაკრებმა ამ ორი წლის მანძილზე რამდენიმე შეკრება და საერთაშორისო ამხანაგური მატჩი მოაწყოს.

**— არჩევნებამდე კიდევ არის დრო. იქნებ გადაიფიქროთ და თქვენი კანდიდატურა წამოაყენოთ?**

— ეს არ მოხდება. გადაწყვეტილება საბოლოოა.

**— ვინ მიგაჩნიათ პრეზიდენტობის ყველაზე ღირსეულ კანდიდატად?**

— ამას ნამდვილად ვერ გეტყვით. გავიგე, მიშა ქორქიას სურსო პრეზიდენტობა. მე მივესალმები ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ წელან ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ამ საქმისთვის მრავალმხრივი, საზოგადოების მრავალ სფეროში გავლენის მქონე კაცია საჭირო. მიშა ქორქია კარგი კალათბურთელი იყო და დიდადაც ვაფასებ, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტს მხოლოდ კალათბურთის ცოდნა არ გამოადგება.

**— თქვენი ფედერაციის პრეზიდენტობიდან გადადგომა კალათბურთიდან წასვლას ხომ არ ნიშნავს?**

— არამც და არამც. თუ ფედერაციის აღმასკომში ამირჩევენ, დიდი სიამოვნებით გავუზიარებ ჩემს გამოცდილებას ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას.

**ირაკლი ბერტაია**

# ჯორდანის საქმე კალათბურთის თამაშია



მაიკლ ჯორდანი კალათს და ბურთს უბრუნდება

**მაიკლ ჯორდანი** ბურთსა და მოედანს უბრუნდება და ამას წყალი არ გაუვა. ხუთთვიანი ჭორაობა ჯორდანის დაბრუნება-არდაბრუნებაზე ამ უქმეებზე დასრულდა, როცა მისმა ჰაერის უდიდებულესობამ ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს გაზეთს „ვაშინგტონ პოსტს“ განუცხადა, ამ სეზონიდან „ვაშინგტონ ვიზარდსის“ მაისურას მოვირგებ და მესამედ შევალ ნბა-ს მოედნებზეო.

ჭორების ტალღა კი ამ გაზაფხულს აგორდა, როდესაც მავანმა პირებმა მაიკლს მივარდნილ დარბაზში, უცნობ ბიჭებთან ბურთაობისას შეუსწრეს და ჯერ ამერიკა, მერე კი მსოფლიო მითქმა-მოთქმამ მოიცვა. „სულაც არ ვბრუნდები — ომახიანად განაცხადა მაშინ ჯორდანმა — ზედმეტი წონის დაგდება მინდა და ამიტომ ავიღე ბურთი ხელში. თუ ჩემი ოფიციალური პასუხი გნებავთ, გეტყვით, დღეისთვის 99,9 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ არ დავბრუნდები“.

ჟურნალისტებს რას გამოაპარებ, და ეს 99,9 პროცენტით უარყოფა რამდენიმე თვეში 99,9 პროცენტიან დასტურად იქცა. დიდი კალათბურთელის კუდში მდევარმა მასმედიამ ამ ორიოდ კვირის წინ სასურველი პასუხიც მიიღო. „მე ვბრუნდები, ასე რომ, ბიჭებო, შეგიძლიათ თქვენი წერილები გაუშვათ გაზეთებში — განუცხადა ერთ-ერთი დარბაზიდან გამოსულმა ჯორდანმა ჩასაფრებულ ჟურნალისტებს — მე ვბრუნდები მხოლოდ კალათბურთის სიყვარულის გამო“.

ჯორდანის ფულის მიმართ გულგრილობას „ვაშინგტონ პოსტიც“ იუწყება: ჯორდანი კლუბ „ვაშინგტონ ვიზარდსის“ ერთ-ერთი მფლობელი და პრეზიდენტია, ასე რომ, ფული არ უნდა აინტერესებდეს. მან, კლუბის აქციათა კუთვნილი ათი პროცენტიდან ხუთი გაყიდა. ჯერჯერობით უცნობია, დარჩება თუ არა იგი პრეზიდენტის პოსტზე. ყოველ შემთხვევაში, იგი ჯერ არ ამდგარა პრეზიდენტის სკამიდან და ამ უქმეებზე პრეზიდენტმა ჯორდანმა მოთამაშე ჯორდანს (ესე იგი საკუთარ თავს) ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. იგი ამ ხნის განმავლობაში ნბა-ს მიერ დაწესებულ, ვეტერანთათვის კუთვნილ ერთ მილიონს მიიღებს. ისე კი, როგორც ჯორდანმა ამ ცოტა ხნის წინ თქვა, თუ დაბრუნდება, მინიმუმ ორი-სამი წლით.

საერთოდ ჯორდანს ჯერაც არ მოუწვევია პრესკონფერენცია და ფართო საზოგადოებას პირადად მისი პირიდან არ მოუსმენია ოფიციალური განცხადება დაბრუნების შესახებ. იგი 20 სექტემბერს აპირებდა, ყველაფერისთვის ნათელი მოეფინა, მაგრამ მის საქმეში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ტერორისტები ჩაერივნენ — ჩემი ქვეყანა დალუპულთ გლოვობს და რა დროს მე და ჩემი განცხადებებიაო, უთქვამს მაიკლს და პრესკონფერენცია ახლო მომავლისთვის გადაუტანია. ახლა ჯორდანი „ვაშინგტონ პოსტის“ საშუალებით გვაუწყებს, რომ ოფიციალურ განცხადებას 1 ოქტომბერს გააკეთებს, „ვიზარდსის“ საწვრთნელი ბანაკის გახსნის წინა დღეს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ის ვიკითხოთ, რა გავლენას მოახდენს დიდი მობურთალის სახელზე მეორედ დაბრუნება? ჯორდანი თავმოყვარე, ჭკვიანი კაცია. იგი არასდიდებით არ გადადგამდა წინდაუხედავ ნაბიჯს და არ დაბრუნდებოდა, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული რომ არ იყოს, თუმც უმრავლესობა მაინც ეჭვით უყურებს ჯორდანთან ერთად მისი დიდების დაბრუნებას. ახლა მაიკლი 38 წლისაა, მომავალი წლის დამდეგს 39 უსრულდება და ამასთან 13-14 კილოგრამი ზედმეტი აქვს. მას ოდნავ აწუხებს მუხლი და ზურგი, ამ ზაფხულს ვარჯიშისას ჩამტვრეული ორი ნეკნი კი ახლახან მოირჩინა. თავად მაიკლი საკუთარ თავს ასე აფასებს — „ძველი ჯორდანის 70-80 პროცენტი ვარ“.

თუ მართლა ასეა, ეშველა „ვაშინგტონს“ და ეგაა. ჯორდანს ნბა-ში თამაშის 13 წლის განმავლობაში არ გაუცდენია პლეი ოფი და ექვსჯერ მოუგია კიდეც. ახლა კი მისი ჰაერის უდიდებულესობა ხელახალ კარიერას იწყებს გუნდში, რომელსაც ზუსტად 13 წელია, პლეი ოფში თამაში არ მოუგია. „ვაშინგტონი“ რომ ფსკერის გუნდია, ეს ბავშვებმაც უწყიან. ვინ იცის, იქნებ თავის ხელქვეითთა საცოდაობის ყოველდღიურად ყურებამ გადააწყვეტინა დიად კალათბურთელს მოედანზე დაბრუნება? ერთი რამ ცხადია, ჯორდანი, თუნდაც ოთხი ათეულ წელს მიტანებული, მოედანზე მეტ სარგებელს მოუტანს საცოდავ „ჯადოქრებს“, ვიდრე კლუბის პრეზიდენტის სავარძელში გამოჭიმული. მაიკლ ჯორდანის საქმე კალათბურთის თამაშია.

**ირაკლი ფირაშვილი**


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ პოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორაშვილი
**კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge